

ხათუნა მითაგვარია

სულის ტქივილი

თბილისი 2024

რედაქტორის
მანანა სამყურაშვილი
თენგო ფანცულაია

ყდის დიზაინი
მანანა სამყურაშვილი

დამკაბალონის
თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-8-6302-8

ნინასი ფურთაობა

- პოეტი ხათუნა მითაგვარია წმინდა სულით ეფერება თოვლს, ზამთარს, თოვლში ამოსულ ყვავილს, ყვავილის სახით მას თავისი თავი აქვს წარმოდგენილი...

პოეტი ამბობს, ფეხი ისე არ დაადგათ რომ თოვლში ამოსული ენძელა დაზიანდესო... ლამაზ ყვავილთა შორის შენც მოგიხდება ყოფნაო, მასთან იასავით იდედოფლეო.

- დიდი გამოცდილებით ამბობს, ბუნების ზამთარი არაფერს არ გიზამთ, სულში არ მოიყვანოთ ზამთარი, სული არ გააციოთ რომ შეიგრძნოთ ბუნების სილამაზეო...

- დიდი ტკივილით გადმოსცემს, ყოველ გარიურაჟზე მზე მაკითხებს და მისი ხათრით ვდგები, ამ სიტყვებით ამბობს, რა უფლება მაქვს ჩემს სულს, ზეციური სითბო უარყოს. გულში რაც არ უნდა ტკივილი გქონდეს, დარდიანი სხვას არ დაენახო, ეს შენი ბედია და შენა მართე შენი თავი და სხვის დასანახად რომც არ გინდოდეს გაიღიმეო....

- პოეტის სული ძლიერი ჭურჭელია, რომელშიც ერთდროულად დიდი სევდა, მწუხარება და ტკივილია, ამით-ფარხმალს კი არა ყრის, სხვას ანუგეშებს და მოუწოდებს რომ გამხნევდეს, მედგარივით უნდა იდგე რომ მტერმა არ დაგჯაბნოსო...

- პოეტი გამოცდილებით ამბობს რომ წინასწარ არაფერი არ დაგეგმოთ, თქვენი ბჭობა არაფერს არ წინავს, მთავარი ღმერთია რას გაიმეტებს და რას გამოგიგზავნისო, გულს არაფერი არ დააჯერო, ის პატარა და მაღალია, გატყდება და გატეხილ გულს ვეღარ გაამრთელებო...ლამაზი სიბრძნით მიმართავს მკითხვეს: მთას ხერხემალი აქვს გაბრუდებული სიმძიმით, მაგრამ მაინც ამაყადა დგასო...

მკითხველს მიმართავს და მოუწოდებს; ცხოვრება ბრძოლის ველია, მტერი და მოყვარე კარგად უნდა გაიცნო, თუ შენს მოსაწონად საქმე ვერ წარმართე, შენს თავს დაემდურეო...

- წმინდა სულის, ემიგრაციაში მყოფი პოეტი, ხათუნა მითაგვარია - სულის ტკივილით ეხმიანება დღევანდელ საქართველოს ყოფიერებას. - იგი ღმად არის დარწმუნებული რომ მას, სულს ვერავინ წაუბილწავს...

- პოეტის სული წუხს, მიმართავს საზოგადოებას, მომავალ თაობას, მოეგოს კაცობრიობა გონს, ნარკობიზნესში ნუ წაბილწავენ სულს, ქართველინი ჭეშმარიტი კაცის სახელს ნუ დაკარგავენ... იგი მოუწოდებს ნებისმიერ ადამიანს ისეთ საქმეს ნუ ჩაიდენენ რომ კაცად ალარ ჩათვალონ...

- მოუწოდებს დღევანდელ ხელისუფლებას, რომ კანონი გაამკაცრონ, ყველასთვის მიუწვდომელი უნდა იყოს ნარკოტიკის შეძენა, მისი მომხმარებელი კი, ერთი ისე უნდა დასჯილიყო, მეორეს არ გაებედა მისი მოხმარებაო...

- პოეტი, ხათუნა მითაგვარია სულის წუხილით გამოხატავს ერთსქესიანთა კავშირს. მათი დაქორწინება სამარცვინოდ მიაჩნია, სწუხს და ამბობს ეს, ერის გადაშენების დასაწყისიაო.

- კრებული „სულის ტკივილი,“ - მართლაც საოცარ ტკივლს და დარდს ასახავს მკითხველის გულში, ყოველი ბწყალი სულის ბლავილი, სულის მწუხარება და ცხოვრებასთან ჭიდილია, არ გამართლებული ბედის დაუმორჩილებლობაა. პოეტი ცდილობს ჭირთა თმენას და დარდების გამკლავებას.

- პოეტიხ ძლიერი მოწოდება: სულს ნუ გააშიშვლებ, ჩააცვი გინდაც დარდები და ხვალინდელ დღეს დაელოდე, იქნება ბედი რას გიმზადებსო.

რედაქტორებისგან
მანანა სამყურაშვილი
თენგო ფანცულაია

თუ ვერ მოუვლი აღარ მოცყვიტო...

თოვლში სიცივეს ნუ უშინდები,
მთავარი არის აღარ მოყინოს,
სულის სიწმინდეს ვერვინ წაბილწავს,
ვინმემ ზღაპარი აღარ მოგითხროს,
საოცრებაა ვინმემ ზამთარში,
გაზაფხული რომ ჩუმად მოგიწყოს,
თოვლში თუ შეძლებ აყვავილებას,
ენძელაც ვიცით თოვლში დედოფლობს.

მაშ იდედოფლოს ნუ შეეხებით,
უბრალოდ მასთან ნაზად მოგიხმობს,
მას გაზაფხულის ყვავილი ჰქვია,
თუმც მარტის თვეშიც ხშირად მოგვითოვს,
ამ სილამაზეს ფეხით ნუ გასრესთ,
ტკივილისათვის პასუხს მოითხოვს,
თოვლის ნათებას თან რომ მოჰყვება,
ნუ ჩააბნელებ--უნდა მოგხიბლოს.

ეს სილამაზე ღმერთმა არგუნა,
მავანს უფრთხილდეთ, აღარ მოგვისპოს
და თუ ენძელა უძლებს სიცივეს,
შენც გაუძელიო ვიღაც მოითხოვს,
არადა ლამაზ ენძელას გვერდით,
იაც ყვავილობს სურნელს რომ გვიყოს,
და მეც მათსავით ვცდილობ არ გავქრე
და სიცივესაც ხშირად არ ვიტყობ,
თუ ვერ აცოცხლებ ამ სილამაზეს,
ჯობს რომ ულირსმა აღარ მოწყვიტოს.
ზვიადის საქართველოს ჩასძინებია.

გამსახურდიას ძლიერი ფრაზა,
ზოგს არც ესმოდა, ბევრიც იგებდა,
დინებას მკვდარი თევზი მიჰყვება,
ცოცხალი მუდამ ბრძოლას იგებდა,
ზვიადის სიტყვა მქუხარე იყო,
პიროვნულადაც ზუსტად იხდენდა,
ამ ბრძოლას დიდი ტკივილი ჰქონდა,
საქართველოსთვის რას არ ითმენდა.

პატრიოტობას ბევრი იბრალებს,
ზვიადი--ნიღაბს აღარ ირგებდა,
თუმც ბრძოლის ველზე ბევრი დაეცა,
ღალატს გზადაგზა ღმერთი იგებდა,
დიდი ზვიადი ქუხდა--კვნესოდა,
საქართველო კი სუნთქვას იწყებდა,
ის უანგაროდ თავს არ ზოგავდა,
სამაგიეროს არას ითხოვდა.

უცხო მხარეში გადაკარგულსაც,
მუდამ სამშობლოს ფიქრი იპყრობდა,
ქვეყნის პატრიოტს მახე დაუგეს,
ვიღაცა ამით საქმეს იწყობდა,
სიკვდილიც აღარ გაიმეტებდა,
რადგან ბუმბერაზს ისიც იცნობდა,
ეშმაკმა ჩუმად მახვილი დასცა,
ზეციდან ცრემლის წვიმა ცვიოდა,

მას სიკვდილის წინ მწარედ ესმოდა,
უფლის წილხვედრი მიწა--კიოდა,
ამ დროს სატანა ხარხარს იწყებდა,
მას ხომ ქართული სისხლი შიოდა,

დიდი ზვიადი არ იჩოქებდა,,
საქართველოსთვის შველას ითხოვდა,
როდესაც სული ღმერთს მიაბარა,
ღმერთსაც მე მგონი ცრემლი სდიოდა.

დღეს საქართველოს ყვავები კორტნის,
რა ველარ გაძლნენ ასე შიოდათ?
ზვიადის გულზედ დაყრილ მინაზე,
ქართველი სათქმელს-მწარედ იტყოდა,
საქართველო კი წასულ ქართველებს,
გადასარჩენად მასთან იხმობდა,
ქრისტეს წილხვედრი ჩვენი სამშობლო,
საოცრებაა-- მარტო იპრძოდა.

დილის დიმილი საოცრებაა...

დილის რიშრაჟზე--მზემ მომაკითხა,
გამჭოლი მზერა მომაპყრო მწველი,
თვალი ჩამიკრა--უნდა ადგეო,
დაღლილ სხეულით უჩუმრად ვდგები.
სიცოცხლე ისევ იღვიძებს ჩემში
და მეც ცხოვრების ფერხულში ვდგები,
ვიღაც კი ფიქრობს--მეტს რას ითხოვო?
არა, არაფერს--მე ჩემთვის ვმღერი.

სათქმელი უკვე ვფიქრობ რომ ითქვა,
ღმერთო კალამია ვერა სთქვა მეტი,
თქვენ რას გაიგებთ --მე კვლავ ვიღიმი,
ცოცხალი ხარო--ხედავთ? არ ვკვდები!
ყოველ ცისმარეს უფლის ნებართვით,
კვლავ ბედნიერი ღიმილით ვჩნდები,

სხვისი აზრებით გულს ნუ მოიკლავ,
შენ თავად მართე-- კუთვნილი ბედი!...

ცხოვრება იცი? ბრხოლის ველს აგავს!
უნდა შეიცნო მოყვარე-- მტერი!
თუ კი მოგინდეს კიდეც იტირე,
მთავარი არის-- იყავი წრფელი,
შენს თავს პასუხი შენვე გაეცი,
სხვებს ნულარ ჩარევ-- გახსოვდეს ერთი,
მიდი გათენდაო-- მუჯლუგუნი გაგურეს,
მარტო არა ხარ-- გვერდით გყავს ღმერთი!

ნეტავ ვინა ხარ?

ფულის გულისთვის ნარკოტიკს ყიდი?
იმ მკვლელთა შორის დიდი მკვლელი ხარ!
უფლის კარებთან სანთლით რომ მიდი,
შენ ჯოჯოხეთის სახლში, წერიხარ!
სიკვდილისათვის როგორ იმეტებ,
მაგ ფულთან ერთად რად არ იწვიხარ!
იქნებ ეს ლექსი შენც ჩაიკითხო,
ნერვი არ გიტოკს? ალარ ტირიხარ?
ადამიანო რა გზას ადგიხარ,
-სატანად იქეც? იქნებ გიჟი ხარ!

უამრავ კაცის სიცოცხლეს ყიდდი,
როგორც სატანა ისე მლერიხარ
და ამ ნამუსით ნაგავს რომ გვიდი,
კაცი კი არა- რუხი მგელი ხარ!
და ის ბიჭები ასე რომ სჯიდი,
მათთვის მომსპობი შავი ჭირი ხარ!

თუ რწმენა არ გაქვს და ღმერთის შიში,
საქართველოსთვის დიდი მტერი ხარ!
ღმერთო, შენ იხსენ ჩემი ქვეყანა,
ეს საქართველოვ საით მიდიხარ!...

იქნებ რა ხდება გადამითარგმნ.

მთავრობა არ ვარ რომ ამირჩიო,
არ მოგეწონო ისევ დამამხო,
ნივთი არა ვარ როს არ გჭირდები,
მომიძულო და გვერდზე გადამდო.
სამოსიც არ ვარ ვერ მომიხდინო
და ამ სამოსით ვიღაც დააფრთხო,
არც საკვები ვარ დამაგემოვნო,
არ მომიწონო--თავს დააძალო.

არც პედაგოგი ვარ რომ დაგაძალო,
ძალდატანებით რაიმე გასწავლო!
უფლება არ გაქვს ხან გამილიმო,
ხან მოგინდება--არად ჩამაგდო!
მე სულჩადგმული და ხორცშესხმული,
ღმერთის შვილი რომ-- ცოცხლად დამმარხო!
თოვლიც არა ვარ რომ იხალისო,
რომ მოგწყინდება-- ამატალახო!

უფლება არ გაქვს გამათამაშო,
ფსონად ჩამდო ან დამაშანტაჟო!
ღმერთის რჩეული ადამიანი,
შენი სურვილით დამასაწყალო!
ღმერთის ნაჩუქი წილი ცხოვრება,
შენ ამიკრძალო და დამამადლო,

შენ შენი ხაზი არ გადაკვეთო,
სხვისი ნათესი არ გადაპარო,
ბედნიერებას თუ ვერ მაჩუქებ,
უბედურებაც არ დაამატო!...

ლუთუ ვერ ვხვდებით ამ რეალობას?

ხავსი მოედო დღეს ჩვენს მთავრობას,
შეძლეს--ცხოვრება გაიადვილეს,
ხავსმოდებულ ხეს ფესვი ერყევა
თუ დაეყრდნობით--გადაგიყოლებთ.
ქართველი ხალხი ახალს ელოდა,
ხალხს ეს ლოდინი გაუხანგრძლივეს,
შემოტევების სუნი რომ ეცათ,
ხელები მაშინ დაიკაპინეს.

არჩევნებისთვის გაგვიღიმებენ,
გონიათ, ცხოვრება გაგვიხალისეს,
ყოველი დილა კვნესით იწყება,
ქართველთ წუხილი გაუმარტივეს.
ყველა მოთხოვნა ჰაერში დარჩა,
მოთხოვნა--ოცნებით გაუბათილეს,
ხელის მინისტრებს ვერ ელევიან,
უშვებენ??? სკამები გადაუადგილეს...

ქართველი კაცი ლუკმა-პურს ეძებს,
ქვეყნიდან წასვლა გაუმარტივეს,
დღეს თუ ათას კაცს სუნთქვა უჭირდა,
ხვალ ორიათასს გაუსაძლისეს.
ისე გაცივდა ხალხის განწყობა,
არ გაგიკვირდეთ თუ ვერ გაგიგეს

და რა დევიზით მოხვედით ერთ დროს,
ოცნებამ---ოცნებით გაგვიჩალიჩეს...

უფლის გზას გავყვათ ურჩით მავანს

ნათლისლების დღეს გილოცავთ ყველას!
ეშმაკიც იგრძნობს ამ ღამის ძალას,
როდესაც ქრისტეს მირონი აცხეს,
ნიშანი მისცეს ურწმუნო ჯალათს!
რწმენამ ქრისტეში ფესვი გაიდგა,
შემოეხვია მავანს და მავანს,
ვინც ეს მირონი შეისისხორცა,
გაქრისტიანდა-უფლის გზას გაჰყვა!...

თუ საქართველოს მინაზე გაჩნდი,
აქ ჩათვალე რომ უფალი დაგხვდა,
ყველა ქრისტიანს გილოცავთ ამ დღეს,
ყველა ტკივილი წარსულში დარჩა,
ქრისტიანობა გავალდებულებს,
რომ სხვის ცოდვაში ფეხი არ ჩადგა!
იმ დროს როდესაც ჯვარს გულზედ გვგლეჯდნენ,
მე იმ დროშიც კი-- უფალი მწამდა!...

გული ერთია და გაფრთხილება უდეა..

გული დამძიმდა და რითმიც აირია,
ცეცხლი წაეკიდა-- აფსუს მაინც დუმდა,
იცი? ვერ გათვალე--როგორ გაუჭირდა,
გულში ჩაიტოვა--რაც კი შენში მოხდა.
ის ხომ ვერ გეტყოდა ტვირთი შეატოვე,

გული როს ფეთქავდა შიგნით ჩუმად თოვდა,
გულს დამშვიდება აღარ დააცადეს,
თუმც დამშვიდების იმედები ქონდა.
გარედან სხეული თბილად ინახავდა,
გულში კი თურმე ცივი ქარი ქროდა,
გულს როცა უბრძანებ აი მაშინ ცდები,
ამ დროს სამწუხაროდ-- გულის კუნთი მოცვდა!
ადამიანი რკინის თუ გეგონათ,
ერთ დღესაც დაინახავთ--თურმე გული ქონდა,
კაცი ერთჯერ კვდება, გული კი მუდამ წამობს,
შენივე გამეტებით იგი ასჯერ მოკვდა,
შენ ვერ მიუხვდი და ის კი განიშნებდა,
ხმა ვერ ამოიღო, ჩუმად, მისთვის წუხდა.

როცა წვიმა იყო შენ ცრემლს უმატებდი
და შენ არ გესმოდა გულში როგორ ქუხდა.
გული შენი არის--სხვებს ნუ გადაუგდებ,
ერთ დღესაც გაჩერდება-- ყველაფერი მორჩა.
გეგმებს ნუ დასახავ-- ღმერთს სხვა გეგმები აქვს,
ღმერთი იცინოდა -- როცა კაცი ბჭობდა,
უგულოდ ყოფნა სჯობსო ამას ნუთუ შეძლებ?
შენს გულს გაუფრთხილდე--ასე უფრო სჯობდა!...

სამთავროსა და ოჯახის დაცვა ვალდებულებაა

ბურუსით მოცულ საქართველოში,
ჩემი სამშობლოს ფესვი ერყევა,
ცოტა მოფხიზლდით თვალებს გიხვევენ,
ეს ქართველობას, არ ეკადრება.
ნაწილ-ნაწილად დაიყო ხალხი,
მთავარი არვის არ ედარდება

და თუ ეს ასე არ არის ღმერთოვ
ოჯახებს ვტოვებთ-- რა გვემართება?
ეხ, საქართველოს ვინდა უშველის,
დავითისავით ვის ეყვარება.

გამოტირება ალარ გვარგია,
მოუშუშებელ შეცდომას უშვებთ,
ნუ შეიწირავთ ქვეყნის სიცოცხლეს,
პრინციპებსა და კანონებს ურევთ,
უკან დახევა, მტერთან არ გვინდა,
იქნებ შეერთდეთ, ჭუას მოუხმეთ!
აგრესია და კრიტიკა მოგწონთ?!

რატომ ერთმანეთს არაფერს ურჩევთ.

და თუ სიმართლეს თვალს არ უხუჭავთ,
პოლიტიკოსებს ნისკარტს რად უწმენდთ,
აქ, მითქმა-მოთქმაც პოლიტიკაა,
ამ ჭორაობით სიცოცხლეს უტევთ,
ყველას თავისი მოეთხოვება,
ეს შეცდომები ვიღაცას უკბენს,
იქნებ დაფიქრდეთ ჩვენს
საქართველოს,
ამ პრინციპებით ფესვებს რომ ურყევთ!...

ლეირთოა ვინც შეგამნა--იგადვე დარჩი

ფრთები გაშალა ღამურამ უცებ,
შორს გადაფრენის ფანტაზიებით.
ფრინველთა გუნდში შეინავარდა,
არწივის წინ, რომ ვინმეს გაეშვი.
ველარ გაქაჩა, საწყალმა დიდხანს,

ძირს დაენარცხა, ეკალ-ბარდებში,
როცა წამოჯდა აზრზე მოვიდა,
ეს მაშინ მიხვდა უფსკრულს ჩაეშვი.
ღამურას ნატვრა ფუჭი გამოდგა,
ღმერთმა გააბა, იგი მახეში.

და თუ წინასწარ რამეს გადაწყვეტ,
არ დაივიწყო ვისგან მოდიხარ,
შენი ფესვები უნდა მოირგო,
სხვისი არ გიშვებს და გულს მოგიკლავს!...
სხვას ნუ ედრები--შენ, ხომ შენა ხარ,
სხვისი ყურება კარგს არ მოგიტანს,
სხვის დახუნძლულ ხეს თვალს ნუ აყოლებ,
გაისად ღმერთით შენიც მოისხამს.
არწივობას რომ გულში ჩაიდებ,
თავს გაიბანძებ--კუდი მოგიჩანს...

ერთგულება თუ ნამდვილად გიცდა

ბეღურა ზამთრის ბინადარია,
რატომ ფიქრობენ--მას რომ არ ცივა,
თბილ ქვეყნებისკენ გაფრინდა ყველა,
ბეღურა რჩება არსად არ წავა.
თუმც ერთგულია თავის სამშობლოს,
არ დაუფასდა--დარჩენა ლირდა?
თოვლით შეფიფქულ ტოტებს აცოცხლებს,
თუმც ადამიანს ეს ხომ არ გინდა.

და თუ ინდომა შენთან დარჩენა,
სარეჯგველაში საკენკს ვინ ყრიდა..
აპა მავანმა ხელიც გამოჰკრა,

დაგებულ მახეს ვეღარ ასცილდა.
 მან ერთგულება ვერ დაგიმტკიცათ,
 ვერც შენიშნავდით--ცრემლებს რომ ღვრიდა,
 თოვლის სიცივეს კი გაუძლებდა,
 ადამიანის სიცივე ღლიდა.

და მაინც ვეძებთ თავის მართლებას,
 თავს დამნაშავე არასდროს ხრიდა,
 ბეღურას დღემდე ვერ გაუგია,
 სიკეთის გაგება ასე რად ჭირდა,
 თუ ერთგულებას უარს ეტყოდით,
 შენს თავს მოკითხე--მაშინ რა გინდა,
 ბეღურა მაინც მის სახლში დარჩა,
 სადაც ხან თოვდა და ხანაც წვიმდა....

ქართველი აგისსით კაცობას, ეს ვინც ნამდვილი არიო

კაცობა რთული საქმეა,
 ყველა როდია კაციო,
 ნეტავი სად წაიკითხეთ,
 კაცი რომ გახდეს ქალიო?
 კაცი რომ კაცთან დაწვება,
 მაშინვე ცოცხლად დაწვიო!
 არ მიყვარს კაცი ტლიკინა,
 ის ენაგრძელი არიო!...

კაცი რომ ქალივით ყბედობს,
 იმას რად ჰქვია კაციო!
 კაცი რომ ვიგოდას ეძებს,
 იმას არ მისცეთ შანსიო!

ფეისბუქელებს--პრინცების,
შემოესიათ ჯარიო!
იქ სიყვარულის თაფლს აფრქვევთ,
სახლში კი მიგაქვთ შხამიო!

შარვალ--კოსტუმი რას გიზავთ,
თუ კი არა ხარ კაციო!
კაცურ ხასიათს თუ კარგავ,
გიჯობს იმქვეყნად წადიო!
არ გეკადრება კაცურ--კაცს,
ყალბი სიტყვები აფრქვიო,
გეის--პედოფილს--ავაზაქს,
კაცებად წუღარ ჩათვლიო!

კაცად თუ გაჩნდი--ვინ გითხრა,
რომ არაკაცი გახდიო!
ნარკომანს რა ეშველება,
ეს არის დიდი დარდიო.
შენ მაინც კაცი არ გქვია,
თუ კაცობაში წახდიო!
ეს ჩემი ლექსი მნარეა,
მგონი მოვნახე შარიო!...

ღვართო შენი იმაღით ვართ

ქართველობას რომ წამლავენ,
თვალებს ვხუჭავთ კი არ ვახელთ.
თითქოს შიში შეგვპარვია,
დამნაშავეს ვეღარ ვამხელთ.
საქართველოს ვეფერებით,
ქართველებს კი, ბორკილს ვადებთ,

საქართველოს ვუმღერით და
ჩვენს ღირსებას უფსკრულს ვაგდებთ.

ქართველ ბიჭებს არ ვაკაცებთ,
ღიად ნარკოტიკებს ვაძლევთ!
ასე ერი გამრავლდება?
ყურადღებას რად არ ვაქცევთ!
ყურთასმენაც დაგეკარგათ,
ლამის გულის კარებს ვამტვრევთ,
ცრემლიანი დედის თხოვნას,
ოცნებების ზღვაში ვაგდებთ!...

რა მისია გაკისრიათ,
მაგ სკამებზე ხალხმა დაგსვეს!...
კანონი თუ ქართველს მოკლავს,
მეთაურო ხელს რად აწერთ!
ყველა ნარკოდამნაშავის,
ოჯახებსაც წლობით აქცევთ,
მართალია მათ შესცოდეს,
თქვენც ცოდვილნი უნდა გახდეთ?!

ბიუჯეთში ფული შედის,
ეს სიჩუმე, ეჭვებს ბადებს,
ყველა საზღვარს გადავიდა,
გულცივობა შედეგს დადებს!...
ათასობით ნარკომანი,
არჩევნებზე თქვენ თუ გარგებთ,
შვილები კი იზრდებიან,
მათ მამებს სიზმრად აქცევთ!...

ნარკობარიგების ღვანლი,
მაგ კისერზე ცოდვად გადევთ!

ხალხის სამსახურში მოდით?
ქართველობას მთლად ნუ გაწყვეტი!...
ეს კი მართლაც არვინ იცის,
ცოდვა-მადლი სად წაგაქცევთ!
კანონს ძალზედ მკაცრად გვიწერთ,
მაგ კანონებს ჩვენ დავანგრევთ!
ამ ლექსს, შვილის დედა გიწერთ,
ჩვენს ცრემლებზედ თქვენ რას დაწერთ!

არამარილი პირები დაიცვას

წაქცეულ ხეზე მაღლა ვერ ახვალ,
თუ ჩამოჯდები და ჩაფიქრდები,
სანამ ფეხად დგას მანამ ეფერე,
სანამ შენ თვითონ ხედ გადიქცევი.
მიწასთან ჩხუბი შენ ვერას გარგებს,
ხრიოკ მიწაზე, თუ დაიწვები,
მას გაახლება მუდამ ჭირდება,
ნუ გამოფიტავ შენ დამძიმდები.

მიწას მიეცი შვება სუნთქვისთვის,
თუ კი გამოხრავ შენც დამიწდები,
და ამ მიწაზედ ვიდრე ეს ხე დგას,
სხვას რას უშველი? თუ გაწვიმდები!
მოეფერე და ტოტს ნუ ჩამოტეხ,
ამ ლექსზე იქნებ თქვენც დაფიქრდებით,
ამ ხეს ბევრჯერაც დაბერავს ქარი,
თქვენაც დაბერავთ თუ არ დაღვინდებით.

შეშლილ სამყაროს შველა სჭირდება,
თუ ვერ უშველეთ-- ჩვენც გავგიუდებით,

თუ მომავალი არ გავამაგრეთ,
ხვალ ღმერთმა იცის--ჩვენ არ ვიქნებით.
და თუ ნაპერწკალს ცეცხლად გიქცევენ,
თუ არ ჩააქრობთ-- თქვენც დაიწვებით,
ღმერთო ძლიერო გადაგვეფარე,
თორემ ნელ --ნელა გადავშენდებით!

იგადი ჯოკას მათამაშაბა...

ჩემს ბოლო იმედს ფრთები მოუტყდა,
და მეც დავფრინავ ფრთამოტეხილი.
ჩემს ბოლო იმედს, სახელი არ აქვს,
მეც უსახელოდ დავეხეტები!
ჩემს ბოლო იმედს სათქმელი არ აქვს,
მეც დავასრულე, ჩემი სათქმელი.
მე კი ზღვისხელა იმედი მქონდა,
ასე მეგონა ზღვასაც გავკვეთდი!
იმედი ჯოკერს მეთამაშება,
იმედი მომცა- ვფიქრობდი გავკეთდი,
ჩემს ბოლო იმედს კარგი კარტი ყავს,
მეც ვინუშდენი რა ვენა დავწექი.
და ბოლოს როცა მწარედ გამხიშტეს,
გული მომიკვდა-- ჩემთვის წავედი,
ჩემს ბოლო იმედს პასუხი არ აქვს,
და მეც პასუხი ვეღარ გავეცი!

გზას ვაგრძელებდი მუდამ იმედით,
ხელში ჩამაკვდა მე ეს იმედი,
ვერ გავაგრძელე უიმედომ გზა,
გაშეშებული ვდგევარ-- გავჩერდი!
ჩემს ბოლო იმედს ხელი გავუშვი,

და უიმედოდ, პირქვე-დავეცი,
ჩემს, ბოლო იმედს, გული არა აქვს,
მეც უგულოსთან მგონი გავხევდი!

ეს იმ იმედის სხივი გამიწყდა,
გეგმას ამ სხივით მე რომ ვადგენდი,
ჩემს ბოლო იმედს ღმერთი გაუწყრა,
მეც წაქცეული ვეღარ ავდექი!
წვიმის წვეთები ნიაღვრად იქცა,
ვერ გავექცი სულ მთლად დავსველდი,
ღმერთო შენ ახდენ სასწაულებებს,
მაგ სასწაულზე ერთ დღეს დავწერდი!...

ღვართხა შველა მოგვივლინა

ქრისტე იშვა ღმერთის მადლით,
სასწაული მოხდა ქვეყნად!
მარიამმა სასწაულით,
ღმერთის ნება აღასრულა.
თვით წმინდანად შეირაცხა,
ღმერთის ნებას არ გაუდგა!
მარიამო შენს ხატის წინ,
ცრემლით-ლოცვა გადადულდა!

უფლის ნებას ვერ გაექცნენ,
წინ ვერავინ ვერ აღუდგა!
ქრისტეს რჯული ვინც მიიღო,
იქ ყრუ-მუნჯიც არ დადუმდა,
უფლის მადლი შეგენიოთ,
უფალს ვიცით რად დაუჯდა,
და თუ ქრისტიანი გქვია,
ვინმეს მეტი რაღა უნდა!

ქრისტე-- შობა სიცოცხლეა,
 ღმერთმა ჩვენთვის აღასრულა,
 შეგნებული ცოდვებისთვის,
 ღმერთმა თვალი არ დახუჭა,
 ყველაფერი მოკვდავია,
 მხოლოდ ღმერთი არ დასრულდა!
 ქრისტე ჩვენთვის მოავლინა,
 საქართველოც მან აკურთხა!...

უფალო შეგვიძლეობები...

უფალო შეგვიწყალეო გევედრებით,
 ბრმად ყველაფერი გვანდე,
 უფალო მოგვიტევეო გევედრებით,
 შენს ნაბოძებ ცხოვრებას ვანგრევთ!
 ერთ-ურთის სიყვარული დავკარგეთ,
 ადამიანობა ბევრმა დავთმეთ,
 ჩვენი ცოდვებისთვის მწარედ გაწამეს,
 ესეც არ გაკმარეს და ჯვარზედ გაცვეს!...

წმინდა მარიამს ცრემლი მირონად სდის,
 მოსანანიებელ სანთლებს ვანთებთ,
 ვიცით გადაგდალეთ უფალო,
 გვაპატიე--ამას ეშმაკი ახდენს!...
 მგონი ეშმაკებად ჩვენვე ვიქეცით,
 ყოველგვარ მცნებას ვარღვევთ,
 ამდენი მოგვიტევე--უკვე საზღვრებს ცდება,
 ცოდვებს პასუხი გავცეთ.

ბევრნი ანგელოზობას იპრალებენ,
 უფალი გაკვირვებით დაგვცექერს!

ადამიანებში სიცივე დაბუდდა,
დათბით--ეს სიცივე დათმეთ,
უფლისთვის დროა ვილოცოთ,
ქრისტე მშვიდად რომ აღსდგეს,
იქნებდა დროა დავფიქრდეთ,
ღმერთის წინ როგორ წარვსდგეთ!...
უფალო შენს წილხვედრ მიწაზე,
იქნებ სიყვარული აღსდგეს...

გაივლის დრო და ისტორია დაწერს...

მთებს ხერხემალი გამრუდებია,
მაგრამ არ იმჩნევს თავს დაბლა არ ხრის,
მდინარეები გულამდვრეულან,
სიბრაზისაგან წყალს ბოლი ასდის.
ზღვაც არ ლივლივებს რაღაც მოპეზრდა,
ასე უთქმელად ასკდება ნაპირს ,
მიწაც ვერ უძლებს' ნეტავ რას ფიქრობს,
ხალხის ცრემლები დღე და ღამ აწვიმს.

და ამ ყველაფერს ზეცა დაჰყურებს,
ყველა ამ სათქმელს ფარდას ის ახდის,
ეს მოვლენები სახიფათოა,
მალლა ზეცაში ღმერთი ხომ დადის.
მე მაინც ვფიქრობ ხვალინდელ დღეზე,
ამქვეყნიური ცხოვრება რად ღირს?
ყოველი წუთი არის ძვირფასი,
აღარ დაკარგოთ- დრო სწრაფად გადის.

ვილაცის აზრებს თავს ნუ მოიხვევ,
თორემ ეს ფიქრი სასტიკად დაგღლის.

ჩამოიფერთხე სამოსზე მტვერი,
 წვიმა ნელ ნელა ყველაფერს წაშლის,
 უფლებას ნურვის ნუ მისცემ გავნოს,
 თავს გადაგიფრენს ფრთებს ლალად გაშლის.
 იცი რად ცელქობს თავნება ბავშვი?
 რადგან ბავშვია და მაინც გასდის.

ოცნება მხოლოდ ფანტაზიაა,
 ვერ დაეწევი საკუთარ აჩრდილს,
 და თუ ზედმეტად მგრძნობიარე ხარ,
 თუ არ გამკაცრდი-- თავის ტვინს აგხდის.
 ამ სიმკაცრესაც მისი ზომა აქვს,
 თუ არ მოზომე-- მხეცადაც გაგხდის,
 ზოგისთვის მიწა ფეხქვეშ იწვება,
 ზოგი მიწაზე ღმერთივით დადის!
 და ყველა ერთ დღეს ღმერთთან წარსდგება,
 დედამიწაზედ თუ ვინ რას ჩადის!...

ქარის ტკივილი არავინ ვიცით...

ქარის ზუზუნი სულის კივილს გავს,
 ჩვენში შემოდის არსად არ იცდის,
 რამ გააგიჟა ნეტავი ახლა,
 იქნებდა ქარიც, ტკივილს განიცდის,
 თავდაპირველად უჩუმრად დაქრის,
 შემდეგ ზუზუნებს-- რა სჭირს არ იტყვის,
 ხან ჩაწყნარდება გულგახეთქილი,
 ხანაც სხეულში, სეტყვად დაივლის.

მე და ქარი ვართ--ახლა პირისპირ,
 სარკმელში უსტვენს სულსაც დაგიღლის,

ასე გონია წანას გიმლერის,
ჩუმად ბურანში მაჯას დაგითვლის.
ასეთი არის აღელვებული,
თუმც ყველაფერი მალე გაივლის,
ნეტავ რა სტკივა ან რას გვაუწყებს,
რა დაემართა როგორ აგიხსნის...

შეს თავს კუთვნილი აღარ დააკლო

ცხოვრების ცუნამს ნუ ჩაუთვლიმებ,
ხმალი ქარქაშში ალარ ჩააგო,
ცხოვრება გებრძევის--თავის ამალით,
ეშმაკს შენიშნავ?--არ გაიკარო!
მედროვეები ჩამოიშორე,
თავი იმათთვის არ დაიჩაგრო,
შენი ტკივილი შენვე განკურნე,
ეცადე კალთა გადააფარო.

თუ საიდუმლოს ვინმეს გაუმხელ?
გირჩევდით ალარ--გადააჭარბო,
თავშეკავება დიდი განძია,
თავი შარში რომ ალარ ჩააგდო.
სანამ არსებობ--თავს გაუფრთხილდი,
ცხოვრება შენს თავს--არ წაამნარო,
ღმერთმა ვინც შეგქმნა--იმათვე დარჩი,
გემჩნევა--თავი არ გააყალბო.

თუ კი ტკივილი გულს მოგანვება,
ცრემლები მავანს არ დაანახო,
შენ რომ გგონია შეგიცოდებენ,
ეცადე სატანა რომ დაამარცხო.

ღიმილი კურნავს დაჭრილ იარებს,
ეცადე ცრემლი რომ გადამალო,
თავი არავის არ შეადარო,
ვინცა ხარ დარჩი--არ ითამაშო!...

დანაშაული თუ კი შენიშნო,
ვინც უნდა იყოს--არ გაამართლო,
სხვის დაფასებას--უფრო ხომ არ სჯობს,
ჯერ შენი თავი რომ დააფასო!
ცხოვრების გზაზე ცუდიც შეგხვდება,
მაინც გირჩევდი რომ გაატარო,
შენს ცხოვრებაში ყველას ნუ ჩარევ,
ეცადე თავად რომ დაალაგო...

თუ სურვილი გაქვს ტაძარში შედი,
თუნდაც სანთლები აღარ დაანთო,
ეს კლიტე შენს ბედს მოარგე კარგად,
სხვისი კარები აღარ გააღო!...
ეშმაკთა დასი ჩამოიშორე,
მათ შენი თავი არ დაამატო,
ვიღაცის ჯიბრით აღარ იცხოვრო,
მათ ვითომ რაღაც რომ დაანახო,
თუ კი გატკინეს--ღმერთს მიაბარე,
შენ თავს ცხოვრება არ გაუმწარო..

სურვილების ასრულების ჟამი დაღგა..

შემობრუნდით სიყვარულით გაიღიმეთ,
რომ გაიგოთ რა დიდია ღმერთის ძალა!
გუმბათების ბრჭყვიალება თვალებს მოგჭრის,
აქ ეშმაკიც შეჩერდება არსად წავა!

მუხლმოდრეკით სანთლით ხელში ღმერთს შესთხოვეთ,
რომ შეჩერდეს ყველა ცრემლი პირს რომ გბანდა,
ყოველი დღე რწმენით უნდა გაათენო,
დაიჯერე ყველა ცუდი წარსულს გაყვა!..

მაშ ისმოდეს, გუმბათიდან წერიალა ხმა,
დღეს ოცნებაც აშრიალდა ამ ხმას აყვა,
ყური უგდეთ რას გამოსცემს ყოველი ხმა,
სურვილების ასრულების ჟამი დადგა!
მაშ შემივსეთ სიყვარულით სავსე ყანწი!
სიყვარულიც ბედობის დღეს ტკბილად დათვრა,
კიდევ მაგრად ჩამოჰკარით ზარებს, თორემ,
რწმენის გარდა არაფერი აღარ დაგვრჩა...

და ბოლოს მარტო დარჩები მაინც...

და მაინც მარტო რჩები შენს თავთან,
რა შეგეშალა კარგად დაფიქრდი!...
სხვისი თვალებით შეხედე შენს თავს,
გამოასწორე ნულარ გაგიჟდი!
შენს თავს იმედიც მიეცი ჩუმად,
ვერ გაექცევი - მაინც დაიცდი,
ხვალინდელ დღეზე გიჯობს იფიქრო,
ბეჭნიერება გიცდის-- რა იცი!

შენ შენი გზა გაქვს-- იმათ თავისი,
სხვისი მანტია რატომ ჩაიცვი,
არ დაიწვები თუ ძლიერი ხარ,
ცხელ ნიაღვარზეც მტკიცედ გაივლი
და ასე შენს თავს გაესაუბრე,
კარგზეც იფიქრე, ცუდს ნუ დაითვლი,

ყველა ხვალინდელ დღეს აზარალებ,
გუშინდელი თუ თავზე დაისვი,
ხანდახან თავიც გაასამართლე,
მაგრამ არ წახდე ფესვი გაიდგი!...
ნუ აჩქარდები აწონ-დაწონე ,
სად გეჩქარება სული ჩაითქვი,
შენს თავს სამზეოდ ნუ გამოიტან,
ნუ გაშიშვლდები-- მთლად ნუ გაიხდი!...
ფუღუ ხომ არ ხარ-- რამ შეგაშინა,
წინასწარ თვალებს ნულარ დაითხრი,
მაშ მიეჩვიე შენით სიარულს,
სხვისი იმედით როდის გაივლი,
და მაინც ბოლოს მარტოდ დარჩები,
ბევრს ნუ იდარდებ-- თავს ნუ დაიღლი...

შენს სახლში ძილი ასე გაძვირდა?

ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა,
შიშმა ფესვები სულში გაიდგა,
ოთახში უცხო მოხუცი ფშტვინავს,
კალამს დავხედე-- სულში ჩამიძვრა,
რაღაცას ვწერდი ვაკუმში მოვხვდი,
ჩემი ფიქრებიც სადღაც გაიქცა.,
ეს არაფერს გავს--მხარი მეცვალა,
გულის ხმა მესმის თითქოს დამძიმდა.

ამქვეყნიური ასეთი არის?
იმქვეყნიურს გავს--იქ კი რა მინდა!
წვიმის ხმაც მესმის, ქარიც ბანს აძლევს,
თავს ვეღარ ვაღწევ---სულშიც გაწვიმდა,
ახალ წელს ასე ეგებებიან?
ეს ამქვეყნიურს ძალზედ დაცილდა,

ეს რეალობა გადამითარგმნეთ,
ვიღაც ჩურჩულებს-ცხოვრება გაძვირდა.

შენ-შენი თავი მსხვერპლად გაიღე,
პასუხს ნუ ითხოვ-- სხვისგან რა გინდა?
მოხუცს ვერ ტოვებ? ასე არ არის!
თავს რა დამართე--ნირი წაგიხდა?
ცრემლიან თვალებს--ლიმილს აძალებ,
ეს გაღიმება ნუთუ რა ღირდა!
უცებ მოხუცის ხმა მასთან გიხმობს,
თუმც გაუღიმე-- რაღაც შეგნიშნა.

ჩამქრალ თვალებით მზერა მოგაპყრო,
ნეტავ რა იგრძნო-- მწარედ ჩაფიქრდა,
ვერ გამოვდივარ რეალობიდან,
არადა ვცდილობ--სული დამძიმდა.
მე ამ ფიქრებში სიჩუმეს ვებრძვი,
ფიქრებს ვერ ვათბობ სულ მთლად გაცივდა,
და მაინც ლმერთო გთხოვ მომიტევო,
დასალიერში ეს რად დამჭირდა,
ეს სამართალი სად უნდა პოვო,
შენს სახლში ძილი-- რატომ გაძვირდა!...

თუ კი შეეჯიბე აღმართს, ამაყად აიარე ეს მთა

გზა გავაგრძელე ღმერთო,
ალარ ველოდები მავანს,
ათას ფერებს გიხატავენ ყალბად,
გიყვებიან ჭრელა--ჭრულა ამბავს!..

წვიმა მკურნალია სულის,
არ დანებდე მოსისინე ავ-- ქარს,
უსათუოდ გაწვიმდება ერთ დღეს,
წვიმას ბადალი არ ყავს!

მთა-ბარს გადაივლი ფიქრით,
ნისლშიც მოგიხდება გავლა,
უკუნს მიეჩვევა თვალი,
ზოგჯერ ჩაგეძინა სადღაც,
ვიღაც ჩაგჩურჩულებს ყურში,
აღარ შეუშინდე აღმართს,
ღმერთმა დაგიხაზა ეს გზა,
დაღლილმა გაუყევი შარას.

ხვალის გათენება გიმძიმს,
მაინც გათენდება--რა ქნას,
ბოლოს ამას ხვდები მარტო,
დრო რომ წვალებაში გაგყავს.
სიცივს გაგრძნობინებს ბევრი,
თითქოს დარდობენ--არ დაცხეს,
ხედავ შენს თავს ასე კარგავ,
გენატრება და ეძახი სად--ხარ?!

უკან მოუხედავ სევდით,
ვერ გაუძლო--დაიკარგა არ ჩანს,
შენი თავი მოგენატრა უცებ,
დღევანდელი უკვე--ვინც იყავი არ გავს.
უაზრობას გაუსწორე თვალი,
შენი თავი დაღლილი რომ დაგყავს,
ჩაიკარგე უმიზეზოდ სადღაც,
საკუთარ თავს ვერ იპრუნებ-- კარგავ...

როცა გადამივლი თავზედ, გოლოს პასუს ითხოვ-- რაზე?

იქნებ მოთმინებამ ქედი მოიხარა,
ფეხს ნუ დააბიჯებ თავზე,
ნუღარ გადაუვლი--იქნებ შეეკითხო,
თავი დაგიხარა--რაზე?
საზღვარს ნუ გადახვალ თორემ
აფეთქდება,
თუ კი გააკარი ჯვარზე,
როცა ბედნიერი ლალად მივაბიჯებ,
ნუ გადამელობები გზაზე.

მიწას დავაბიჯებ ერთი ცოდვილი,
გაფრენას არ ვაპირებ მარსზე,
ნუღარ გამოცდი ჩემს მოთმინებას,
ამ დროს გიჯობს გადგე განზე,
შედეგსაც დაელოდე ფინალს რომ ვერ გახვალ,
მამინ რაღას იტყვი მატზე?!

მოთმინებამ თუ ქედი მოგიხარა,
ნუღარ გადაუვლი თავზე,
ლმერთი თუ არ გახსოვთ თვითონ გაგიხსენებს,
იქნებ აიხედო ცაზე!...

თუ გადაწყვიტე უდეა დაცერო...

თუ კი მოგინდეთ, რაღაც წარმოთქვა,
თუ წერ დაწერე რაც გაქვს სათქმელი,
ყველა ტკივილი თუ სიხარული,
პირდაპირ წერე რატომ გაჩერდი,
როცა არა სთქვი რა გამოვიდა,

უფრო გატკინეს-- მიხვდი? რა ქენი,
შენს კალამს ნუღარ შებოჭავ ძალით,
ბორკილი შენი ხელით ახსენი!...

თუ კი სიმართლეს არ წერ მითხარი,
მელანს ტყუილად რატომ აქცევდი?
თუ მუდამ შოლტის შიში დაგყვება,
კრიტიკას მაინც ვეღარ აცდები.,
მავანს თუ ცდილობ ასიამოვნო,
ამით საკუთარ უფლებებს არღვევდი,
მაგ გულში რასაც გრძნობ, გადმოიტანე,
სხვებმაც შეიგრძნოს--რასაც დაწერდი!...

ის ამბიცია რომ მწერალი ხარ,
ეს არ გჭირდება შენ სთქვი სათქმელი,
თუ აირჩიე ერთგულ მეგობრად,
კალამი ხდება შენი საყრდენი.
ნუ ამოკრიბავთ ლექსთა კრებულში,
შენი სიტყვით თქვი-- არის გამგები,
ფერად-ფერადი სიტყვა ყალბია,
აქ გული არის მხოლოდ დამკვეთი,
თუ გადაწყვიტო უნდა დაწერო,
მაშ დაგვიწერე რაც გაქვს სათქმელი!...

ეს საქართველო ნეტა ვის განდოთ?

შენ საქართველოვ, მგონი დაგცინეს,
მიზეზს შიშისგან ვერავინ ამბობს,
ასგზის გზა განვლო ჩემმა ქვეყანამ,
მაგრამ ასეთი არავის ახსოვს.
იყო მთავრობა სხვადასხვა ნიშნით,
ბევრს არ მოგვწონდა ვის რა არ აწყობს,

ახლა--არ მოგვწონს-- ეს სიტყვა გაქრა ,
ხალხს მთავრობა სძულთ, ზოგნი კი ხარობს!

ეს სიძულვილი პოლიტიკოსებს,
არც ძარღვს:უტოკავს-პირიქით ართობს,
ეი თქვენ ვინ ხართ ხალხს რომ
აბოლებთ,
მგონი სამშობლოს უსიტყვოდ
დათმობთ!
პოზიცია თუ ოპოზიცია,
ხალხს რომ იყენებთ ამას თუ ატყობთ,
ხალხს შერიგება უფრო სჭირდება,
ეს ორი ძალა ცას თავზედ გვამხობს!...

სიმართლის მთქმელს რომ
კანონებს უწერთ,
შეშინებულ ხალხს სათქმელი ახრჩობს,
პოლიტიკოსებს ხმა დაუბობდათ,
ეს რიტორიკაც ვის როგორ აწყობ.
ამასობაში დაობლდა მიწა,
ხალხის ტკივილი არავის ახსოვს,
თუ ხმა გაიღე-- გადაგნათლავენ,
ან ოცნება ხარ ან ნაცი ამ დროს,
მართლა დაიბნა ქართველი ხალხი,
ჩვენი სამშობლო ვის უნდა განდოს!

სანამ მოდიხართ ნოხებს დაგვიფენთ,
შემდეგ ბრძანებლობთ როგორც თქვენ გაწყობთ,.
ოპოზიციამ ხმა დაიდაბლა,
ზოგნიც მოხიბლეს მთავრობას ამკობს,
და მაინც ტოვებთ შთაბეჭდილებას,
მეჩვენება თუ ერთმანეთს ართობთ,

ნეტა გათენდეს ის უღრუბლო დღე,
ძალაუფლებას თქვენით რომ დათმობთ,
იყო მთავრობა აღარ მოგვწონდა,
ახლა კი გვძულს და ენა ვერ ამბობს...

და მაიც იცი? ღმერთი არ გაგირავდა..

მზე რომ აღარ იყოს, ცხოვრება გამყინავდა,
წვიმა რომ არ იყოს, ცრემლებს ვინ მომბანდა,
ქარი რომ არ იყოს, სუნთქვას შემიკრავდა,
მთვარე რომ არ იყოს გზას ვინ გამიყვანდა!

თოვლი რომ არ იყოს, სულს ვინ დამიბანდა,
სიცოცხლეს მოიძულებ? ფონს ვერ გაგიყვანდა,
სიკვდილზე რას იტყვი? ის ვერ დაგიცავდა,
ეს ცხოვრებაა--მახეს დაგიდგავდა!

ეშმაკი რომ არ იყოს ტაშს ვინ დაგიკრავდა,
ადამიანთან მგელი უნდა იყო,
თუმც მგლურად ყოფნა შენ ხომ---არ გიყვარდა,
მყარად თუ არ დადექ, იქვე დაგიმთავრდა,
ფესვები თუ მოგერყა, მიწა ჩაგიტანდა!

ზოგჯერ გულწრფელობა უფსკრულს ჩაგიყვანდა,
ამდენ სიყალბეში--ძეგლს ვინ დაგიდგავდა,
დარში ვინ იცის რამდენჯერ--გაგიავდოდა,
და მაინც იცი--ღმერთი არ გაგწირავდა,
ღმერთო მაპატიე--- თუ ლექსი გამიმკაცრდა...

მხოლოდ ღმართის ნიც თუ დაგვაჩოქაბთ...

სულ მინდა ვწერო თუნდაც ურითმოდ,
გულს მოვიოხებ და აქ დავტოვებ,
ღამეც თითქოსდა მეკამათება,
შენს საწოლს ვისი სახლში ასწორებ?
კითხვებსაც მისვამს--ალაპარაკდა,
ღამეც ჩემსავით გიუებს მაგონებს,
სახეშეშლილი ყურში ჩამესმის,
შენ დატოვე და ის კი არ გტოვებს!

ჩემს საქართველოს რა ელოდება,
ფესვებს მიადგნენ-- გული გამოხრეს,
ყველას საღათას ძილით რომ გვძინავს,
სიზმარში ვინდა წამოგვაბოდებს!
განა არ არის? პატრიოტები?
მოთხოვნა ლანგრით ჩამოგვაწოდეს,
ჩვენ კი შორეულს მივემგზავრებით,
ყველა მოთხოვნებს ჩამოგვაშორეთ.
პატივი დაგვდეთ ომი არ იყოს,
ისე რა უჭირს დაგვამათხოვრეთ,
ლუკმა პურისთვის ოჯახებს ვტოვებთ,
ჭამისთვის ქართველს ნუ გაგვაღორებთ.
წამსვლელის პირი ვხედავთ არ გიჩანთ,
ალბათ დაგვცინით ხომ დაგვაჩმორეთ,
ნუ გაგვიყიდით ჩვენს წილ მიწა--წყალს,
ღმერთი მიწასთან გადაგასწორებთ!
ღმერთო, ანიშნე მოღალატეებს,
მხოლოდ ხატის წინ თუ დაგვაჩოქებთ!...

ადამიანი წრფელი უნდა იყოს...

ადამიანი წრფელი უნდა იყოს,
მას სარკესავით უნდა უყურებდე,
ადამიანი ეშმაკს არ უნდა გავდეს,
სხვებს ცხოვრებას არ უნდა
ურთულებდეს.
ადამიანი ადამიანს უნდა გავდეს,
ადამიანს მხეცივით არ უნდა უყურებდეს.
ადამიანი სადაც უნდა იყოს,
სხვებს ხასიათს რომ აღარ უფუჭებდეს.

ადამიანი არ უნდა თამაშობდეს,
სიმართლის ნაცვლად--
სპექტაკლს რომ არ დგავდეს,
ადამიანთან ფრთხილად უნდა იყო,
შენს თავს საიქიოს რომ არ უბარებდეს,
ადამიანი ასეთი უნდა იყოს, გულში
დარი რომ გაქვს--- აღარ გიავდრებდეს,
ადამიანი ჩუმალა არ უნდა იყოს,
შენს ჩასაძირად მახეს გიმზადებდეს.

ადამიანი წრფელი უნდა იყოს,
მისი სიმართლე მუდამ მქუხარებდეს,
ადამიანი ისეთი უნდა იყო,
სხვებს რომ სიცოცხლეს აღარ უმწარებდეს,
ადამიანი ისეთი უნდა იყოს,
შენი არსებობა ყველას უხაროდეს,
ადამიანად ღმერთმა--გაგაჩინა და,
ამისათვის ღმერთს უნდა უმადლოდეს...

შარა--გზა ფრთხილად სახიფათოა...

იცით? რას ნიშნავს სიტყვა შარა-გზა?
ის შორიც არის შარსაც აგკიდებს,
თუ დაადგები ამ გზას კაცურად,
შარსაც არ ნახავ არც გაგაგიუებს,
შარა-გზას ადგე ზოგჯერ კარგია,
ამ დროს პრობლემაც თავს აგარიდებს,
არის ისეთიც ამ შარა-გზაზე,
ვიღაც შეგხვდება ფეხს დაგაბიჯებს.

ამ სავალ გზაზე ჯოგს ნუ გაჰყვები,
ვიღაცას ნახავ კვლავ აგატირებს,
თვალგახელილმა უნდა იარო,
ტალახებს ფეხი გადააბიჯე,
შარაგზას ღიღინ--ღიღინით ჩაყევ,
ცუდი იმ კარგით გააბათილე,
და ამ შარაზე ბევრი შეგხვდება,
შენც შეარჩიე გაანალიზე.

ზოგი მძიმე ტვირთს მიათრევს სიმწრით,
შენ მეტად ნულარ გაუსაძლისებ,
თანამგზავრს ხელი ჩასჭიდე მაგრად,
ჭირი და ლხინი გაანაწილე,
აი ეს არის შენი შარა-გზა,
ეცადე ეს გზა-გაახალისე,
მუდამ შარასაც ხომ არ გაყვები,
ფონი მონახე-- დაანაპირე...

თამარ მავა ისევ იპრძის...

მეთორმეტე საუკუნე,
უკვდავია აღარ კვდება,
თამარ მეფეს ვიგონებთ და,
დანანებით გული გვწყდება,
საქართველოს დღეს ვინ მართავს,
სამარცხვინო-ლაქა ჩნდება,
ახლა პრეზიდენტის პოსტზე,
ვისაც უნდა იგი ჯდება.

ხალხის ნებას ვინ უყურებს,
ცუდი დღენი დაგვიდგება,
ქართველებს ხომ თავის დახრა,
ასე ვფიქრობთ არ გვიხდება,
ხალხს კითხვები დაუგროვდა,
პრეზიდენტი ამ დროს ქრება,
არ ადარდებთ საქართველო,
თამარ-მეფე ახლა კვდება,
იდუმალი საფლავიდან,
ჩვენი ცოდვით ფეხზე დგება.

თამარ--მეფის ნაკვალებზე,
ღმერთო ჩემო ეს რა ხდება,
ხალხის რჩეულს კი ვეძახით,
და ხალხისთვის დრო არ რჩებათ,
მთავრობა რომ ხალხს აბოლებს,
მუდამ იყო--კვლავ გრძელდება,
გაიყინა საქართველო,
ეს მთავრობა აღარ ლლვება.

ვერ მიმხვდარვართ სად მივედით,
შიგა ომი უკვე ხდება,

სიმართლისთვის მებრძოლთ გული,
გაეყინათ აღარ დნება,
საქართველო--გაიხლიჩა,
მგონი ამას ბავშვიც ხვდება,
ქართველებო გამოფხიზლდით,
ნინაპრები გაგვიწყრება.

იქნებ უკან დაიხიოთ,
საქართველოს ბედი წყდება,
მოწყალებას მივეჩვიეთ,
ველით ღმერთი გამოჩნდება,
ასეთ ჩუმი შეგუებას,
ყველამ ვიცით რაც მოყვება,
თამარ მეფის ნაკვალებზედ,
ამათ ხელში რა მოხდება,
წლები გავა და ყველაფერს,
ისტორია კვლავ მოყვება,
თამარ მეფის საქართველო,
კვლავ იბრწყინებს-- არ მოკვდება.

სანამ გვიან აღარ არის...

ზოგჯერ დასათმობი შენით უნდა დათმო,
სანამ გვიან აღარ არის,
თორემ დაიღლები--თავი შეგძულდება,
დრო მტკიცნეულად გადის.
თავის შეკავება ზოგჯერ საჭიროა,
მასაც--საზღვარი აქვს არ ღირს,
რატომ ვერ ელევი მტკიცნეულ არსებებს,
ძლიერი უნდა იყო რა გჭირს?
ადამიანი ასე არ იცვლება,

თავის მოტყუება დაგლლის,
 როცა წვიმა მოდის-თავი შეაფარე,
 სენი შეგეყრება--გაწვიმს,
 გვიანი იქნება ისევ გეტკინება,
 ბოლოს იძულებულს გაგხდის,
 ვინც დასათმობია თუ კი აღარ დათმობ,
 თვითონ მტკივნეულად წაგშლის,
 მზის ამოსვლას ნუ დაელოდები,
 ზოგჯერ დროზე ადრე ჩადის...

ზოგნიც თავის თავს პრძოლას უცხადებს, სხვას ვერ იმატებს და მის თავს იცავლავს

ზოგნი იბრძვიან არსებობისთვის,
 ზოგნიც მილიონს ჩუმად იპარავს,
 ზოგნიც სიცოცხლეს ებრძვის უწამლოდ,
 ზოგიც ნიღბებით სახეს იფარავს,
 ზოგნი სახატავ ფანქრებს ვერ იძენს,
 ზოგნი ათასგვარ ტატუს იხატავს,
 ზოგნი საკუთარ კერას ნატრულობს,
 ზოგნი კი ოქროს კიბეს მიადგავს,
 ზოგნი კანონებს წერს სათავისოდ,
 ზოგნიც კანონით თავსაც იწამლავს,

ზოგნი რესტორნის საჭმლით ნებივრობს,
 ზოგნი პურის ფულს ძილვსდა ინახავს,
 ზოგნი ფულიან ქალებს ეძებენ,
 ზოგნი სიყვარულს ჩუმად ინახავს,
 ზოგნი სამშობლოს ბედზე განიცდის,
 ზოგნი არჩევნებისთვის საქმეს იჩარხავს,

ზოგნი დღე და ღამ ფიქრობს შვილებზე,
ზოგნი საკუთარ სახლში იპარავს,
ყველა ათასგვარ ცოდვებს ჩავდივართ,
და ღმერთი ცოდვილთ მაინც გვიფარავს

ადამიანო ეშაკთან თუ მორიგლი, ეცადე სუჟარულს ნაგავზედ თუ მოისვრი

ვეღარ დაბრუნდები--ისე შორს გაგიშვი,
იმედიც არ არსებობს ტყუილად ნუ მოიცდი,
სასჯელს ასე ჰქვია, რას დასთეს მას მოიმკი,
ახლა იტანჯე და ნერვებს ნუ მოიშლი.

იქნებ ინანიებ-- ესეც არა მჯერა,
სასჯელი ისეთია ვერასდროს ვერ მოიხდი.
გველი ტყავსლა იცვლის,
შხამს არ გამოილევს,
ახალ მსხვერპლს დაგესლავს,
მაშინვე როს მოიცლის,
და თუ მავანმა თავი წააწყვიტა,
სამწუხაროა--ბოდიშსაც ვერ მოიხდის.

გველის პატიება--ფუჭი მცდელობაა,
ალარ შეიცოდო--თავისას არ მოიშლის,
ანგელოზობაზე პრეტენზია თუ გაქვს,
ფრთები შეამოწმე--ხელი მიმოისვი,
ადამიანო--ეს რა ცოდვა გადევს,
ისე დაგიმძიმდა---სული ვერ მოითქვი,
ჩემი თვალები ვარსკვლავზე ნათელია,
თავი მოიკალი---ჩემამდე არ მოგიშვი...

სიყვარული ასე შემაძლე..

როცა სიცოცხლე მიხაროდა,
გული სითბოსაგან დამიცალე,
როცა სიყვარული დავაპირე,
შენი ორპირობით დავიღალე,
არადა სიყვარულით დამიპყარი,
თურმე ქაღალდზე დამიხატე,
იცი საოცარი ქალის გვერდით,
შანსი დაკარგე და არ ივარგე,
ახლა ყველაფერი როცა მოკვდა,
გავცივდი და ვეღარ შეგიბრალე.

სიზმრად მომაკითხე ცოდვებს ფქვავდი,
მე კი ვერა და ვერ შეგიწყალე,
მე რაც სითბო მქონდა შენ წაიღე,
შენთან ბოლომდე დავიხარჯელ
ოცნება წმინდა რაც გამაჩნდა,
ყველა ამირიე წამიშალე,
შენი გაღიმება შემიყვარდა,
სადღაც გაქრი და დამიმალე.

შენი სიყვარული მიხაროდა,
ღიმილი ცრემლებით შემიცვალე,
შემდეგ მოდი და მეუბნები,
მაპატიე სიყვარულო შევიცვალე.
სიყვარული მკაცრად შემასწავლე,
და ასე სამუდამოდ შევიზარე,
შენი დავიწყება დავაპირე,
და ბოლოს ისიც ამიკრძალე,
ასეთი ყოფილა სიყვარული,
და მეც ვერ გაუძელი -- დავიღალე..

მუდგივ სიჩუმეს ტკივილი მოაქვს

სიჩუმემ გული ბევრჯერ გატკინა,
ბოლოს ტკივილი გიკვირს?
და თუ არ ეტყვეი-- ნურც თავს შესწირავ,
თუ ვინმე ნერვებს გიშლის.
სიჩუმე ზოგჯერ ცუდის ნიშანია,
ბოლოს გრიგალი იცის,
არ მიეჩვიო სიჩუმეს დიდხანს,
თორემ დაღლილი ივლი.

სიჩუმე ზოგჯერ საჭიროა არის,
მაგრამ მუდმივად იწვის,
არის ისეთიც როცა სიჩუმე,
უარესისგან გიხსნის.
გადაჭარბებული მოთმინებები,
თავის საფასურს იხდის,
დღეს დაგუბდები--ხვალ დაიხრჩვები,
ზეგ კი ხმამაღლა იტყვი.

და მაინც ნეტა--რომელი გიჯობს?
ტკივილებს ჩუმად რომ ითვლი?
შენს სათქმელს ერთ დღეს სხვები მორთავენ,
და სულ სხვაგვარად იტყვის.
სათქმელი თუ გაქვს იმას უთხარი,
ვინც მართლა გულში გიზის,
ამ უთქმელობით თავს აზარალებ,
ეს ყველაფერი გიღირს?

ღმერთო საქართველოში მიწდა გაათაცო

დილამშვიდობისა ჩემო საქართველო!
 დილამშვიდობისა--ზღვაო--მთა და მდელო,
 ჩვენი შეცდომებით ძალზედ გადაღლილო,
 წელში ვერა და ვეღარ გამართულო!...

დილამშვიდობისა ცრემლით დანამულნო!
 იმქვეყნად გაფრენილნო მიწად დამარხულნო,
 ამ ჩემი ლექსით იქნებ გაგახსენნო,
 ქართველი უცხო ცის ქვეშ არ უნდა გააჩერო,
 ისინი შენს ფრთებქვეშ უნდა დააბერო.

ღმერთო, საქართველო იქნებდა გაამრთელო,
 მზე გვანათებდეს--აღარ დააბნელო,
 დილამშვიდობისა ჩემო საქართველო!
 ქართველნო ემიგრანტნო--სადღაც დაფანტულნო.

წლების მონატრებით ძალზედ დატანჯულნო,
 გმირო დედებო და გმირო ვაჟკაცებო!
 გულის სიღრმეში კი დარდით გათანგულნო,
 დილამშვიდობისა ჩემო საქართველო!
 ქართველი უცხო ცის ქვეშ არ უნდა დააბერო!...

არ გააღმერთო ადამიანი

არ გააღმერთო ადამიანი,
 სასწაულმომქმედი ვარო--ასე იფიქრებს,
 არ გააღმერთო არავინ თორემ,
 ზეციური ვარო--ასე იყვირებს,
 ის რეალობას თვალს დაუხუჭავს,

მიწიერობას--უცებ ივიწყებს,
ადამიანი არ გააღმერთო,
დღეს ვერ მიხვდები-- ვინ რას გიპირებს,
შენს წინ ნურავის ნუ დააყენებ,
დადგება დრო და ღმერთან გიჩივლებს,

ადამიანი იცი ვინ არის? გაგამხნევებს,
და შენს ტვირთს იტვირთებს,
არ გააღმერთო ადამიანი,
შტერად ჩაგთვლის და შენზედ იცინებს,
ვისაც აღმერთებ ის დაგაჩმორებს,
შენ არავინ ხარ-- ასე იფიქრებს,
დღეს უცოდველი არავინ არის,
ცოდვების კანონს ღმერთი მიიღებს,
დღეს სამუდამო არაფერია,
დღეს დარი იყო--ხვალ კი იწვიმებს...

ღვართო მგონია სულსაც დავათრავ

რა უნდა მოხდეს კიდევ არ ვიცი,
ეს ბედისწერა-- სად არ მატარებს,
ყოველ ტკივილზე სასწაულს ვებრძვი,
ღიმილში ცრემლი რომ არ დამაჩნდეს,
იყო ისეთიც ეშმა მიწვევდა,
ვეღარ გამტეხეს--სულზეც დამადგეს,
შტორმშიც მოვყევი-- ქვას მახეთქებდა,
მეჩვენებოდა-- დამასამარეს,
მარტოდ დარჩენილს ღმერთი მიცავდა,
მავანმა სუნთქვა აღარ მაცალეს.
ჩემი კუთვნილი რაც კი გამაჩნდა,
ვერც გავისაზრე-- რად ამაცალეს.

იმდენ გამოცდას გაუძლო გულმა,
 წისქვილის ქვაზეც გადამატარეს,
 ბედნიერება რას მიქვიაო,
 გადამიმალეს--არ გამახარეს,
 დრო ისე მიქრის--თავბრუ მეხვევა,
 ღმერთო-- მგონია გადამასახლეს,
 სულის ტკივილი ისე დამძიმდა,
 მეგონა თითქოს-- ჯვარზედ გამაკრეს,
 სულის მკურნალი რაც გამაჩნია,
 მხოლოდ ღიმილი ვეღარ წამართვეს.

ეს --სიძულვილება დასამარა...

ქარის შრიალში, ჩურჩულს უსმენდი
 და იღებოდა სულის დარაბა,
 თმებს ეხებოდა თბილი ხელები,
 გრძნობამ კი თავი ვეღარ დამალა,
 ყველა ფოთლები თავს დაგცეროდა,
 ზოგიც ცვიოდა ქარმა დაღალა.
 ორ სიყვარულით გათანგულ წყვილებს,
 სულ არ ესმოდათ როგორ გაავდრდა.

და მაინც წვიმამ ვერ მოითმინა,
 გრუხუნი ატყდა და ცა განათდა,
 წვიმამ თავისი კალთა დაუშვა,
 არ დაიშურა თუ რამ გააჩნდა.
 წყვილი მოფხიზლდა და გზაც გაიყო,
 ის სიყვარულიც ამით დამთავრდა,
 წვიმა თავისი საქმეს მორჩა და,
 ეს რომანტიკაც სულმთლად წაშალა.

სიყვარულის ქალს ბედნიერება,
ღმერთო მითხარი რად არ დასცალდა,
და ამის შემდეგ ის დანარჩენი,
იმ გამოგონილ ღიმილს აგავდა.
ფიცი და ლტოლვა ტკბილი რომ იყო,
დაბერილ ქარმა სადღაც გაფანტა,
წუთის წინ სიყვარულს ეფერებოდნენ,
და სიძულვილმა და ასამარა...

მართალი დარჩი თუდაც დაგმარხონ...

წუ დაეშვები იმდენად დაბლა,
რომ შენი თავი, შენვე დამარხო,
ხელს წუ ჩაუქნევ ცხოვრებას ისე,
შენი ცხოვრება ვიღაცამ მართოს.
არვინ მოუშვა ნაიარევთან,
ხისტად შეგეხოს და ისევ გავნოს,
უსამართლობას ვერ მოერევი,
ცუდ ნამოქმედარს უფალი დაგმობს.

წუდარ გახდები მუდამ მორჩილი,
თორემ ერთ დღესაც ღირსება დაგთმობს,
ასეთიც ხდება შენს თავს დაკარგავ,
თუ ვინ იყავი ისიც არ გახსოვს.
ეშმაკისეულთ რაღაც წუსხა აქვთ,
ჯერ გეფერება --გგონია გათბობს,
ასე დაბნეულს გზა აგერევა,
ვეღარ მიმხვდარხარ წეტავი რა სჯობს.

წუთისოფელი ძალზედ მკაცრია,
ყველა გამოცდა უნდა ჩათვალო,

ეხ თუ ცხოვრებამ ერთხელ გიმუხთლა,
ყველა ნაბიჯი უნდა გათვალო.
თუ კი დაეცი-გადაგთელავენ,
გირჩევ წამოდექი რომ არ დაგჩაგრონ,
ბოლომდე თუ კი არ სთქვი სათქმელი,
ვიღაც ეცდება შენ რომ დაგასწრონ.

აზრი არა აქვს ზოგჯერ რას იტყვი,
მუდამ მოგთხოვენ სწორად განმარტო,
ღმერთის შვილი ხარ და მოვალე ხარ,
ჭეშმარიტება სწორად დახატო.
და მაინც თუნდაც გასამარებდნენ,
მართალი დარჩი და ეს არ დათმო,
თუ ქრისტიანად გაჩნდი ამქვეყნად,
ყოვლისშემძლე ხარ, უნდა ჩათვალო...

ცხოვრება ცეცხლი არის, ფრთხილად დაინვები

დგება მომენტი ღიმილიც გაგიქრება,
არადა განწყობისთვის რას არ გაიღებდი,
ყველანი სიყალბეზე გესაუბრებიან,
ნამდვილი ვინაა? ვისგან გაიგებდი.
ამ დროს ყველაფერი არად გვეჩვენება,
ამ ყველაფრისგან ძლიერ დაიღლები,
უგზო-უკვლო ფიქრი თავში აგერევა,
თავპრუ დაგეხვევა-უღვინოდ დაითვრები.

იცოდე ღირსება აღარ ხურდავდება,
ეცადე გროშებად ნულარ დაითვლები,
სირთულეებით სავსეა ცხოვრება,
თავი გაართვი--ნულარ დაიბნევი.

ზოგჯერ კლდედ იქეცი-- თუ კი საჭიროა,
მყარად უნდა დადგე-- ნუღარ წაიქცევი,
თუ კი შიში იგრძენ ეშმაკი მოგჩვევია,
ეცადე გააქციო--შენ ნუღარ გაიქცევი!

მავანმა იქნებდა ვეღარ შეგაფასა,
მთავარი არის შენ ნუ დაკნინდები,
ზოგჯერ ცრემლები თუ არ გადმოუშვი,
მოთმინებებით მართლა დაიხრჩვები,
ეს მოთმინება იცი? გაზარალებს,
უბრალოდ მავანთან სულელად ჩაითვლები,
თუ კი დაიღლები და ხელს ჩამოუშვებ,
ცხოვრება ცეცხლია უთუოდ დაიწვები.

**გამინ შევხვეტ ლექსის წერას,
როს მელანი გამიშრება...**

სიყმაწვილის წლებს რა უთხარ,
სიყვარულზე ვიწყე წერა,
ღმერთო ვეღარ ვაფერადე,
ჩემი მძიმე ბედისწერა,
ბნელშიც ვწერდი როს კიოდა.
ჩემში მუზის მძიმე თემა,
ლამით ფურცელს ბრმად ვაწერდი,
დილით ვცნობდი რაც მეწერა.

წლებმა თმებში ჩამოთოვა,
და ვიგრძენი დაბერება,
მაინც ვწერდი სიყვარულზედ,
წლების ცვეთის არ მეჯერა.
მთავარია კალამს ვენდო,

უნდობლობა დამეჩვევა,
სული ვანდე მე ჩემს კალამს,
მისით ამბობს რაც მეთქმება.
ყველა სიტყვა ჩემგან მოდის,
გულიდან რომ დამეღვრება,
ზოგჯერ ჩემს თავს არ ვეკუთვნი,
მიკვირს მუზა არ მეშვება.
ამ დროს იქნებ მავანს უკვირს,
არ ისვენებს -- არ ჩერდება,
ყური მუდამ სხვას თუ უგდე,
კაცი მართლაც გაძეჩდება.

ბედის მწერლის გზით მივდივარ,
თქვენ ეს მართლა არ გეხებათ,
მამალი თუ არ იყივლებს,
დილა მაინც გათენდება.
კაცზე უფრო ღმერთმა უწყის,
წერა რატომ არ მბეზრდება,
სულ არ მინდა ის სტატუსი,
მწერალი თუ არ მერქმევა.

ყველა სიტყვა ჩემი არის,
ზოგჯერ ყველას კი გვეშლება,
კრიტიკოსი იყავ მაგრამ,
გული ბოლმით ნუ გევსება.
ყველამ წეროს თუ რაც უნდათ,
ფეხებში თუ არ გედებათ,
წერას ვყავარ აყვანილი,
ცუდი--კარგი არ მეშლება.

ამდენს მიტომ ვლაპარაკობ,
რომ კალამი არ მეღლება,

პოეტი ხარ თუ მხატვარი,
ეს შენ უფრო გაგეგება.
სხვებს თუ უსმენ ვინ რას იტყვის,
ნოხად არვინ დაგეგება,
ჩემთვის დიდი სტატუსია,
ადამიანი თუ მერქმევა...

თუ სიყვარულია--აქეთ მაჟაროს...

მე სიყვარულის ფერებას ვტოვებ,
თუ სურვილი აქვს თვითონ მეფეროს,
მე სიყვარულის გზიდან ვბრუნდები,
თუ შეძლებს ამ დროს მან შემაჩეროს.
სიყვარულისთვის რას არ აკეთებ,
თუ გადაგთელეს--ჩვენც გადავთელოთ,
სიყვარულს ჩვენი დაბერება სურს?
მოდი ვაჯობოთ ჩვენ დავაბეროთ.

გულში რომ ვიკრავთ თუ გაფრინდება,
ვერ მობრუნდება--ეს დავაჯეროთ,
როგორ არ მინდა სიყვარულს უცებ,
სიძულვილი რომ გადავაწერო.
სიყვარულს შავი ფერიც ხომ დასდევს,
მინდა ის ფერიც გადავათეთრო,
და ამის შემდეგ სადმე ჩამოვჯდე,
და რაც კარგი აქვს-- გადავაბევრო.

აქ სიყვარულმა თავი ასწია,
უსუსურობა უცებ დაგვეტყო,
იქნებ აჯობოს რომ სიყვარულმა,
თავი დახაროს იქნებ გაბედოს,

ჩემმა ლექსმა გაბედა ეთქვა,
იქნებ ამ განცდას ქარმა დაბეროს,
სიყვარული თუ ყოვლისშემძლეა,
სუსტი წერტილი ყველამ ჩაკეტოს.

მინდა სიყვარულს ცრემლების ნაცვლად,
ბედნიერების კარი გაეღოს,
თვით სიყვარულის ბასრი ლახვარი,
მინდა სიყვარულს თავად გაეგოს.
სიყვარულს ვიცი ფერება უნდა,
მაგრამ ნოხივივით არვინ დაეგოს,
ამ ფერებაში ღმერთო არ მინდა,
უგულოდ დავრჩე-- გული წაეღოს,
მინდა ამ გრძნობამ-- ჩვენი სამყარო,
კი არ ანგრიოს--ტკბილად აშენოს...

უდაპნო დიდი სატყუარაა...

გამოცდილება, ბევრს ნიშნავს ვიცი,
გამოვიარე დიდი უდაბნო,
ამ უდაბნოში ბევრი მხეცია,
არვინ არ არის თუმცა უნაკლო.
მხეცმაც კი იცის კაცის დანდობა,
ადამიანთან რად ხარ უშანსო,
და კაცმა ოდეს თუ კი დაგინდო,
მთელი ცხოვრება უნდა უმადლო.

თავაწეული ამ უდაბნოში,
ნულარ დადიხარ--თავი დახარე,
იქნებდა თავში რომ აგივარდა,
იმ დროს ვიღაცის სული დაცალე.

თუ სხვაზე მეტად, თავს მოიწონებ,
ამპარტავნობა გიჯობს დამალე,
ვინც არ გიკადრებს შენც არ იკადრო,
მყისვე მოშორდი რაღა დაკარგე?

და სამწუხაროდ ძალზედ ბევრია,
ღმერთო ეგეთნი რატომ დაბადე,
ყველას საზომი ბუნება არის,
სხვის სასაცილოდ აღარ დავარდე,
თურმე ყველანი გადაგივლიან,
თუ კი მოცურდი და ძირს დავარდე,
უდაბნოს მხეცებს არ შეუშინდე,
აღარ დაეცე უნდა გამაგრდე.

იყავი სადა სხვებს არ ეჯიბრო,
შენც ისეთივე რად გინდა გახდე,
ყველა პრობლემა ოდესმე ქრება,
მთავარი არის უშიშრად დახვდე,
და ამ უდაბნოს ყური დაუგდე,
რადგან აქ გაჩნდი არ უნდა წახდე,
შენ შენი გზებით მიდი ფინალთან,
არ შეგიტყუოს ეშმაქს არ გაყვე.

დღეს რაც გჭირდება დღეს დაასრულე,
ნუ იზარმაცებ ხვალ რად გადადე,
წარმოდგენებით ნულარ იცხოვრებ,
ჭეშმარიტება შენ თვითონ ნახე,
უდაბნო დიდი სატყუარაა,
ნუ შეეცდები ვიღაცას გავდე,
სხვისი იმედით ნუ ჩამოჯდები,
შენი ცხოვრება შენ თვითონ მართე...

თოვლი მა მიყვარს გაუკვალავი.

მე კვალდამჩნეული თოვლიც კი მეჯავრება,
მძულს ახალ დათოვლილზე სხვისი ნაკვალები,
ზამთრის თეთრი თოვლი თმებზე დანავარდობს,
გულში ჩამიხუტე სულში ჩამადნები.

მე შენს წმინდა ფიფქებს თვალებს ვერ უსწორებ,
შიშით შემოგცერი ხომ არ გაწყალდები,
იცი? არ წახვიდე სანამ მე ვსუნთქავარ,
ნეტა ეს თუ იცი როგორ დამაკლდები.

ზამთრის თანამგზავრო ცოტაც ჩემთან დარჩი,
მე ღრუბლებს ვეტყვი წულარ გაშავდები,
ღრუბლები ხშირად კონკურს გიცხადებენ,
და ამ კონკურსში მუდამ შენ მარცხდები.
თოვლის ფანტელები მუდამ გეფერები,
მაგ შენს სუდარაშიც ავად არ გავხდები,
მზის სხივმა თვალი თუ კი გაახილა,
ვიცი გაქრები და შენ იქ არ დამხვდები.

ზამთრის თანამგზავრო წმინდად შემოდიხარ,
ასე წმინდა რომ ხარ მიტომ დამაკლდები,
შენც ხომ მოვლენა ხარ თითქმის ჩემი მსგავსი,
ოდეს შენი მსგავსად ერთ დღეს მეც გავქრები,
ზეცის ბინადარო ისევ გვესტუმრები,
გული არ გეტკინოს წულარ გაბრაზდები.

შენ გენი გემის კაპიტანი ხარ...

ერთი კარები თუ მოგიკეტეს,
ისევ იმ ადგილს ნულარ დადგები,
თვალი გააღე იქნებდა მალე,
მეორე კარებს შენით-აღებდი.
გადააბიჯე -- გზა გააგრძელე,
დაკეტილ კარებს ნულარ აკვდები,
ხვალინდელი დღე შენს ხელში არის,
თუ თავს ჩაკიდებ უფრო წახდები.

შენ--შენი გზა გაქვს სხვისი იმედით,
შენ-ბეჭდნიერი ველარ გახდები,
მთავარი არის მიზანი გქონდეს,
თუ მოინდომებ-- მკვდრეთით აღსდგები.
და ამის შემდეგ შენც გაიკვირვებ,
თავად შენს თვალშიც რომ ამაღლდები,
ყოველი დილა შენით დაიწყე,
მუდამ სხვის დარდით ნუ დაკავდები.

შენ შენი გემის კაპიტანი ხარ,
დროზე გაშალე თეთრი აფრები,
მუდამ დარდით ნუ დაიტვირთები,
წყალს გაატენე დარდი--მანდები.
დაკეტილ კარმა თუ შეგაშინა,
ღია კარებსაც შიშით დახვდები,
შენი კარები შენვე გააღე,
სხვა ნუ იქნება მისი გამლები.

შენს ცხოვრებაში შენ ივაჟკაცე,
სხვის სამოწყალო ნულარ გახდები,
ეკლიან გზებმა არ შეგაშინოს,

შენ მოაშენე ია-- ვარდები.
 შენს გასავლელ გზებს ფხიზლად გაყევი,
 ნუღარ იქნები ვიღაც გამვლელი,
 ცხოვრების კარი თუ ვერ შეაღე,
 შენ გაურკვეველ გზაზე დარჩები.
 ჩემს ლექსში ყველა კარი ღიაა,
 ახლა კი თქვენ თქვით თქვენი სათქმელი...

სამყაროს ლეირთო შველა სფირდება

მზემ სხივი შეკრა და გადამალა,
 ზამთრის სუსხმა, რომ არ გაუცივოს,
 მთვარემაც პირი ცოტა იბრუნა,
 ღამის წყვდიადში რომ დააძინოს.
 ღრუბლები, ცაში ტანგოს ცეკვავენ,
 მათი მისია რომ შეასრულონ,
 ზამთარმა კონკურსი გამოაცხადა,
 ყინულის მეფე არ შეაშინონ.

თოვლის ფიფქებიც მალე ჩამოვლენ,
 მას უმასპინძლებს მკაცრი ზამთარი,
 წარბებშეკრული ყინულს დააფენს,
 და გულს გააპოს მწყრალი ავდარი.
 ღრუბლები წყალს კი ზეციდან აწვდის,
 რომ გადარეცხოს ზამთრის საგზალი,
 აქ გაზაფხული რიგში ჩამდგარა,
 არ დაუყრია იმას ფარხმალი.

ზამთარი უბლვერს სიცივის ბუღში,
 იცის მისი დრო არის გამქრალი,
 ბოლოს მზის სხივთან ძალა არ ეყო,
 და საცოდავად დგას ნირწამხდარი.

ეს ყველაფერი მეორდებოდა,
რაღაც ახალი თითქოს არ არი,
ის კი ვიგრძენი რომ იმ ზამთარში,
რაც გვახარებდა არის გამქრალი.
რაღაც სჭირდება სამყაროს ღმერთო!
უფლის იმედად-- ნეტავ სანამდის?!...

შემოდგომაზე რა აღარ ხდება

შემოდგომაზე ხეებს გახედეთ,
შემოძარცვიათ სამოსი ტანზე,
ფერად ფოთლების შრიალი ისმის,
განისვენებენ ერთად მიწაზე.
შეხეთ ხეები მკაცრად დაგვყურებს,
გაპრაზებულნი გაგვიდგნენ განზე,
მისი სხეული გაძარცვულ სახლს გავს,
ყინვას მოელის--ვერ ფიქრობს დარზე.

ჩვენ დედამიწის ბინადარნი ვართ,
და ჩვენ არა ვართ პლანეტა მარსზე,
ეს შემოდგომაც ჩვენებურია,
დედამიწელებს რომ უყვართ ძალზე.
ძირს დაყრილ ფოთლებს არავინ ინდობს,
მათი დედანი დაჰყურებს თავზე,
ხომ შეიძლება ფეხით არ ვსრისოთ,
ცოტათი მაინც გავჩიოჩდეთ განზე.
ადამიანი სასტიკი რამა,
დაუნდობლები არიან ძალზე,
ძირს დაცემული არ უნდა გნახონ,
შეკითხვაც არ აქვთ,, რადა-ხარ-ასე?

და ჩემს გულშიაც შრიალებს რაღაც,
თავად ვერ უსმენ-- ვპრაზდები მასზე,
ფოთლების შრიალს ყური დაუგდეთ,
შველას ითხოვენ--უცხოურ ხმაზე...

ამ ცხოვრებიდან ვინ რას ითხოვდა...

ამ ცხოვრებიდან ვინ რას ითხოვდა?
ყველას თავისი წილი უნდოდა,
მაგრამ ვაი რომ ასე არ იყო,
ზოგი იწვა და ზოგიც დგებოდა,
ზოგს გასაქცევიც არ დარჩენოდა,
ზოგიც, ზამთარში თოვლით თბებოდა,
ზოგი ნარკოტიკს ეფერებოდა,
და ზეზეულად ნელა ლპებოდა.

ზოგს თავის აზრი აღარ გააჩნდა,
და სხვისიც თურმე აღარ სჯეროდა,
იყო ისეთიც ბევრი იცოდა,
მაგრამ შენ მაინც არ გიყვებოდა.
ვიღაცას ბევრი ცოდვა ჰქონდა და,
თუმცა პირიქით თავს შენ გესხმოდა,
ზოგიც ბულბულში მახინჯს ხედავდა,
ყვავი მოსწონდა და მას ეტრფოდა.

ზოგსაც უბრალოდ თავი მოსწონდა,
და უგვირგვინოდ მისთვის მეფობდა,
ზოგსაც სათქმელი ბევრი ჰქონდა და,
თუმც არ ომობდა თავს არ გესხმოდა.
ზოგს სიყვარული ალამაზებდა,
ზოგს კი ამ გრძნობის არა ესმოდა,

ზოგიც სიცოცხლეს სხვას უწამლავდა,
ზოგიც კი სიკვდილს ცხარედ ებრძოდა.

ზოგი ჰაერში ფეივერქს შლიდა,
ზოგიც სიმწრისგან სახეს იხოვდა,
ზოგს არა ჰქონდა და სხვას კი ბევრი,
თუმც ზოგი მაინც არას ითხოვდა.
ზოგი სამშობლოს ტყვიით იცავდა,
ზოგი კი ლანძღვით სიტყვებს ისროდა,
ზოგი მასხარა არას ამბობდა,
ჩუმად უსმენდა ვინ რას ამბობდა.

ეს ყველაფერი საოცრებაა,
შენი იყო და მაინც ქრებოდა,
ზოგჯერ უფსკრულის პირას მისულა,
შენს გვერდით მაშინ ღმერთი ჩნდებოდა.
ეს ყველაფერი ასე იყო და
მუდამ მარადესამს ასე ხდებოდა,
ზოგი ცხოვრობდა ლამაზ ცხოვრებით,
ზოგიც კი დღეში ასჯერ-კვდებოდა...

ფოლადიც დინა ...

სადღაც, ხის ძირას იჯდა ვიღაც და,
ხელში ეჭირა რაღაც ქაღალდი,
დასჩერებოდა თვალცრემლიანი,
ველარ მიმხვდარა--ახლა სად არი.,
ნეტავ რა იყო ასეთი მწარე,
ალბათ გაიგო ცუდი ამბავი,
და მალე, გონს, რომ მოეგო ცოტაც,
შემობრუნდა და თვალი წავკარი.

ეს იყო ქალი, ბევრი ტკივილით,
ვერ გააკვლია მისი გზა-კვალი,
გასაგებია იქ, რა უნდოდა,
ვერვის აუხსნა, მისი ან-ბანი.
სადაც, კი წყალი ეგულებოდა,
ყველგან დაუხვდა წყალი დამშრალი,
ამდენ, მაცდური ხალხის ყურებით,
ვერ გაარჩია, ვინმე მართალი.

და ის ქალალდი ხელში რომ ჰქონდა,
რაღაც ეწერა ცუდი ამბავი,
არადა ღმერთმა ასე ინება,
მისთვის დაირნა სიმართლის აკვანი.
შენ მიანიშნე ღმერთო ძლიერო!
სიმართლე ახლა ნეტავ სად არის?
უფალო ვიცი ძალა შენშია,
ადამიანი რკინა არ არის!...

ცეტავ სანამ დავიცდით

ღმერთო მოთმინებით ვდგევართ,
ბოლო სიტყვას შენ იტყვი,
მგონი აღარც ვსუნთქავთ უკვე,
ადგილიდანაც არ ვიძვრით.
ხვალ გვიანი აღარ იყოს,
ეს არავინ არ ვიცით,
დაბნეული ქართველები,
ნეტავ სანამ დავიცდით.

ეს ტკივილი არ შუშდება,
ასე აღარ გაივლის,

საქართველოს ფესვებს ტკივა,
მოვა დრო და დაითვლის.
ვას --ქართველებს პროგნოზი აქვთ,
ისევ ცუდი ამინდის,
მავანნი კი რას ყბედობენ?
მხოლოდ სიტყვებს გაისვრის.

შეცოდებაც სადღაც გაქრა,
მდიდარი რომ გაიხდის,
ეს მთავრობა ვინ დაგარქვათ,
ახლა სულ მთლად აიშვით,
საზღვრის კარი მიმოალეთ,
მტერი თავზედ დაისვით,
ქართველები რაღად გინდათ,
საზღვარგარეთ გაგვიშვით.

ოლონდ სადმე გადაგვკარგოთ,
მხოლოდ ამას არ გვიშლით,
საქართველო ტირის თუმცა,
ნერვებს თქვენ რად აიშლით?
ქართველები მის ოჯახში,
საწოლს როდის გაიშლის,
საქართველოს გვიყიდიან,
ცოდვისაგან დავიწვით.

დროზე თუ არ მივეშველეთ,
შემდეგ ვერვინ დაიხსნით,
საქართველო მარტოდ იბრძვის,
გული უძგერს რაინდის,
რა მოხდება მერე ნეტავ,
გამვლელები გაივლის,

კვლავ შემოვა გაზაფხული,
ვარდობის თვე მაისის.

სათქმელს იტყვის ისტორია,
ყველას ცოდვებს დაითვლის,
დრო დადგება საქართველო,
ამ ბორკილებს აიხსნის,
სირცხვილი-- რომ ამ გრიგალში,
მთავრობის ხმა არ ისმის,
შეგვიჭამეს საქართველო,
მადლობასაც არ გვიხდის,
თურმე უნდა ვიყოთ ჩუმად,
კვლავ რაღაცას აგვიხსნის...

სიყვარულს ფეხი არ დააპიჯოთ.

სიყვარულს სითბო მუდამ სჭირდება,
თოვლსა და ჭყაპში ძირი ულპება,
სანამ სულში გყავს, ფხიზლად იყავი,
ძილშიაც, ზოგჯერ გაგიფრინდება.
და თუ გულიდან ამოგიფრინდა,
შენი იმ დღიდან აღარ ერქმევა,
სიყვარული, თუ ეჭვმა შეჭამა,
უნდა იცოდე სხვისი იქნება.

მსხვერპლგაღებული დაღლილი გრძნობა,
დიდხანს ვერა ძლებს ბოლოს ცივდება,
და თუ მიაჩვევ, ხშირი სიშორეს,
ის თავისთავად გადაგეჩვევა.
სიყვარულს სითბოს ნულარ მოაკლებთ,
თუ გააცივებთ--- მალე მოკვდება,

ეს ცხოვრებაა--- თუ დაგვიანდა,
მწარედ ინანებთ-- ის რაც მოხდება.

მე ჩემს სიყვარულს გაუფრთხილდები,
შენც გაუფრთხილდი, არ გაგვიცივდეს,
ჩვენს სიყვარულს თუ, ცეცხლი ედება,
ქარიშხლის ფრთებზედ ნუ გავაგრილებთ,
ბოლოს და ბოლოს გაითელება,
ფეხი სიყვარულს თუ დააბიჯე,
ფულით სიყვარულს ვერ შეისყიდი,
სატყუარათი ვერ დააძინებ.

ორმხრივ სიყვარულს დიდი ძალა აქვს,
მესამე ძალა ვერ დააცილებს,
თუ არ უყვარხარ რაც გინდ ეფერო,
იმას ვერაფრით ვერ გააღვივებ,
და ამ ყველაფერს სიფრთხილე მართებს,
უცებ ნურაფერს ნუ დააპირებ,
მე ჩემს სიყვარულს გაუფრთხილდები,
შენ კი ლოდინით ნუ დაამძიმებ.

დილამდვიდობისა საქართველო

დალოცვილი ღვინით სავსე ყანწით ხელში,
საქართველოს ყველა შვილი დავლოცოთ,
დილის მადლი შეგვენიოს დაგვიამოს,
დავივიწყოთ თუ ვილაცა არ მოგვწონს.,
შენაც აღარ დაიშურო--შეეშველე,
თუ კი ვინმემ დახმარება მოგთხოვოს,
ამ ყველაფერს ღმერთი ხედავს ჩემო კარგო,
და ზეციდან ღმერთის მადლმა მოთოვოს.

შენი ჭიქით შენი სიტყვა გაგვაგონე,
 არ დაუშვა მუდამ სხვებმა დაგმოძღვროს,
 დაიხსომე--არავისზე მეტი არ ხარ,
 ჩვენც გვეშლება რაც კი სხვაში არ მოგვწონს.
 ღმერთი ყველას ერთნაირად შეგვინდობს და
 ღმერთი არვის არასოდეს არ დათმობს
 ღვინის მადლი შეგეწიოთ ქართველებო,
 ღმერთმა ჩემი საქართველო დალოცოს.

ცრუ იმაღები -- იმაღს გიკარგავს.

იმედი ზოგჯერ ბოროტებაა,
 უბრალოდ ტანჯვას გაგიხანგრძლივებს,
 ზოგჯერ იმედით კურნავ იარებს,
 დღევანდელ ტკივილს გაგიადვილებს,
 იმედს ბოლომდე ნუ ჩაუყვები,
 ის შენს მდიდარ სულს გაგიღარიბებს,
 ის ვარსკვლავივით სულს გიკაშკაშებს,
 ვარსკვლავი- ცაზე--გაგიმასპინძლებს?

თვით იმედს ზოგჯერ უნდა ერიდო,
 ის რეალურთან--გაპირისპირებს,
 ცრუ იმედებით თავს მოიტყუებ,
 ხელებს ტყუილად დაგიკაპინებს,
 ზოგჯერ იმედი დროს გაგიჩერებს,
 ლოდინს თითქოსდა--გაგიმარტივებს,
 სხვისი იმედით ხელს ნუ დაუშვებ,
 უიმედობას დაგიპატიჟებს,

იმედის ლოდინს-- ნუ ელოდები,
 შესაძლებლობას დაგიპატიმრებს,

იმედ გაცრუებულს დაგტოვებს ზოგჯერ,
სულს მოგინამლავს დაგისახიჩრებს,
ცხოვრება არის დაუნდობელი,
სულ სხვა რაღაცას გაგიჩალიჩებს,
მოიმედე თუ გულწრფელი არის,
ის ყველა ტკივილს გაგიბათილებს...

ეს ყველაზერი ღმართის მაღლია..

სოფლის შარაგზას, გაყევი მშვიდად,
ირგვლივ ყოველი ქარვისფრად ელავს,
მშრომელი კაცი ამინდს შეჰყურებს,
მოსავალს იღებს-- თუმც ჩუმად ლელავს.
შემოდგომა კი კვლავ ამაყი დგას,
ზამთარი იცდის სიტყვას ვერ ბედავს,
ეს სასიცოცხლო სეზონი ღმერთმა,
ლოცვით აავსო და ზარებს რეკავს.

შემოდგომაზე შეკრეფილ ვენახს,
სიშიშვლისაგან ცუდი დღე ადგას,
ეზოს გახედე-- კვამლი ტრიალებს,
აქ ქოხის გვერდით მოხუცი გახლავს,
კაცი ხმელ შეშას შუა ცეცხლს უკეთებს,
და ზედ ოტკის ქვაბს ლილინით ადგამს,
ქარვის ფერებში წვეტიან ქუდით,
ხურმები თვალებს თითქოსდა ნაბავს.

მოხუცი იქვე დოქს გადაწვდა და,
თიხის ჭურჭელში-შავ ღვინოს ასხამს,
დასაყოლებლად მჭადს და მწვანილებს,
შესაშურებელ გემოსაც ატანს,

და ამ განწყობით განცხრომაშია,
იცით? მოხუცი ვერ გრძნობდა დაღლას,
ეს ახლა არც ეს და არც სხვა რამე,
სამწუხაროა არაფერს არ გავს.

შემოდგომას კი ვერვინ წაგვართმევს,
ღმერთმა გვიკურთხა--მას ღმერთი მართავს,
ეს სილამაზე არის განგების,
ჩვენს ქართველობის-ადათს რომ ახლავს,
ეს უღიმღამო დროთა უამთა სვლა,
ვფიქრობ რომ დროსაც დრო ასე გაყავს,
იქნებდა ფერი იცვალოს რისხვამ,
თუმც ამის შემძლე არავინ არ სჩანს,
რამდენ მასხარას უნდა გაუძლოთ,
კვლავ ითამაშებს სპექტაკლებს დადგამს,
ნეტავი ღმერთო ეს სინანული,
მინდა ვიცოდე-- სანამდის გასტანს.

ნისლში გახვეულა ჩემი საქართველო...

ნისლში გახვეულა ჩემი საქართველო,
ვერ გაერკვევი ვერაფერს ხედავ,
ნისლმა მოიცვა მთელი სამყარო,
ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს,
გაშიშვლებული ხეებზე ტოტებს,
ნისლის ცრემლები ნელ-ნელა წვეთავს,
ბალახებს ცვარი მოდებია და,
გაოცებისგან სხვაგვარად ელავს,
სასწაულია ღვთისმშობლის ძალა,
ჩემი სამშობლოს გული კვლავ ფეთქავს.

და ამ დროს ძილი რაღას მიქვია,
ვიღაცა ზარებს ძლიერად რეკავს,
ზოგჯერ ისეთი აზრი გიჩნდება,
გგონია თითქოს სატანა გხედნავს,
და ასეთებს კი ჩემი ქვეყანა,
ვეღარც ხვდებიან ჩიხში რომ შეყავთ,
და მაინც ერთ დღეს გადავა ნისლი,
ღმერთი ზეციდან იმედებს ჭედავს,
აქ საქართველოს მტერს და მოყვარეს,
უფალი ზეციდან სუყველას გვხედავს..

იქნებდა მართლაც ყინული მოლგა...

დღეს მართლა შევცვლი ლექსის განწყობას,
ამინდმაც რაღაც სტიმული მომცა,
ღამით ქარისგან გაყინულ სულში,
უძილო თრთოლვა და შიში მოყვა.
ადამიანის ბუნების შეცვლას,
ვერ მოახერხებს ფერება--ხოტბა,
და ბუნებასაც ვერას უხერხებ,
აქ უძლური ხარ-- არას იქს გლოვა,

ყველაფერს თავის დასასრული აქვს,
ადამიანიც თავისთვის ბჭობდა,
ციდვილნი კვლავაც როცა სცოდავენ,
ამ დროს მავანნი ღმერთს შველას სთხოვდა,
დღეს უცოდველი არვინ არ არის,
თუმც ბოროტება დღეს მეტად თოვდა,
სულის სიმძიმეს განწმენდა უნდა,
რაც კარგი იყო-- წავიდა მოკვდა,

დამძიმდა ცოდვით ეს დედამიწა ,
ამას ზეცაში უფალი გრძობდა,
წვიმამ თავისი ამოუშვა და,
მზე ამობრნებინდა ცოტათი მოთბა,
გამშრალ ხეებზე მზემ დააცხუნა,
გამხმარი ტოტები ნელ-ნელა მოტყდა,
ხალხის გულებშიც სითბო დაიდო,
სიბრაზეც მგონი ცოტათი მორჩა,

მზესაც გაუტკბა დედამიწაზე,
მასაც მოუნდა ხმელეთზე დგომა,
დღე გადავიდა მთვარე გამოჩნდა,
მზეს მიანიშნა საღაცა თოვდა,
ცუდი რაც იყო ამ დღით დამთავრდა,
და უფრო სწორად წავიდა-- მოკვდა,
ეს ლამაზი დღეც ღმერთის ნებაა,
მოსახდენი კი რაც იყო მოხდა...

დღეს გალაპტიონის დიდი პოეტის იუბილეა..

დღეს დიდ პოეტის დაბადების დღეს,
ქართველი ქალი მოვეფერები,
გალაპტიონზე მუდამ იტყვიან,
სხვა მისი მსგავსი არ არის მეტი,.
უსასრულოა პოეტის ხოტბა,
მის დაბადებას დღეს ლოცავს ერი,
ქართველი რომ ხარ ეს იმას ნიშნავს,
გალაქტიონის ლირსებით ტკბები.

საოცრებაა მუდამ ჩვენთან ხარ,
შენ მოახერხე მონუსხე ერი,

შენს დაბადებას სიცოცხლე ჰქვია,
დიდო მგოსანო უკვდავი რჩები.
და ახლა უკვე ზეციურ მგოსანს,
დაბადების დღეს ულოცავს მერი,
დასანანია ისე წახვედი,
უთქმელი დაგრჩა ძალიან ბევრი.

დიდო პოეტო შენ რაც დაწერე,
ყველა გრძნობებში შენ თვითონ ჩნდები,
ეს შენი სიტყვა უკანასკნელი,
რად გადაწყვიტე--მე ვეღარ ვხვდები.
როგორც ერთია კავკასიონი,
გალაქტიონიც ყოფილა ერთი,
შენ საქართველოს დიდო ფესვებო,
მართლა ყოფილხარ ლექსების ღმერთი...

ყველა ქონება ცუთიერია ...

ყველა გარემომ და ყველა კაცმა,
თითქოს დაკარგა მრნამსი,
როგორ ვინატროთ ის სიღარიბე,
რომელსაც ჰქონდა ფასი.
წარსულს მივსტირით--
როცა ვფრთხილობდით,
ერთმანეთს აღარ ვჭამდით,
ახლა კი როცა ყველაფერია,
უნახავს კაცად გავხდით,

ეს ჩემი ლექსი ძალზედ მწარეა,
მე მაინც ფარდას აცხსნი,
ახლანდელ ყოფას ნეტა რა ჰქვია,
მე ნორმალურად არ ვთვლი,

ფულის გულისთვის ბევრმა დაკარგა,
სიყვარული და ხაორი,
ყველა ქონება წუთიერია,
მითხარით რატომ წახდით...

ხშირად შეს თავსაც მიეც რჩევები.

არ დაიგრუზო როცა მარტო ხარ,
მარტოობაში ბევრ რამეს სწავლობ,
მარტოდ დარჩენა შენ თუ ისურვე,
ზოგჯერ ასე სჯობს ოლონდ, ნუ დარდობ,
არ, ჩაიქნიო ხელი არასდროს,
იმ ქუჩას გაჰყევ, რომელიც განყობს,
სიმღერებიდან ის მოისმინე,
გულს, რომ გითბობს და რომელიც გატკბობს.

გულთან სიცივე არ მიაკარო,
ის ჩაიხუჭე რომელიც გათბობს,
ისეთ ადგილას ნუ ჩამოჯდები,
თუ იქ მყოფები შენ ალარ განყობს,
ჩასაფრებულ ხალხს გზა აურიე,
ფხიზლად იყავი ვინმემ არ გავნოს,
ისეთებს ნულარ გაეკიდები,
რომლებიც ოდეს-არაფრად არ გცნობს.

ის შეიყვარე ვისაც უყვარხარ,
არ მიგატოვებს და ალარც დაგთმობს,
იქ არ გაჩერდე თუ კი შეიგრძენ,
სიძულვილი თუ სიყვარულს ჭარბობს,
ყველა საკითხი შენ მოაგვარე,
ნუ მიეჩვევი სულ ვიღაც თანმდგომს,

თუ, გილალატეს შენს თავს ნუ ებრძვი,
ვერ გაერკვევი, ვინ-როდის გამხობს.

თუ კი იგრძენი ვილაცა გძირავს,
დღროზე მოკვეთე-- თუ არა-- გახრჩობს,
ბოროტებასთან ბრძოლაც მცდარია,
ბოროტი კაცი ყოველთვის ანცობს,
მავანნი მისი სიკეთეს კერავს,
სხვისი სიკეთე სულ აღარ ახსოვს,
შენ რას მიხვდები--ვინ რას გიპირებს,
უნდა დაფიქრდე- თუ შენთვის რა სჯობს,
შენ შენი საქმე აკეთე მუდამ,
აზრი არა აქვს თუ ვინ რას ამბობს...

სიმართლუს ძებნას რამდენი გართალი კაცი გადაყვა

ჭაბუა ამირეჯიბმა,
ცხოვრება ნათლად დახატა,
არ დაგვიტოვა შეკითხვა,
თუ კი სათქმელი რამ დაგვრჩა,
საყვარელ გმირის წამყვანი,
აქ თუთაშხია დაბადა,
უსამართლობის მებრძოლი,
ბოლოს მაინც ვერ გადარჩა.

ის ყველა ეპიზოდები,
ჭეშმარიტებას აგავდა,
დათასთვის ნასროლი ტყვია,
ბევრჯერ ფულისთვის გავარდა,
ფულის გულისთვის კაცის კვლა,
ეს დათას მუდამ ტანჯავდა,

თუმნად-კიკუ, რომ იხდიდა,
დათა იქ მის თავს არ გავდა.

გაასამართლეს ათასჯერ,
კიკუს გვერდით რომ არ დადგა,
კიკუს მსგავსად კი ათასი,
ქალი ფულს მაინც დახარბდა,
მან ვერ მოირგო ეს ცოდვა,
დათა აბრაგად გავარდა,
და თუთაშხიას სიმართლე,
მაინც სიკვდილით დამთავრდა...

ეს ყველაფერი ამ ფასად ღირდა?

დაკეტილ სახლში მწუხრი გამეფდა,
ოთახში კედლებს ცრემლები მოსდით,
მოწყენილ საწოლს ვიღაც აკლია,
რა დაემართათ არვინ არ მოდის,
მაგიდას მტვერი სულს რომ უხუთავს,
მაგიდას სტუმრებს ნეტა ვინ მოგვრის,
სიცარიელეს ხავსი მოედო,
გადაიღალა და გული მოსდის.

ყველა ოთახის ყველა კუნჭულში,
ობობას ქსელში დაედო ბინა,
თვით ობობაც კი სიმარტოვეში,
რაღაც აბლაბუდს საშინლად წნიდა,
მასაც მობეზრდა ერთფეროვნება,
მარტოდ ცხოვრებას არაფრად თვლიდა,
ნათურებს მტვერი შემოხვევია,
უკვე ვერ ხედავს იატაკს მტვრიდან,

სამზარეულო დადუმებულა,
კერძების ნაცვლად ნესტის სუნს ცრიდა,

ეზოს ბალახი მორევია და,
ამ სარეველებს არავინ ჭრიდა,
აქ გასაგები მხოლოდ ერთია,
რომ მარტოობა ყველაფერს ჭირდა,
ვიღაცამ ერთ დღეს გამოკეტა და,
უცხო ქვეყნიდან აქ ცრემლებს ყრიდა,
დაკეტილ სახლში სიცოცხლე ჭკნება,
ლოდინი-სიყვარულს ნელ-ნელა შლიდა,
და ის ტკივილი ფულის გულისთვის,
იქნებ დავფიქრდეთ--რამდენად ღირდა.

ზეციურს მართლაც ვერას გავუგებთ

ღრუბლები მუდამ მოწყენილია,
რაღაც ატკინეს--გულში ჩაიდო,
ვერ გამოსულა ამ სტიქიიდან,
ეს სხვამ რა იცის-- მაშინ რა იყო,
ღრუბლებს მუდამჟამ ბრაზით შევყურებთ,
წვიმა წამოვა-- გული წაიღო,
იქნებ ეცადოთ მისი გაგება,
ღრუბლების ბედი ვინმემ გაიგო?
მოიქუთრება შავ--ბნელ სამოსში,
თითქოს ეს ზეცა თავზედ დაიმხო,
უცხო პლანეტებს ვერას გაუგებ,
ცრემლის მაგივრად--წვიმა დაიწყო,
გამოსაცნობად გვიტოვებს დღემდე,
ზოგჯერ გვიღიმის--ზეცა გაიყო,

ნუ გაიკვირვებთ რა დამართნია,
ღრუბლიან ცაზე--ვარსკვლავი აინთო,
ამოუხსნელი დარჩება მუდამ,
მზე პირს იბანსო--წვიმა დაიწყო..

ღმერთის გაჩენილს ღმერთი თაიყვანს

ღმერთმა ჩაბერა, არსებას სული,
ქალმა ეს სული, მუცლით ატარა,
ერთ მშვენიერ დღეს გაჩნდა იგი და,
ახალ სიცოცხლეს გზები გაუხსნა,
თვალი გააღო--სული მოითქვა,
მისი გაჩენა სამყაროს აუწყა,
დედის-ძუძუზე თავი ჩარგო და,
დედის სითბოში ძილი გაუტკბა.

ამ დედის გრძნობამ მთები გადადგა,
ახალ სიცოცხლეს ფესვი, გაუდგა,
როცა პატარამ მიმოიხედა,
რაღაც ახალი აზრი გაუჩნდა,
გზა დაინახა უსასრულობის,
მაინც აცდუნეს ეშმაკი შეუჩნდა,
და ასე განვლო ეკლიანი გზა,
ერთ დღესაც, გული ცუდად გაუხდა,
ვერ დაიფარა მისმა მფარველმა,
ანგელოზები გვერდზე გაუდგა.

ამ ყველაფერს რომ მიხვდა ცოდვილი,
მარტოდ დარჩენილს--შიში გაუჩნდა,
ღმერთმა ჩაბერა პირველად სული,
და მაინც ბოლოს, ღმერთმა აკურთხა,

ამქვეყნიური, მისი ალბომი,
გადაფურცლა და იქვე დახურა,
ერთჯერაც მისთვის არვის უკითხავს,
ამქვეყნად მოსულს ნეტავ რა უნდა.

დილას დარღი და ფიქრი გაუქრა.

დილით, უუჟუნა წვიმამ დამნამა,
ცოტაც და მზემაც სხივი დაუშვა,
გადმოატარა თბილი ნიავი,
იმედის სხივი უხვად მაჩუქა,
და ვინ შემარგო, ქარმა დაბერა,
მზეც დამეკარგა სადღაც წასულა,
რა გადაწყვიტა ქარმა ნეტავი,
რაც კი, ხელთ მოჰყვა, ყველა დაფურთა.

აქ, ჩემი ჯავრი, წვიმამ იყარა,
სევდა დაუშვა, ქარი გაწუნა,
ეს დღე რა იყო, ვერ გავერკვიე,
ამასობაში ეს დღეც გასულა,
ლამემ სიმშვიდე შემომთავაზა,
ხმაურიც შეწყდა და დღეც გაჩუმდა,
და მაინც დილა სიცოცხლეს ხატავს,
შენც გაიღიმე--ლიმილს რა უნდა...

შე შე იყავი ...

როცა გზა--და--გზა ტვირთს გიმატებენ,
თავაწეული ვეღარ გაივლი,
გეუბნებიან ნუღარ განიცდი,
კარგი იქნება-- გვერდს თუ აუვლი,

ვერ გამოტოვებ ყველა შენია,
 რამდენი თითოც გაქვს იმდენს დაითვლი,
 შენს სულში ფათურს სხვას ნუ მიაჩვევ,
 შემოგეჩვევა--თავს ვერ დაიხსნი,

ცეცხლმოდებული სადამდე ივლი,
 დროზე ჩააქვრე--თორემ დაიწვი,
 შენს თავსაც ზოგჯერ კამათს დაუწყებ,
 თუ არ მიშველეო-- მე ვერ დაგიხსნი,
 ღმერთი ყოველთვის ძალას ხომ გაძლევს,
 მუდამ განიშნებს ხელ--ფეხს გაგიხსნი,
 ადამიანი სულ სხვაა ვინმეა,
 ბოლომდე--სათქმელს მაინც ვერ იტყვი,

ორპირი ქარი საშიში არის,
 ფრთხილად იყავი ნულარ გაიხდი,
 შენ შენად დარჩი არ შეიცვალო,
 თორემ შეცვლილი შენს თავს დაისჯი,
 დღეს უეჭველი გაგვიწვიმდება,
 ხვალ რა იქნება ეს შენ არ იცი,
 დღევანდელი დღე გაილამაზე,
 ხვალ ნუ გადადებ ნულარ დაიცდი...

გეღისწერაა ღმართი რასაც წერს...

ბედი ისეთი რამ არის კარგო,
 ხელს არ გაგიშვებს და შენც ნებდები,
 წინ მიგიძლვება დაწერილ გზებით,
 შენც მასთან ერთად დაეხეტები,
 ზოგჯერ შეკითხვას დაუსვავ ღმერთსაც,
 სად მომინახე რატომ ვერ ვხდები,

გინდა გაექცე მაგრამ ამაოდ,
ჯიუტად მიდის-- შენც ვერ ჩერდები.

მკაცრი ყოფილა ეს ბედისწერა,
ღმერთმა დაწერა მგონი ზედმეტი,
ბედის ლანძღვაში დრო აღარ იცდის,
ვერაფერს შეცვლი ხედავ ბერდები,
ერთ დღესაც ხედავ ხელი გაგიშვა,
შორიდან გხედავს მარტო რომ კვდები,
ასეთი არის ყოფა ამქვეყნის,
სხვებს კი არადა-- ბედსაც ბეზრდები.

შენს ბედისწერას ღმერთი ახლით წერს,
ცხადი იქნება ღმერთს როს შეხვდები,
მეორედ მოსვლის ვის როგორ ესმის,
ზეციდან კვლავ რომ მიწას ვეშვებით,
ღმერთს გათვლილი აქვს ყოველი წამი,
არაფერია ვითომ--შემთხვევით,
როცა მარცხდები ესეც ბედია,
და უფლის ნებით მარცხსაც ვეჩვევით...

ცხოვრებამ არ დაგცინოს..

გადავფურცლე ყველა გვერდი, ფრთხილად უფრო არ ვატკინო,
ყველა ლექსი დაჭრილია, არ მინდა რომ ავატირო,
ღმერთის ნებით გაჩენილმა, ღმერთი რომ არ გავაწილო,
მინდა ღმერთო მიწიერი, ჯოჯოხეთი დავანგრიო.

არც ის მინდა ჩემი აზრით, მავანნი რომ დავაბნიო,
ესეც ჩემი სიმდიდრეა, გაგათბო არ გაგაცივო,

ჩემს თავს ვერვის მივაძალებ, მსურს მის გზაზე გავაცილო,
მე არ მინდა ძირს დავეცე, ეშმაკი რომ გავაცინო.

წარსულს თვალი გადავავლე, ვინ შეცოდა დავადგინო,
დაფიქრებაც გვიან არის, ვინმე მწარედ გავაფრთხილო,
ყველა ტკივილს და სინანულს, ფეხი მინდა დავაბიჯო,
ისე მინდა რომ ვიცხოვრო, ღმერთთან ცრემლით გამაცილონ.

ღმერთის ძალა მე არა მაქვს, მე რაც მინდა დავამკვიდრო,
ბოლოს ჩემი წარსულიდან, რომ არ შეცდეთ დაგარიგოთ,
შეცდომებზე რაც ვისწავლე, სურვილი მაქვს აგარიდოთ,
სამახსოვროდ მხიარული, ჩემი ფოტო გადავიღო...

რა იქნებოდა ნეტავი მაშინ...

რა იქნებოდა ნეტავი მაშინ,
თუ დედამიწა გაიყინება,
რა მოხდებოდა ქართველი ხალხი,
შუღლსა და ბოლმას დაივიწყებდა,
თუ დაიწყებდა ტყე განახლებას,
და არასოდეს დაიწვებოდა,
სიცოცხლე, ბევრად წინ გაუსწრებდა,
ყველა სიკვდილი-ჩაიძინებდა.

რა იქნებოდა ჩვენს ტკივილებზედ,
ეშმაკი აღარ ჩაიცინებდა,
რა იქნებოდა ნეტავი მაშინ,
თუ სიყვარული გაიმარჯვებდა,
ღვთისშობლის წილხვედრ საქართველოში,
ქართველი ხალხი გაიხარებდა,
რა იქნებოდა ნეტავი მაშინ,
ღმერთი ცოდვებს თუ გაგვიქარნყლებდა.

რა იქნება და ქართველი ხალხი,
სუყველა ერთად გაიღვიძებდა,
საქართველოში ჩუმი ღალატი,
სამუდამოდ თუ დაიძინებდა,
რა იქნებოდა ჩვენი ერი თუ,
ერთურთის წყენას დაივიწყებდა,
ისეთი ვინმე თუ მოვიდოდა,
სამშობლოს სიყვარულს დაგვიმტკიცებდა.

მოღალატეს და ერთგულ ქართველებს,
ერთმანეთისგან განასხვავებდა,
და ნეტავ მართლა რა მოხდებოდა,
საქართველო თუ აყვავდებოდა,
ღმერთის წყალობით ჩვენი სამშობლო,
ლირსეულ ქართველს ჩაბარდებოდა,
ჩემი სამშობლოს ყველა ნაყოფი,
ქართველის ჯამში ჩავარდებოდა.

რა იქნებოდა ქართველი ქალი,
ემიგრანტი რომ არ გახდებოდა,
და ეს ცრემლები დღეს რომ იღვრება,
ნეტავი ვინმეს ედარდებოდა?
რა იქნებოდა არ ყოფილიყო,
დედა--შვილს წლები ენატრებოდა,
ტრადიცებზედ შექმნილ ოჯახებს,
ონლაინ მოკითხვა ეკადრებოდა?

ნეტავი მართლაც რა იქნებოდა,
რომ სისხლი აღარ დაიღვრებოდა,
ომის მოსურნე სხვათა მკვლელების,
უღმერთოდ ძრწოლვა დამთავრდებოდა,
რა იქნებოდა ღმერთო ძლიერო,

ქართველი ხალხი დაწყნარდებოდა,
შეურაცხმყოფელ სიტყვების სროლა,
ნეტავი როდის დამთავრდებოდა,
ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში,
სიბნელე ღმერთით განათდებოდა.

ალექსანდრე ყაზბეგის ძლიერება..

მუდამ მიკვირდა და მაღელვებდა,
და ამის მიზეზს ვერვინ მიხსნიდა,
ყაზბეგის ყველა რომანის კითხვა,
ინტერესს მგვრიდა ნერვებს მიშლიდა,
ყველა რომანის მთავარ გმირს კლავდა,
არადა როგორ გმირად ითვლიდა,
ამ დროს მის გულში ვულკანი ენთო,
თითქოს ამითი დიდ ვალს იხდიდა..
იქეთ ელისო--მოძღვარში მაგდა,
ცოცხალი არსად არავინ დარჩა,
მგონი ყაზბეგის ამ გრძნობის მარცხმა,
შურისძიების ფესვები გადგა,
ხევი სიყვარულს ცივად ეპყრობა,
გააბოროტა პოეტი დარდმა,
საოცრებაა ეს ყველაფერი,
პოეტს არგუნა საყვარელ ქალმა.

და ყველაფერი აქედან მოდის,
ყველას სიყვარულს ბოლოში კლავდა,
ყველა პოეტი რასაც განიცდის,
მის ცხოვრებიდან გამოდის ხალხთან,
და ალექსანდრე-ყაზბეგის ტომებს,
მისი ტკივილიც ბოლომდე გაჰყვა,

სიცარიელე რაც დაუტოვეს,
მხოლოდ სიკვდილმა შეუვსო--დათბა.

პოეტს სიყვარულს ვინ წაარმთმევდა,
არ აჩვენებდა--მის გულში ჩაკლა,
ჩვენი ცნობილი ჩოფიკაშვილი,
მის სიყვარულთან უცხო გზას გაჰყვა,
ყოველ ნაფიქრზე სწორად გათვალა,
და სამწუხაროდ ბევრი რამ ახდა,
ყაზბეგის ყველა ტომის შედევრი,
ჩემი ცხოვრების მეგზური გახდა...

ქართველთ ღირსებას დიდი ფასი აჯვს

ისევ და ისევ უსამართლობა,
ისევ და ისევ დიდი სირცხვილი,
კვლავ ულირსობა-ხალხის დაცინვა,
ნეტავ ვის შერჩა სუფთა სინდისი,
არსებობისთვის ბრძოლა-შიმშილი,
თუმცა ითმენდი-ქვას არ ისვრიდი,
მაძლარი ყველას მაძლრად ხედავდა,
მშიერი ამ დროს ნერვებს იშლიდი.

ამქვეყნიური ღმერთმა გვაჩუქა,
მადლობას ნეტავ, რად არ იხდიდი?
ჩუმად დასცინეთ დამშეულ ქართველთ,
ლუკმა პურისთვის ხელს არ გიწვდიდით,
მსხვერპლად შევწირეთ ოჯახს დედები,
თქვენ კი სიმდიდრეს ხარბად ითვლიდით,
ამდენ ტკივილებს ხალხი უძლებდა,
ქვეყნის მმართველად თავს კი ითვლიდით...

ცოტა მოფეიზლდი ვინევა არ გავნოს

ადამიანი მზეს დაემსგავსა,
 თოვლივით წმინდა სიყვარულს ადნობს,
 ერთგულებას კი გიმტკიცებთ,
 თუმცა შენს ირგვლივ დიდი სპექტაკლებს აწყობს.
 გულში თუ ყავხართ--ყელს ნუ ამოხვალთ,
 ტვინს რომ აუმღვრევთ--უღვინოდ ათრობთ,
 საზღვრებს გადიხართ დაუფარავად,
 მაგრამ ვის კარგავთ--ამას ვერ ატყობთ.
 ღმერთის ნაბოძებ ადამიანებს,
 გულს გაუყინავთ--ჭაობში ახრჩობთ,
 სამწუხაროა გვიან მიხვდები,
 თურმე ბოროტებს ეს ქცევა ართობთ.
 ტალახში გასვრილ ამ დიდ სიყვარულს,
 ვერ გპატიობენ-- შენ კი არც გახსოვს,
 დღეს ისეთი დრო მოვიდა თურმე,
 ისე იქცევა მავანს რომ აწყობს.

და შენს დაკარგვას თუ არ ნანობენ,
 შენც გაიმეტე--- ეს გულიც დათმობს,
 მედროვე ხალხისა არც გაგიკვირდეთ,
 როცა გკითხავენ, რა მოხდა?-- რატომ?.
 ადამიანებს სხვისი ტკივილი,
 ეს სამწუხაროდ-- ვშიშობ რომ ართობთ,
 და მაინც მუდამ ხელს სხვისკენ ვიშვერთ,
 ჩვენს შეცდომებზე-- არაფერს ვამბობთ.

საქართველოში დოკუმენტის რა დალევს

ჩემი საქართველო დოკუმენტის თვეებს იმკის,
ოქროს რთველში არის ჩართული,
აი შემოდგომაც ნელა იწყურება,
ცივ ზამთარს გვერდს ვერ ჩაუვლი.
ცოცხალი კაცი იმედს აღარ კარგავს,
ისევ დაგვიდგება ზაფხული,
ქართველი კაცი რთველით ხალისდება,
ყველანი შრომაშია გართული.

ახლადგამოხდილ ჭაჭის არაყს შევსვავ,
სადლეგრძელო მაქვს ჩათქმული,
ღვინო თქვენ მიირთვით,
თქვენთვის დამითმია, იმერული თუ კახური.
ყველა იმ ქართველს გულით დაგილოცავთ,
ვისაც სული შერჩა ქართული,
დაილოცოს ქართული სუფრის მადლი,
ყველა სადლეგრძელო აქ თქმული.

მტრებმა საქართველოს ფესვები მოურყიეს,
რამდენჯერ შემოავლეს მავთული,
ემიგრანტის ფიქრიც სამშობლოზედ გადის,
თუნდაც წლები იყოს გასული.
ძილშიც საქართველო მეძახის ღმერთო,
რადგანაც სისხლი მიჩქეფს ქართული,
მე ქართულ მინა--წყალზედ ავიდგი ფეხი,
და იქაა ჩემი ბოლო სადგური...

ეშმაკი ვეღარ გამოიცანი?

ეშმაკსაც თავის გეგმაა აქვს თურმე,
ყოველი მსხვერპლი აქვს მას გათვლილი,
ეშმაკი სახეს აღარ გიჩვენებს,
მოფერებაში იგრძნობ დაიხრჩი.
როდესაც მარცხის გემოს გაიგებ,
მაშინ მიხვდები თურმე დაიწვი,
და თუ ეშმაკთან ბრძოლას აპირებ,
ცოტა იჩქარე--ის არ დაგიცდის.

იცი? ეშმაკი მუდამ თამაშობს,
საქმით გიმტკიცებს, მახე დაგიდგი,
კუდს გამოაჩენს არც შეშინდება,
მან კარგად იცის მისთვის რად ლირდი.
და თუ ეშმაკი გამოიცანი,
შენს თავს მოკითხე, რატომ ატირდი,
და ამის შემდეგ ისევ მიენდე?
როგორ და რისთვის? ალბათ გაგიუდი.

დაჭრილი გველი რად მოარჩინე,
ის მაინც გიკბენს--ასე აქვს გათვლილი,
ის ცივი იყო მუდამ და მარად,
დღეს არ მოკითხო, რატომ გაცივდი,
ეშმაკს არასდროს არ შეეკითხო,
რა დაგიშავე- სულს რომ მაცლიდი,? ;
პასუხი რაა? ხომ გამომცადე,
რად არ იფიქრე, რომ კვლავ გაგყიდდი.

ის ანგელოზი იყო წარსულში,
კვლავ ანგელოზად ვეღარ გახდიდი,
ეშმაკთან ბრძოლა არას გარგია,
ბოლოს დარჩები მწარედ დალლილი,

ადამიანო ეს ღმერთს მიანდე,
შენ ღმერთი არ ხარ, შენ ვერ დასჯიდი.,
ადამიანო შენ ვერაფერს ცვლი,
წვიმას ვერ ეტყვი რატომ გაწვიმდი...

* * *

გალაკტიონის მერი გულს მიღრღნის,
დიდმა პოეტმა ლექსში ჩახატა,
არისტოკრატ ქალს-დიდ ქუთაიში,
თვალი მოკრა და სულში ჩასახლდა,
ლამაზი ქალის წარმომავლობა,
ის აფხაზეთშიც კარგა ხანს ჩანდა,
მერის მამა კი რუსეთის დუმის,
დეპუტატობას რუსეთში გაყვა.

მერი ცხოვრობდა სანტ-პეტერბურგში,
მამა რომ მოკვდა სახლში დაბრუნდა,
გალაკტიონი ქუთაისელ ქალს,
ვერ ივიწყებდა--მისთვის დადუმდა,
შერვაშიძის ქალს ვერ გაუმხილა,
მისდამი ლტოლვა ლექსით აუწყა,
მას მერისადმი უცნობი გრძნობა,
ამ ლექსთან ერთად საფლავს ჩაუყვა.

დიდო პოეტო რად არ გათვალე,
იქნებდა მერის გრძნობა გაუჩინდა,
მაგრამ ეს მოხდა სიკვდილის შემდეგ,
გვიან გაიგო პოეტს რა უთქვამს,
და როცა მერი ჯვარს იწერს იმ დღეს,
გული დიდ პოეტს ცუდად გაუხდა,

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი,
 ამ სიყვარულმა მერის რა უთხრა,
 ამ ორაზროვან ძლიერ სიტყვებმა,
 ლეგენდად აქცია სახელი გაუთქვა...
 გალაკტიონი იყო ფესვები,
 სული და გული ჩვენი მოდგმების,
 მის ყველა ლექსში სიტყვები თრთოდნენ,
 ჩასახლებული ყველა გრძნობებში,
 და მე და ღამეს რა შეედრება,
 როგორ აღწერა ღამე სოფელში,
 ის ყველა სიტყვა რაც მან გვაჩუქა,
 მუდამ დაფრინავს ფერად ფოთლებში,
 გალაკტიონში იდუმალს ვეძებთ,
 როგორც გენიოს სხვათა მგოსნებში...

ქართველო თუ გაყიდი საქართველოს

ნუ გაგაოცებთ სიტყვები,
 სათქმელიც დამთავრდა--გაირინდა,
 თითქოს იმედი ხელთ გვერნდა,
 თვალს და ხელშუა გაგვიფრინდა,
 ზეცას შეჰყურებს ქართველნი,
 ღმერთთან სულმნარედ დაიფიცა,
 ზეცასაც რაღაცა დამართეს,
 ცოდვაში ხელს ვინ დაისვრიდა?

ასეთი შეგრძნებით ავიგსე,
 ამას ვინმე თუ ამიხსნიდა,
 მთვარე თუ ცეცხლში დაიწვა,
 მზე კი ყინვისგან გაიყინა,
 ვარსკვლავთ ნათება ჩამობნელდა,

ზეცაც დაიღალა და დაიძინა,
უცხო პლანეტებმაც შეიგრძნო,
მგონი სუყველა გაიფიცა,
ეს გამეტება რას ნიშნავს ღმერთო,
ვიღაცამ დიდი ცოდვა ჩაიდინა.

ხალხი რობოტებს დაემსგავსა,
მავანნი ბინძურ ფულზედ გაიყიდა,
ზოგნი მოლალატედ გადაიქცა,
ვიღაცამ ქართველობა დაიკიდა,
ერთმანეთის არ გატანა და შუღლი,
ბოლმამ კი--ღმერთო რა არ ჩაიდინა,
სიყვარულს გავიძახით ყველა და,
ჩვენივე სიძულვილმა დაიმკვიდრა,
სულით ნუ ავადდებით ქართველებო,
სული კი ბევრმა წაიპილნა.

ცოდვილმა მონანიების ნაცვლად,
ღმერთთან რაღაცა დაიჩივლა,
ღმერთო დაგვიფარე ცოდვილნი,
ეშმაკმა რაღაცა ჩაიფიქრა,
ორ ძიძას შუა მოქცეული,
ჩემი საქართველო გაიჭყლიტა,
და ბოლოს სინამდვილე ის არის,
ადამიანებმა ღმერთი დაივიწყა,
უნდა მოგვეშველო ღმერთო.თორემ,
მგონი საქართველო გაიყიდა.

ჩვენი სიამაყე...

შოთა რუსთველის უკვდავ პოემით,
ვეფხისტყაოსანს რას შეადარებ,
დიდი მგოსანი ძველ-სიტყვაობით,
ქრისტომატიის ენით აზავებს,
ეს ღმერთის რჩეულს უფრო
მაგონებს, შოთა რუსთაველს წმინდანს ვადარებ,
მსოფლიო იცნობს ქართველ დიდებას,
და ამით ქართველთ გულებს ახარებს.

მან სიყვარული უკვდავყო ჩვენთვის,
მის გმირს კი ვეფხვის ტყავში ატარებს,
ის სიძლიერე რაც ვეფხვს წაართვა,
ტარიელს ერგო კლდეს რომ დაანგრევს,
წარმოუდგენელ პოემის მსგავსად,
შოთას რუსთველი რატომ დაარქვეს,
თუ საიდუმლოდ დარჩათ სათქმელი,
ეს საიდუმლო ბევრსაც დააბნევს.

თამარის კართან მის დიდ ოცნებებს,
ჩემი კალამიც ლამაზად დაწერს,
ის ამ პოემით ასე უთქმელად,
ამოუცნობი სიყვარულს აღწერს.
შოთა რუსთაველს და თამარ მეფეს,
დღემდე დავეძებთ, თუმცა ვერ ვაგნებთ,
ანდა ვინ იყო ეს გენიოსი?
ამას მე მგონი ღმერთი დაადგენს...

სამშობლოს ნატვრას ცოდნა რად უნდა..

იცით? ნიკოლოზ ბარათაშვილი,
სამშობლოს ფიქრებს გულში ტკეპნიდა,
მერანთან ერთად როცა მიქროდა,
საქართველოს თვის საშველს ძებნიდა,
იმ გზაარეულ უგზო-უკვლობას,
მაშინ შველოდნენ--ახლა გვეტყინა,
იმ შავ ყორანში დიდმა პოეტმა,
ბევრი იტანჯა, ვეღარ ელირსა.

და ახლა მიწას ანგრევს ისინი,
ძალა არა აქვთ, ვეღარ დგებიან,
საქართველოში ასე ფიქრობენ,
უკვე ასმაგი, მტრები ჩნდებიან,
და იმ მერანზე ამხედრებული,
მართლა გაფრინდა ვეღარ გვწვდებიან,
ალბათ სათქმელიც ბევრი დაგროვდა,
დრო როცა გავა--სხვებიც გეტყვიან,
ქართველო ერო ქართული მიწა,
არ გიღალატებთ--მუდამ გელიან.

რამდენ წინასწარმატყველებს გისმეთ

გადაიარა წყალმა მთა-ბარი,
წყალში გაცურა მსოფლიოს-სივრცემ,
წყალი გშთანთქავთო გვატყობინებენ,
წინასწარმეტყველნო შიშისგან გისმენთ,
მგონი ყველანი გულთმისანია,
დაღლილი ხალხი უსიტყოდ ვითმენთ,
არვინ არ იცის, როდის რა ხდება,
ეს ღმერთმა იცის-- სიმართლე ითქვეს.

ყველა ჩვენგანის აზრი-გონება,
 ღმერთის წყალობით ბევრ რამეს იტევს,
 ტბები მდინარე და ჩანჩქერები,
 ზღვა- ოკეანე სანამდე ითმენს,
 როს მიწიერი შენდობას ითხოვს,
 იქნებ ერთ დღესაც საშველი იქნეს,
 ხვალ რა იქნება ეს ღმერთმა უწყის,
 სადარაჯოზე სიმართლე იდგეს,
 ადამიანი თუ რამდენს ცოდავს,
 იქნებ ოდესმე სუყველა მიხვდეს.

ეს რატომ ხდება რომ ვიღაც ხალხზედ,
 უკვე წელ წელა გავლენას ახდენს,
 წყალი მეტია ვიდრე ხმელეთი,
 ისედაც ვიცით-- რად უსმენთ გამვლელს,
 და თუ ამდენად გულუბრყვილო ვართ,
 ღმერთო ვერ ვხედავ ამ ქვეყნის საშველს,
 და თუ წინასწარ ხელებს დაუშვებთ,
 გაჭივრების უამს ნუ ვეძებთ დამცველს,

ხალხის განწყობაც ბოლმით აზვირთდა,
 ზოგნი კი ამ დროს უძლებენ რამდენს,
 ყველას თავისი აზრი ანუხებს,
 და რაც ანუხებს-- იმასვე ავლენს,
 ღმერთო თუ მართლაც წარღვნა იქნება,
 წყალს ნუ გაატან--უშველე ქართველს,
 და მაინც თუ კი რაღაც მოხდება,
 ეს ჩემი ლექსი-- მლოცველი დარჩეს...

ქართველი გედიერი როლის იქნება

ქართველი ხალხის შეურაცყოფას,
ცეცხლი ედება ბომბად იქცევა,
ძალაუფლებას მთავრობა ხელყოფს,
ხალხის ღირსება ჩუმად ირყევა,
ეს ოდითგანვე ასე იყო და,
საუბედუროდ ასე იქნება,
ყველა მთავრობა პირველ ხანებში,
ზღვა დაპირებებს ურცხვად იწყებდა.

და-მერე? უცებ რა ხდება ხალხნო?
თვალთ უბნელდებათ--ტვინი იმღვრევა,
ხალხის ნერვებსაც მისი ზღვარი აქვს,
მოთმინებაში სანამ იხრჩვება,
ხალხის ნაკადი თუ კი აზვირთდა,
რომ შეაჩერო ძალა გჭირდება,
ეს დიდი ძალა მხოლოდ ხალხშია,
ყველა დღე ახალ ბოლმით ივსება.

ხალხს რომ იყენებთ და ზურგს იმაგრებთ,
მთავარი ტოტი ხედავთ? გიტყდებათ,
ხალხი ბრბო არის ცეცხლს ნუ ალვივებთ,
უეჭველია გვინვა იწყება,
ქართველი ხალხის შეურაცყოფით,
ყველა მთავრობა ხალხით იცვლება,
და თუ არ ისმენთ ხალხის გულისთქმას,
ის განაჩენიც, გულით ითქმება.

ცუდის დათესვით სამწუხაროა,
მაგრამ იგივე ცუდი იმკება,
და ეს სიჩუმე ხმაურს მოიტანს,
ამ სიჩუმეში კი ხალხი იღლება,

და მაინც ვფიქრობ სადამდე გაძლებს,
მოთმინებების მთები იდგმება,
ღმერთო შემინდე რომ გეკითხები,
ქართველი ბედნიერი როდის იქნება.

იქნებ და ღრუბელს გული ეტკინა..

დილით, ღრუბლიან ცას მივესალმე,
არც გამიღიმა და არც ატირდა,
მოწყენილ სახეს ვერ უნათებდი,
ღრუბლმა წარბები, უფრო შეიკრა,
რა არ ვანიშნე--არც გამომხედა,
სახე მოღუშა თითქოს გაცივდა,
ოხ ეს ღრუბლები მის ხასიათში,
მაიგნორებდა თავი ჩაკიდა.

ღრუბელმა დაფარა სხივი იმედის,
სევდიანი დღე სულში დამძიმდა,
და ბოლოს მაინც დაუშვა ცრემლი,
გულზედ მოეშვა როცა ატირდა,
ღრუბლებმაც ალბათ ვერ დაიტია,
და ამიტომაც ძლიერ გაწვიმდა,
ამდენ უთქმელი უსამართლობით,
ღმერთო შეგვინდე-- ცოდვა გადიდდა.

ღრუბელი სათქმელს მაინც კი იტყვის,
მასთან კამათი ვფიქრობ არ ღირდა,
დედამიწაზე ყველა მოვლენა,
გადაგვარდა და საზღვარს გაცილდა,
ღრუბელი როცა შავ სამოსს იცვამს,
იგრძნობ შენს სულში როგორ აცივდა,

ღმერთო ზეცაში დღესაც ფიქრობენ,
მიწიერთ ნეტავ ზუსტად რა გვინდა.

0რგვლივ ყოველი ჭრელზე ჭრელია...

ისე ვერ დათვლი ცაზე ვარსკვლავებს,
როგორც ვერ გათვლი ხალხის ბუნებას,
ზოგს ჭკუა უჭრის--ზოგიც ჩლუნგია,
ზოგს არტისტობა უფრო უხდება,
ზოგი თავისი ადგილს დაეძებს,
და ამ ძებნაში გული უკვდებათ
ზოგის ბავშვობა სალოცავია,
გარემოცვაში ბევრიც ფუჭდება.

ზოგნი სიყალბის კოშკებს აგებენ,
ზოგს სიმართლის თქმის არ აქვს უფლება,
ზოგს აღმერთებენ-- ზოგს აძაგებენ,
ჭორაობაში გაყავთ დროება,
ზოგი ბოლმისგან თავის თავს ახრჩობს,
მუდამ სხვის ჯიბრზე რაღაც უნდება,
ზოგი სიყვარულს წირავს თავის თავს,
ზოგიც ღალატობს-- ღმერთი უწყრება.

ზოგს სიყვარული სულ არ ადარდებს,
ზოგს სიყვარულის არ აქვს უფლება,
ზოგი ფინანსებს უხვად აგროვებს,
ამასობაში წლები ხუნდება,
ზოგს პირველობის მანია იპყრობს,
ზოგს ჩუმად ყოფნა უფრო უხდება,
ზოგი საწოლზე საათებს ითვლის,
ზოგი თავს იკლავს, ძალით გვიკვდება.

ზოგს ღმერთი არ სწამს--ურნმუნოდ დადის,
 ზოგი კი ღმერთის იმედად რჩება,
 ზოგი ჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრობს,
 ნარკოტიკებით ბევრიც ჩლუნგდება,
 ზოგი ციხეში ალპობს ცხოვრებას,
 ზოგი კი გარეთ ვეღარ მშვიდდება,
 ზოგი ღარიბებს საღამს არ აძლევს,
 ზოგიც დაეძებს თუ ვინ ჭირდება.

ბევრი აზარტულ თამაშს თავს წირავს,
 იქ პრობლემები ყველას უჩნდებათ,
 ზოგი საკუთარ სხეულით ვაჭრობს,
 ბოლოს ნანობენ გული უკვდებათ,
 ზოგს ოცნებები ოცნებად რჩება,
 ზოგსაც რა უნდა-- იმას ვერ ხვდება,
 ზოგი ცხოვრებას ტანჯვით ამთავრებს,
 ზოგს ფუფუნება უცებ წყინდება.

ამქვეყნად ყოფაც ზოგჯერ დაგაბნევს,
 ასე ჭრელია ჩვენი ცხოვრება,
 იქნებ მოვლენებს აღარ გაუსწროთ,
 ეს ღმერთმა იცის ხვალ რა მოხდება,
 არადა ყველა წარმავალია,
 ამქვეყნად ბოლოს არვინ არ რჩება,
 ღმერთის წინაშე ყველა წავრსდგებით,
 განკითხვის ჟამი როცა დადგება...

ღირსებას ქართველი აღარ დაკარგავს, ცუდი რაც იყო ნავა გაძრება

მე დავინახე, საქართველოს გადაგვარება,
მე გავიგონე უზნეობა და მამათმავლობა,
მე მოვისმინე მომავალი გზის ლანძლვა-ძაგება,
ყველა სიწმინდე აქ ნადგურდება, ხელში გვადნება.

აფსუს? ქართველი ვეღარ ქართველობს,
ეშმაკს ბარდება, ფულის გულისთვის ქართველი ქალი,
რა გზას ადგება, ბლერთო გვიშველე,
თორემ სიწმინდე ხელში გვაკვდება,
ნუთუ, ქართველი ვერ იქართველებს, ისე წახდება.

ეს სიბინძურე ჩემს საქართველოს, ლაქად ამჩნდება,
ნუთუ? ფულისთვის, ჩემი სამშობლო, ასე ბრმავდება?
ნუთუ ქრისტეს წილ საქართველოში, არ განათდება,
უფალო ვიცი შენი სავანე, არ ჩაბარდება.

შენ ჩემო ქვეყნის ხალხთა რჩეულო მხედართმთავარო,
სამშობლოს ბედი ხალხმა ხომ განდო თუ კვლავ გადარდებს,
ხვალ რა იქნება--გზა გაუკაფე ხვალინდელი დღეს,
ხალხის რჩეულო ყველა კანონი უფლებას გაძლევს.

მაშ მოიშველე შენი უფლება--დასვი წერტილი,
გადაარჩინე ქართველი ხალხი რა არ აკადრეს,
თვალს ნუ დახუჭავ ჩემო ხელმწიფევ, ფულს რას ადარებთ,
ჩვენი სიწმინდის გადარჩენისთვის,
არ დავივიწყოთ რამდენი ქალი მწარედ აწამეს,
და ახლა თურმე ოცდამეერთე საუკუნეში,
პატიოსნება ვის რას ადგება--თურმე აკრძალეს.
ღმერთო ძლიერო ჩვენი თაობა შენ დაიფარე,

გადაგვირჩინე ეს დასასრული ხომ დაინახე,
 ეს საშინელი სენი მოგვისპე და დაგვიმარხე,
 ჩვენი ქვეყნიდან, ნარკომანია შორს გაიტანე,
 მომავალ დედებს სულის სიწმინდე, გთხოვ შეუნახე...

ადამიანი არ უძღა გაცივდეს...

ღმერთო, წუხელის სიზმარში გნახე,
 ვერ გავიხსენე რაღაც მითხარი,
 ისევ ამ ღამის იმედს ვიტოვებ,
 არ გამიბრაზდე ვეღარ გიცანი,
 იცი? კითხვები ღმერთო მეცა მაქვს,
 წუხელ სიზმარში ვეღარ გითხარი,
 ისეთი ჯვარი რად დამაკისრე,
 რომელსაც ღმერთო მე ვერ ვზიდავდი.

თუმც ჩემს იარებს შენ მიშუშებდი,
 მე ვერ გხედავდი მუდამ მიცავდი,
 მუდამ მიკვირდა იქაც მშველოდი,
 ღმერთო თუ რამეს გულში ვიკლავდი,
 როგორ ნიშნებით წერდი ბედ-ილბალს,
 ვერ გავიგონე, იქნებ მიძახდი,
 ვიცით უფალო ჯვარზედ გაკრული,
 ჩვენ ცოდვებისთვის რამდენს იტანდი,
 მაგრამ გამოცდა ხომ ჩავაბარე,
 ღმერთო ამას გთხოვ-- დასვი ნიშანი...

ეს ეს ცხოვრება მართლა რთულია,
 აქ შენ გეთქმება ჩვენ კი, ვაბიჯებთ,
 მართლა საოცარ გრძნობას განვიცდით,
 ხან გვაცინებ და ხანაც გვატირებ,

ჩვენი მისია იწყება როცა,
ადამიანის სტატუსს გვანიჭებ,
და ჩვენც უფლება მივეცით ჩვენს თავს,
ეშმაკი ამ დროს შენს თავს გვავიწყებს.

და როცა უფსკრულს მიგვიყვანს ეშმა,
ღმერთი ზეციდან ლოცვას დაგვიწყებს,
ადამიანო კიდევ რა გვინდა,
ღმერთი ყოველთვის ვეღარ გაგვიგებს,
მუდმივად თუ კი ცოდვებს ჩავიდენთ,
ეს არ იფიქროთ ნოხებს დაგვიგებს,
ღმერთმა კეთილი სული ჩაგვიდგა,
ადამიანი რას არ ჩაიდენს,
ღმერთო შენს სათქმელს ახლა მე ვიტყვი --
ადამიანი არ უნდა გაცივდეს...

ფული გვაძირდება რომ ვიარსეპოთ,
თუმც ამ სიღძილით ნუ გაავდრდებით...

იცით? რას ნიშნავს იყო მდიდარი?
ფულით მდიდარი ვეღარ გახდები,
თავაწეულმა უნდა იარო,
ძალიან ძუნნი ნუღარ გახდები,
შენ თუ ფული გაქვს თავზედ საყრელი,
ამით, ღარიბ კაცს რაში ადგები,
მდიდარი იცი? როდის ხარ კარგო,
როცა სხვის სულში კარგად ჩაწვდები.

ერთხელ. მოსულმა თესე სიკეთე,
ხომ არ გგონია ისევ გაჩნდები,
ერთი პატარა არსება გაჩნდი,
თუმც დედამიწას მაინც აჩნდები,

მდიდარი სული ღმერთმა გიბოძა,
ფულში თუ გაცვლი--ველარ მართლდები,
უბრალოება დიდი განძია,
და ამ სიმდიდრით უფრო მაღლდები.

ცოცხალი მკვდარს თუ დაემსგავსები,
აქ ზედმეტი ხარ -- იქ კი აკლდები,
რეალურს თვალი არ დაუხუჭო,
ჰაერში ფრენით ჩამოვარდები,
შენით მიხვდები თავს რა დამართე,
უბრალოდ უშნოდ ამპარტავნდები,
ყველა სიმდიდრე წუთიერია,
ფული ჭუჭყია--ნულარ წახდები.

პოეტებს მუდამ შარი დაჟყვება, მზად უდა იყოს-- პრიტიკა ელის

მავანს არ უყვარს--მავანნი წერენ,
ზოგი ისე გრძნობს--მთლიანად ერწყმის,
ზოგს შეფასება გულით უნდება,
ზოგს რაც არ ესმის აბა რა ეთქმის,
თუმც ისეთებიც მოიძებნება,
რომ პოეზიას უარსაც ეტყვის,
ეს ბუნებრივი რეალობაა,
ნუ წაიკითხავ, იყავი შენთვის.

ის პოეტია თუ ვინმე ვიღაც,
კალამს მის სათქმელს უთუოდ ეტყვის,
კალამი ზოგჯერ მისითაც გინერს,
საოცრებაა-- ავტორსაც ებრძვის,
და როცა ძლიერ ქუხს და მძვინვარებს,

მიზეზი არ გაქვს შეტანის ეჭვის,
და თუ მავანნი ლექსებში ცხოვრობს,
ვიღაცა ამ დროს--ქვას ნუღარ ესვრის.

ლექსის ავტორი ზეპირად არ წერს,
სულიდან--მოდის და სულში შედის,
მას ცინიკური განწობა ანგრევს,
ფასს ნუ უკარგავ--შენ არას გერჩის,
ლექსის ღირსებას ნუ შეეხები,
მგრძნობიარეა მას შენი--ესმის,
და მაინც შენი ცხოვრების გზაზე,
შენ შენი სიტყვა ყოველთვის გეთქმის.

რაც შენ და თუდეაც სხვას აზარალებს, შენს თავს უბრძანე--არ დააშავო

თუ კი მტერი გყავს ფხიზლად იყავი,
ხმალი--ქარქაშში აღარ ჩააგო,
შენი ტკივილი-შენვე განკურნე,
ტყუილად ვინმეს აღარ გაანდო,
შენ შენი გზა გაქვს იმ გზას გაყევი,
ნუ გადაუხვევ აღარ გაასწრო,
თავშეკავება დიდი განძია,
თავი მარში რომ აღარ ჩააგდო.

უნდა ისწავლო კარგის შეგრძნება,
მუდამ ცუდს კარგი არ დააჯახო,
ხე შეძახებამ გაახმო თურმე,
წინასწარ ცუდი არ დააძახო,
ნუ მიენდობი ზეპირად ყველას,
სულის სიშიშვლე არ დაანახო,

შენი სათქმელი შენვე ამოთქვი,
სხვას-- სხვა ჰქვია და არ დააბარო,
ღმერთის მოძღვნილი სიამოვნება,
შენს თავს არასდროს არ დაამადლო.

ღმერთმა ვინც შეგქმნა--იმადვე დარჩი,
შენი ცხოვრება არ გააყალბო,
შენ შენი ბედის გასაღები გაქვს,
არ მოინდომო სხვისი გააღო,
მთავარი არის იყო მართალი,
შენს თავს ცხოვრება არ წაამწარო,
ცოდვა მძიმეა ნუ დაამატებთ,
ბოლოს სხვას რომ არ გადააბრალოთ...

ეს ცხოვრება გამოცდაა, არ ყოფილა ადვილი

შეთქმულების ლაბირინთში,
სადღაც ვდგევარ დალლილი,
წვეთ-წვეთობით მსხვერპლი გახდა,
გული ჩემი დაჭრილი,
მე წამართვეს ჩემი თავი,
დარჩა მხოლოდ აჩრდილი,
ჩემი ასე გამეტება,
აღარ იყო ადვილი,
სიყვარულით სავსე გულში,
მომხვდა ბასრი მახვილი,
ეს ცხოვრება ტკბილიაო,
ზოგჯერ არის ვამპირი.

რისთვის რატომ ვერ ერკვევი,
ვერ მონახე ადგილი,

მეცითხებით თუ ვინა ვარ,
მაგრამ დარჩა წაშლილი,
ვერ ვიგონებ ვინ ვიყავი,
შორი არის მანძილი,
არ ვარსებობ, სადღაც გავქრი,
დამეკარგა ადგილი,
უზნეობას შევებრძოლე,,
ბოლოს დავრჩი, დასჯილი...

ყველამ ერთად საქართველო გავაღვიძოთ

დრო მოვიდა საქართველო გავაღვიძოთ,
ვის უნახავს საქართველო ასეთ დღეში,
მაპატიეთ გადავგვარდით მგონი ხალხო,
ნუთუ წართლა ვეღარ ვარჩევთ მოყვასს მტერში,
ახლა დროა ავლრიალდეთ ისეთ ხმაზე,
ჩვენმა ხმამ რომ გაიაროს ღრმად შიგ ძვლებში,
დააკვნესეთ სალამური აატირეთ,
რომ ხმა მიწვდეს ჩვენს ქართველებს--მაღალ მთებშიც.

დროა წყენა დავივიწყოთ ქართველებო,
საქართველო არ ჩავაგდოთ მტრების ხელში,
არ შეშინდეთ დებო--ძმებო,
თორემ ხედავთ? ჩვენი მტერი შესულია უკვე ეშები,
იქნებ დროზედ გავაღვიძოთ ქართველები,
რომ ვიპოვოთ მოღალატე ქართველებში,
ყური უგდეთ ნუთუ აღარ გესმით ხალხნო,
რომ მშიერი მგელი ყმუის სადღაც ტყეში.

როდის იყო რომ ქართველი ნებდებოდა,
არ ჩასთვლიმოთ შეიტანეთ მუხტი სხვებში,

სატკივარი საყვირივით ააკვნესეთ,
 შიშის ზარი გავაჩინოთ ვერაგ მტერში,
 ისე ნულარ დაეცემი შენ ქართველო,
 საქართველომ შეიტანოს ეჭვი შენში,
 შენ ქართველო დედის სითბოს სად დაეძებ,
 ღმერთო ჩემო ის ხომ არის დედასამშობლოში,
 ოქრო--ვერცხლი შვებას ვეღარ მოგცემთ დიდხანს,
 შვება არის რომ იცოდეთ მხოლოდ ღმერთში.

მიცდა გედიერნი ვიყოთ

ყველამ მინდა, რომ იხაროს,
 გულზედ დარდი გადიყაროს,
 ყველამ მისი სატანჯველი,
 სულ იოლად გადიტანოს,
 ამას თქვენთვის ლექსით ვქარგავ,
 რომ ოდესმე გადიდაროს,
 სანთლებს ვანთებ, საზღვარს ვეძებ,
 ღმერთმა ნაპირს გაგვიყვანოს.

უსასრულოდ იმიტომ ვწერ,
 ლექსებმა რომ დაგიყვავოთ,
 სხვისთვის კარგის გაკეთება,
 არასოდეს დაიზაროთ,
 თუ კი, საიდუმლო განდეს,
 შენს გულშივე დაიმარხოს,
 სხვის ოჯახში სხვისი სკამი,
 არასოდეს დაიკავო.

შეეცადე ცუდის გვერდით,
 კარგიც უნდა დაინახო,

უცებ, ნურვის მიენდობი,
გული რომ არ დაგიდაგოს,
ეშმაკობაც მოიმარჯვე,
თუ კი ვინმემ დაგიბაროს,
ეკლესიის კარის უკან,
არასოდეს დაიმალო.

უღირსი არ შეიყვარო,
სიცოცხლე არ გაგიმწაროს,
მოთმინებას საზღვარი აქვს,
სულელად არ დაგინახოს,
ბედნიერი მაშინა ხარ,
ქრისტიანად დაიბადო,
ღმერთის რწმენა არ დაკარგო,,
თუ არ გინდა დაიტანჯო..

და მაიცც რაღაც დარჩა უთქმელი

როცა მიცოცავდა ცაში ღრუბლები,
შენთან რა ხდებოდა ნეტავ წუხელი,
ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავს მოგელი,
აღარ დამინვა ხელის გულები,
და ამ ფიქრებით შენამდე მოვედი,
შემოვიარე შენი ქუჩები,
თურმე ვყოფილვართ გაბუტულები.

ამ ცხოვრებისგან მონუსხულები,
გავხდით სრულიად მთვარეულები,
თითქოს ყოველი დარჩა უცვლელი,
ფიქრობ ჭრილობას ვეღარ უშველი,

ისევ ამაყი დარჩი ურყევი,
ეს ცხოვრება კი ვის მიუძღვენი?
ღმერთო რაღაცა დარჩა უთქმელი,
და მაინც შენთან რა მოხდა წუხელი...

კაი კაცობრა რა არის?????

ბუნების მგოსანს შევთხოვდი,
შენს სათქმელს ახლა მანდობდე,
ფშავ ხევსურეთის ზეციდან,
შენი სიტყვები მათოვდეს,
დღევანდელობა გაწუხებს,
კაცი კაცად რომ ვარგოდეს,
ის კი არ არის კაცობა,
შესახედავად ვარგოდე.

ის კი არ არის ბიჭობა,
სხვის დარდს სულაც არ დარდობდე,
კაი ბიჭობა ისაა, სანუგეშებლად გარბოდე,
ის კი არ არის ბიჭობა,
დედას გინებას ამხობდე,
კაი ბიჭობა ისაა,
დედის გინებას არ თმობდე.

ის აღარ არის ბიჭობა,
კოკაინით რომ წამლობდე,
კაი ბიჭობა ის არის,
მაგ საწამლავს რომ დათმობდე,
კაი ბიჭობა არ არის,
ქუჩაში სხვებს რომ ართობდე,
კაი ბიჭობა ისაა,
შენს საყვარელ ქალს ათბობდე.

ის კი არ არის ბიჭობა,
გეკიდოს არას დარდობდე,
კაი ბიჭობა ისაა,
დანგრეულს შენით რომ აწყობდე,
ის კი არ არის ბიჭობა,
კაცებთან ვითომ კაცობდე,
კაი ბიჭობა ისაა,
მართლა კაცად რომ ვარგოდე.

და რამდენი რამ ამტკიცებს
კაცობას შენ რომ აწყობდე,
აქ ყველა ვერ ჩამოვთვალე,
სათქმელი თქვენთვის დავტოვე,
თუმც ვაჟას ვერ შევედრები,
მის სევდას მინდა ვაშრობდე,
უთქმელობას კი მართლა სჯობს,
რაც სიმართლეა ამბობდე...

ღვართო ჩირალდენეგი მალე აინთოს

დღე გამითენე თუნდაც გავგიუდე,
რომ საქართველომ ხმა ამოიღოს,
დღე გამითენე ისეთი თუნდაც,
სიხარულისგან გული გაიყოს,
დღე გამითენე ისეთი დილა,
ოსეთ-აფხაზეთს ფსონი დაიდოს,
და ეს ფსონი რომ სიცოცხლე იყოს,
სისხლის გარეშე კარი გაიღოს.

საქართველო რომ გაერთიანდეს,
ჩვენს მიწებს შუა ზღვარი არ იყოს,

დღე გაუთენე ქართველებს ღმერთო,
აქ ჩახუტების დღე რომ დაიწყოს,
გაერთიანდით ქართველო ხალხნო,
რომ თქვენმა ძალამ მთები აიღოს,
ეს ის ძალაა მთებს რომ გადადგამს,
მტრებმა მიწები რომ ვერ წაიღოს...

მთავრობავ შენს ხალხს უდია უსმითო

ყველა მთავრობას უფლებები აქვს,
კანონის შეცვლაც მათი ვალია,
ფიცი რომ დადეთ უნდა გახსოვდეს,
შენს უკან შენი ქვეყნის ხალხია.
ისეთ კანონებს ნუ აკანონებთ,
შენს საქართველოს რაც არ არგია,
თუ რა ჯობია ეს ხალხს მოკითხეთ,
თქვენ ნუ გადაწყვეტთ--რაა კარგია.
ეს ასე არის ჩემი ხელმწიფევ,
იქნებ გეკითხათ ხალხს რა სწადია,
რამდენი ხანიც უნდა ითმინონ,
ბოლოს სათქმელი ხალხის ვალია.
სუყველა ჭაში ნუ ჩააფურთხებთ,
თქვენც დაგჭირდებათ სუფთა წყალია,
ვწერ და ცრემლები თავისით მოდის,
დღეს საქართველოს რა დღე ადგია.

რაც უნდა იყოს ეს ჩვენ არ გვიკვირს,
ახირებები ნახეთ რომ განვრევთ,
ვინმეს ჯინისთვის ნურაფერს დაწერთ,
ხალხის ცუნამი ყველაფერს წალეკას.
ეს ის ძალაა რომ აფეთქდება,
არ გაჩერდება ნამსხვრევად გაქცევს,

ხალხი თუ ფიქრობთ ჩუმად არიან,
ეს სიჩუმეა თავზარს რომ დაგცემთ.

აი რას გირჩევთ ხალხის რჩეულნო,
ჩვენს საზიანოდ ნურაფერს დაწერთ,
ხალხი დაათბოთ უკეთესია,
თქვენ კი პირიქით სიცივეს აჩვევთ.
ეს საქართველო თქვენი გგონიათ?
მაღლა ახედეთ ამ ქვეყნის გამჩენს,
ყველა თავისი პასუხს მიიღებს,
თუნდაც პატარა შეცდომის ჩამდენს.

ღმერთო მოგვეცი კურთხევა შენი,
საქართველო რომ ქართველებს დარჩეს,
არ გაათენო უფალო ის დღე,
ჩემი ქვეყანა რუსეთი გახდეს.
ალარ დაუშვა ღმერთო ისეთი,
პუტინის ნატვრა ოდესმე ახდეს,
ეს ჩემი ნატვრა გთხოვ ამიხდინო,
საქართველოში კარგი დრო დადგეს.

ემიგრანტები სახლში დაბრუნდნენ,
ეს სახელიც კი საერთოდ გაქრეს,
აფხაზეთი და სამაჩაბლო კი,
ჩვენი მიწები ისევე აღსდგეს.
დედაო ღვთისავ გემუდარები,
საქართველოში მშველელი გაჩნდეს,
ჩემს საქართველოს პატრიოტი და
ხალხზე მზრუნველი მთავრობა ჰყავდეს.
ყოვლად ლამაზი და სანატრელი,
ღმერთო რუკაზე მუდმივად ჩანდეს.

მოასწარი--სხვამ არ გითხრას მატი

ქარი დაუბერავს ახლა,
წვიმას დაადნება ცრემლი,
ჭადრაკს მიუსხდებით ალბათ,
ესეც ამბავია გრძელი,
თუ კი პირველი სვლა გერგო,
უნდა ათამაშო ცხენი,
მხოლოდ პაიკების ხარჯზე,
აყვავებას ნუღარ ელი.

მეფეს გაუფრთხილდი თორემ,
დედოფალი აღარ გშველის,
ტურას-ვერ გაუგებ რადგან,
სათქმელს პირდაპირში გეტყვის..
ვეზირს გახსნილი აქვს გზები,
საბაბს არ გიტოვებს ეჭვის,
დედოფალთან ყურადღება გმართებს,
ვერც მიხვდები ტყვიას ისე გესვრის.

შახი თუ კი გითხრეს შესდექ,
კარგად დაუფიქრდი რად ლირს,
თუ კი დედოფალმა გაგცა,
მასთან პაემანი დათქვი,
ირგვლივ ვეზირები გყავდეს,
დედოფალს გაბედულად დახვდი,
ტვინი თუ კი სწორად გიჭრის,
ამ დროს მოიშველე მატი.

და თუ სხვამ დაგასწრო მატი,
მაშინ ადექი და წადი,
ცხოვრებაც ასეთია კარგო,
შემდგომ ნაბიჯს თუ ვერ გათვლი,

ისევ დაუბერავს ქარი,
შენ კი წაგებული, დარჩი,
ერთ დროს არასწორმა სვლებმა,
დაგანახა მსხვერპლი როგორ გახდი.

ეს ხომ ცხოვრებაა ჩვენი,
კვლავაც დაუბერავს ქარი,
ისევ ითამაშებ ჭადრაკს,
ისევ მოგაწვება დარდი,
ცხოვრება სიურპრიზებს გჩუქნის,
იქნებ ჩემპიონიც გახდი,
ცაზედ ვარსკვლავებს რომ ითვლი,
აგერევა-- რამდენ ვარსკვლავს აცდი,
აქაც მოიგებ თუ აგებ,
ამას ვერასოდეს გათვლი,
მთავარია შენს თავს გამოუტყდე,
ამ თამაშში მართლა ხომ არ წახდი.

ჩემ საქართველოს ვიზებ მიხედათ...

ისევ გათენდა საქართველოში,
ხეზე ფოთლები ისევ შრიალებს,
შემოდგომის პირს იმედებს ველით,
ეს იმედები გაგვატიალებს.
სიყვარულს--სითბო ასულდგმულებდა,
გააცივეს და გადაგვიარეს,
ასე უბრალოდ გზას გაგვიყენეს,
მგონი ქართველად არ გვაღიარეს.

ღმერთს უარი უთხრეს სატანისტებმა,
მთავარი ღერძი აღარ ტრიალებს,

ისეთი მახე დაგვიგეს ქართველთ,
კარგად გათვლილი--კარგად მოგვარგეს,
ისე გაგვთიშეს--ღრმად ჩაგვეძინა,
რომ გავიღვიძეთ სამშობლო მოგვპარეს,
და ამის შემდეგ ზღვა ქართველები,
ემიგრაციის წლებში მოგვხარშეს.

ომი გინდათო ? ცეცხლს გვიკიდებენ,
ისე ვიწვებით ვერგინ მოგვარჩენს,
ასე უღმერთოდ მოსულ მთავრობას,
ღმერთო საშველად დღეს შენ მოგმართე,
რაც ჭუჭყი ჰქონდათ თავზედ მოადგათ,
დღეს ეს ღალატი მიდით მოქაფეთ,
თქვენ საქართველოს ხელისუფლებავ,
ამით ქართული დროშა მოწამლეთ.

იუდას მსგავსად ქრისტე გაყიდეთ,
და თქვენც ითვლებით გამცემ მოწაფედ,
ჩემი სამშობლო დაცარიელდა,
ოკუპანტების ცირკი გახადეთ,
მათი სადიზმი საფლავებში დუღს,
ჩვენივე სისხლით პირი მოგვპანეს,
არჩევნებზედ რომ იმედებს ვქარგავთ,
ეს არჩევანი ვინმემ მოგართვეს?
არაა--პირიქით მათ სასარგებლოდ,
ასე უტიფრად ხმები მოგვპარეს.

მაშ ომი გვინდა? იტყვის მავანნი,
და ისტორიაც დაიწერება,
ეს რას მოგვიტანს ამას დრო გვეტყვის,
დროც რა თქმა უნდა გაიწელება,
კონსტიტუცია რას ნიშნავს ჩვენთვის?

ჩვენს ოჯახისთვის რა გვიკეთდება?
ჩვენს წილ კანონებს ჩვენვე შევადგენთ,
და ჩვენს ოჯახში დაიბედება,
დღეს თუ ცოტაა მოემატება,
მეტის გულები დაისეტყვება,
ემიგრაციამ ფსიქიკა მოსპო,
ქართველთ ემიგრანტს სად გვითენდება,
ღმერთო მოგვეცი კურთხევა შენი,
თორემ ეს გული დაიფერფლება...

მგლად გადაქცეულს ვერ შეუსწორებ, შენი ქცევებით განსავლულია

თუ უღრან ტყეში მგელი ბინადრობს,
იქ თუ შედიხარ, არ გეშინია?
შენ უნდა იყო მგელზე ძლიერი,
მგლებს მოერიდე როცა ყმუიან,
მგელი მგელია თავს ნუ იტყუებთ,
მას მსხვერპლის სისხლი მუდამ სწყურია,
მგლად გადაქცეულ კაცის სურვილი,
შურისძიება მასთან, ნულია,
ის კითხვას არა-- პასუხს იძლევა,
და ეს პასუხი მეტად რთულია.

მაშ კრავს ნუ აქცევთ მგლად საშიშია,
ვერც კი გაიგებ სადაურია,
კისერს მოგიგრეხს, ვერც გაერკვევი,
ის შენს ცოდვებში, ჩამალულია.
თუ რამ დათესე არ იკარგება,
ღმერთის განაჩენს არ ჩაუვლია,

ის კრავი მგლად რომ გადააქციე,
აქ შენი საქმის დასასრულია,
არ გაგიკვირდეთ, მგლის რეაქცია,
ამ დროს არა თქვა, რა ხმაურია...

ახლა ვიგრძენი...

მე გავიარე საკმარისი გზა,
ტალახშიც ბევრჯერ ამოვისვარე...
ყველა გზამ რაღაც ახალი მამცნო,
ზოგჯერ ავდარშიც გამოვიდარე.
ამ გზას არ უყვარს უკან მოხედვა,
წარსულზედ ფიქრში დავიგვიანე.
ამ გზაზე, ბევრმა ბრმად ჩამიქროლა,
არ შევიმჩნიე და გავიარე.
გულის მეგზურიც წინ მიმიძლვოდა,
მეც მივენდე და, მთლად დავიკარგე.
სიყვარულით რომ გზას აუხვიე,
სახე ცრემლებით ჩამოვიბანე.
ეს გზა არ არის გადანოხილი,
ეკლებით ბევრჯერ ჩამოვიკანრე,
ბევრჯერ დავმალე ჩემი ცრემლები,
სახეზე ხელიც ჩამოვიფარე.
ბევრჯერ დავეცი ხელჩაქნეული,
ისევ ავდექი და გავიმართე.
ახლა ვიგრძენი ძალა წამერთვა,
ცხოვრებისაგან გადავილალე.
სად, როგორ, როდის--მთავრდება ეს გზა,
ღმერთო დროულად გამომიცხადე,
მხოლოდ გზის ბოლოს მიხვდები თურმე,
რა განაჩენიც გამოგიტანეს!...

ზეციშრს მართლაც ვერას გავუგებო

ღრუბლები მუდამ მოწყენილია,
რაღაც ატკინეს--გულში ჩაიდო,
ვერ გამოსულა ამ სტიქიდან,
ეს სხვამ რა იცის-- მაშინ რა იყო,
ღრუბლებს მუდამჟამ ბრაზით შევყურებთ,
წვიმა წამოვა-- გული წაილო,
იქნებ ეცაფოთ მისი გაგება,
ღრუბლების ბედი ვინმემ გაიგო?

მოიქუფრება შავ--ბნელ სამოსში,
თითქოს ეს ზეცა თავზედ დაიმხო,
უცხო პლანეტებს ვერას გაუგებ,
ცრემლის მაგივრად--წვიმა დაიწყო,
გამოსაცნობად გვიტოვებს დღემდე,
ზოგჯერ გვიღიმის--ზეცა გაიყო,
ნუ გაიკვირვებთ რა დამართნია,
ღრუბლიან ცაზე--ვარსკვლავი აინთო,
ამოუხსნელი დარჩება მუდამ,
მზე პირს იბანსო--წვიმა დაიწყო..

სიცამდვილეს თვალს თუ დაუხუჩავთ

ზოგჯერ ცხოვრება კი არ სრულდება,
რაგინდ გაექცე უფრო წინ გასწრებს,
გზას გადაგიჭრის ყოველი მხრიდან და,
ეკალბარდებს, ნოხებად აფენს,
ზოგჯერ გვონია დასასრულია,
მაგრამ გრძელდება, რაღაცას გატკენს,
ამაზე ცუდი რა უნდა მოხდეს,
ფიქრობ და-- უცებ ქვესკნელში გაგდებს.

და ასე ტანჯვით მიგაგდებს სადღაც,
არც დაგაყენებს და არც ძირს გაქცევს,
ცხოვრება მუდამ ენერგიას გთხოვს,
და საბოლოოდ ძალასაც გართმევს,
გეკითხებიან ეს რა ჭირი გჭირს?
აქ პასუხი აქვს ამ ბედის დამწერს,
გულში სიმები ყველა დღე, წყდება,
ვინ გამოგილევს ბედნიერ დარდებს,
ასე მკაცრია წუთისოფელი
როცა ცხოვრება არაფრად გაგდებს.

სავალდებულო არ არის მარტო,
კიბო შეგჭამს თუ სხვა რამე გაგსრესას,
ეს ინფექცია შენს ირგვლივ ფრინავს,
თუ კი მოგნამლეს ლოგინად გაგდებს,
აქ მნახველებიც არ გაკითხავენ,
აქ ყურადღებას არავინ გაქცევს,
უბრალოდ ბევრნი ეშმადეცეულნი,
შენს ცხოვრებაზე გავლენას ახდენს,
გარედან ვერვინ ვერ მოგერევა,
ციხე, შიგნიდან ხომ უნდა გატყდეს?.

ქალიან ძვირი დამიჯდა სიყვარული...

მე სიყვარულისთვის საფასურს ვიხდიდი,
ვნახე სიძულვილმა თავი დამიხარა,
ყველა ცრემლებისთვის მადლობას ვიხდიდი,
თუმცა დამეხმარა--ჭრილობა დამიამა,
მე სიყვარული ირგვლივ მიმოვფანტე,
არადა ბევრიც უაზროდ დაიკარგა,
კოკრები რომლებსაც ასე ვახარებდი,
ეკლები დამანახეს--როცა გაიშალა.

გულით უზარმაზარ სიყვარულს ვატარებდი,
ნელ--ნელა დამიცალეს, ჩუმად გაიპარა,
ჩემი ცრემლები რამდენი ვერცხლი ღირდა,
ქრისტე ხომ ოცდაათ ვერცხლად გაიყიდა,
სიყვარულისთვის მწარედ დავისაჯე,
მგონი სიძულვილმა ისევ გაიმარჯვა,
შემომაძარცვეს ჩემი სიყვარული,
ბოლოს კი ვიღაცამ მწარედ გაიცინა,
მე ამის შემდეგ სული ამენვა და,
ვიღაცამ უდარდელად--ნავიდა დაიძინა.

რეთუ სიყვარული არ არის მოღაში?

ქალი სიყვარულია და არა სიძულვილი,
ქალი თავს იტყუებს--იგი არ ტყუვდება,
სიცივეს რომ იგრძნობს ფიქრი ეძალება,
ამ დროს იტანჯება და ეჭვები უჩნდება.
ქალი ვერ გელევა გულში ჩაგიხუტებს,
შენ კი ვერც კი ამჩნევ დარდისგან ხუნდება,
ღალატი ტვინს აურევს, გრძნობებიც აეშლება,
არადა საკვირველია მაინც რომ ჩუმდება,
ქალს სიყვარული წრფელი აალებს და,
თუ გაუცივე ის გრძნობა უქრება.

სიყვარულს ერთ დროს თუ ზეცაში აყავდა,
ფრთებს ნუ მოამტვრევ ვერ იფრენს სუსტდება,
ქალს რომ გგონია ვერ დაგთმობს დადნება,
არ დაიჯერო უბრალოდ ჩუმდება,
ერთ დღესაც მიხურავს შენს ცხვირ--წინ კარებს და
სიყვარულიც ვერ სუნთქავს ასე უკვდება,
და ახლა მე მგონი არც არის მოდაში,
და სიყვარული ზოგ სულელს უტყდება.

უფლის სავანეს ღმერთი დაიცავს

გულზედ გაწვიმდა--თავზედ გათოვდა,
ქარიც იყო და, საოცრად ქუხდა,
ეს ყველაფერი ჩვენს მიწას ჭირდა,
ამ დროს ქართველი სკამისთვის წუხდა,
რას არ იტანდა-- რას არ უძლებდა,
საქართველო კვლავ, იდგა და დუმდა,
ასე ძლიერი და ქედმაღალი,
ჩემი სამშობლო ვიღაცას სძულდა.

რა ძალა მოვა-- ეს ვინ იქნება?
რომ შეარიგოს ხალხი დაშლილი,
წინათ ვაჟკაცებს შორის დგებოდა,
ქართველი ქალის წმინდა მანდილი,
რა სიძულვილი გაგიჩნდათ სულში,
ჩემი კალამიც არის დაღლილი,
ქართველთა სითბო სადღაც გაფრინდა,
გასავლელია დიდი მანძილი,
უცხო ქვეყნებს რომ სიყვარულს უხსნით,
ჩვენთან სიყვარულს დღე აქვს დათვლილი.

იქნებ გრიგალმა უფრო გვიშველოს,
გადაგვიაროს თავზედ ზვირთებმა,
ყინულის გული იქნებ გაგვიდნოს,
გამოგვაფხიზლოს სადღაც ფიქრებმა,
ეს სანატრელო ძმათა საფლავო,
მგონი გვაჯობოს მკვდარმა ბიჭებმა,
ჩემს საქართველოს ხელში გვაცლიან,
გამოფხიზლება ახლა გვჭირდება,
ქართველი ერი ღმერთო იხსენი,
სანამ დრო არის თორემ, ბინდდება.

სამყარო ეშმაკთ დასმა დაიპყრო,
დედამიწა რომ ასე ირწევა,
ყველა მოვლენა თავს დაგვტრიალებს,
მიწა და წყალი მტრებად იქცევა,
ასე მგონია ვიღაც გულს იფხანს,
ჩვენს მოსასპობად ბრძანებას იძლევა,
ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში,
მწამს ყველაფერი კარგად იქნება..

გლეხის სულთა სულს-- სიკეთე ახლავს

შემოდგომის პირს ელოდა გლეხი,
ღმერთს ევედრება-- მადლობას უხდის,
იცით? რომ ყველას გვჯობნის გლეხები,
დაულალავი-სპეტავი სულით,
ის აღარ ფიქრობს მილიონებზე,
კმაყოფილდება, ნაშრომი პურით,
გაოგნებული დაჰყურებს მიწას,
ხელჩაქნეული დაკარგულ რწმენით,
ვერ გაუგია--სად გაიზარდნენ,
ახალგაზრდები ასეთი ხედვით.

თუ რამ სიკეთე დარჩა სათქმელი,
გლეხებს ეკუთვნის გლეხებს ვენდობით,
თუ რამ კეთდება საკეთილდღეოდ,
დაულალავი გლეხების შრომით,
ნინათ ბეღელში მოსავალს ყრიდნენ,
ახლა კი სოფლებს ტოვებენ ცოდვით,
და თუ სიმართლე ვინმემ წარმოსთქვა,
არ კადრულობენ და გული მოსდით.

საბედნიეროდ შრომობს მავანნი,
და ქართულ მიწას შემორჩია გლეხი,
ამ უსამართლო შეურაცყოფას,
ვინ აიტანდა გლეხების მეტი?
საოცრებაა ოფლი ჩამოსდის,
შრომას აგრძელებს და თანაც მღერის,
ის მიწას ებრძვის--მიწაც თავს იცავს,
და ეს ორივეს მართლაც რომ შვენის,
მიწამაც იცის რომ საბოლოდ,
გულში ჩაიკრავს და სათქმელს ეტყვის,

ბუნების წესით სარგებლობს გლეხი,
სხვა კანონები გლეხებს ვერ ებრძვის,
ოფლით ნაშრომი გლეხს რას უქადის,
სეტყვის წინაშე ტირის და გვნეშის,
ცრემლები მოსდის ღმერთსაც ზეციდან,
გლეხი გიყვარდეთ პატივი ეცით,
იმ ოფლით მორწყულს--სისხლით ნუ მორწყავთ,
თორემ პასუხი, ღმერთიდან გელით,
ყველაზე მტკიცედ სათქმელი სიტყვა,
აქ გლეხებს ეთქმის--გლეხები გეტყვით.

ზოგჯერ ეშმაკი ჩვენშიც ვეძებოთ

ზოგნი ეშმაკებს სიტყვებით რაცხავს,
თვით კი ეშმაკის მოციქულს გვანან,
ეშმაკის ბუდეს საზრდოს აწვდიან,
სადარაჯოზე მსხვერპლის წინ დგანან,
დღეს ჩაგქოლავენ ხვალ გილიმიან,
ღმერთი-ეშმაკებს ვითომდა წამან,
ადამიანო დღეს რომ თავს მომჭრი,
ჩემთან ხვალისთვის- საერთო რა გაქვს?

ფუი ეშმაკსო, ვიძახით ზოგჯერ,
თვით ეშმაკები რამდენჯერ ჩვენ ვართ,
თავს ვიწონებთ და სხვის ჯიბრზე ვსუნთქავთ,
ხშირი სუნთქვა კი შენ თვითონ გწამლავს,,
ზოგჯერ კეთილი სახით ანათებთ,
მაგრამ ვაი რომ სხვა ნიღბით დახვალთ,
ერთ დროს იყავი შენც ანგელოზი,
ახლა ეშმაკი მითხარი რად ხარ?...

უფსარულს ნუ ჩაყვეპი, უფსარული იცი? გმარხავს

როცა იძირები ეშმაკს ნუ აცინებ,
ცუდს მუდამ კარგი ახლავს,
რომ შეიყვარე--ამიტომ აგატირეს,
დარდი მოიცილე--გულით რომ დაგაქვს,
შენი ლირსს ნუ გახდი ნეტავ რას აპირებ,
ნუ შეახედებ ძალა თუ არ გაქვს,
შენი ცრემლებით კოშკები თუ აიგეს,
დაიმახსოვრე დიდხანს არ გასტანს.

ეს მან იტიროს--შენ რომ დაგკარგა,
შენ დასაკარგი რა გაქვს,
ზოგჯერ ცხოვრება ისე გამოგცდის,
გეთამაშება ჭადრაკს,
ბოლოს სუყველა შეცდომებს გითვლის,
და გადმოგიშლის დავთარს,
შენს საქციელზე სხვას ნუ მიმართავ,
მიხვდები შენს თავს კარგავ,
თავს ნუ დაიტანჯავ--წყალს გაატანე,
თუ სადმე ნაგავს ნახავ..

სპოლის მერხები სულ სევაა წმიდა

ცხოვრება ბევრჯერ თავს მოგაბეზრებს,
ყველაფერს წაშლი ბავშვობის გარდა,
ადამიანებს ვერ ამოიცნობ,
სითბო რაც იყო ნელ ნელა გაქრა,
ბავშვობის წლები ლამაზად მოდის,
ახლაც რომ ვწერდი ცრემლები მადგა,
ის წრფელი გული და სიხალისე,
ვერ დავინახე-- არსად არ ჩანდა.

მე ის ბავშვობა მიყვარს უსაზღვროდ,
როცა ვერა გრძნობ რა არის დალლა,
პატარა გოგოს გრძნობებიც აწვიმს,
დედის ფერება--სკოლა და სხვა რამ,
ვიღაცას იგრძნობ თვალი დაგადგა,
ესეც წმინდაა--ლამაზი განცდა,
და სამწუხაროდ ლალი ცხოვრება,
სკოლის კედლებში მერხებზე დარჩა,
დროს უსაქმურად ნუდარ გაფლანგავთ,
ალბათ რამდენი დრო ტყუილად გაცდა.

ის მონატრებაც წმინდად ანათებს,
შეფუთულია და ალარ ჩაქრა,
სხვა ყველაფერი გულს ტვირთად აწევს,
იმ ბედნიერი ბავშვობის გარდა,
ახლა ბავშვობა დიდობას აგავს,
რაც კარგი იყო ოცნებად დარჩა,
ღმერთო მადლობა, რომ დამიტოვე,
ის ერთადერთი ბავშვობის ალთქმა...

დემოკრატიას საზღვრებიც ახლავს, და თუ გადაკვეთ დიდი შარია

დემოკრატიამ იფეთქა ხალხში,
კარგი და ცუდი ერთად არია,
თუ წინათ სათქმელს ვეღარ ამბობდნენ,
ახლა გაჰკივის ვისაც ცალია,
თავშეეკავება ჩვენს თავს აშუქებს,
ყველას ღირსების საწინდარია,
დემოკრატიას მთავრობა ირგებს,
ყველა კარგია--ვინც მათ არგიათ.

მთავრობას ქება სჭირდება მხოლოდ,
სხვა ყველა აზრი--პატიმარია,
ქარიშხალს აგავს ხალხის ნაკადი,
თუმც მათი სიტყვა კიტრის ფასია,
ვისთვის ყვირიან--ან ვის იცავენ,
ერთმანეთს სათქმელს აღარ აცლიან,
ვისაც კი ნერვი უმტყუნებს სადღაც,
ერთმანეთს ჭამენ ეს რა ხალხია.

თუ კი საყვედურს ამბობ მთავრობის,
მავანნი იტყვის-- მიშას ფანია,
წინათ ქართველებს ჰქონდათ ერთობა,
დღეს კი ქართველებს რა დღე ადგია,
მგონი თავადაც ვერ ვხვდებით ღმერთო,
სამშობლო ქართველთ რომ გვაბარია,
ერთმანეთს შხამით სულს უმახინჯებთ,
მგონი ჩვენს ტვინში ზენა ქარია,

არადა ყველას პატრიოტობა,
ყოფა--ქცევაზე მკვეთრად ატყვია,

რით ვერ გაიგეთ თქვენი პრობლემა,
 ნეტა ვის ტკივა? არვის ცალია,
 პოლიტიკოსებს როდესაც ვიცავთ,
 დიაგნოზს ჰქვია--მაგრად გვაკლია,
 ეს საქართველოვ მინდა გავბედო,
 თუ რამ გატკინეს ჩვენი ბრალია,
 ნუ აზიანებთ ერთმანეთს თორემ,
 ყველა მთავრობა--თეთრი შაშვია...

შერვისთან აჩამ იმადის ძაფებს, გვიან მისვალები თუ როგორ გიაყრობს..

უკან მოხედვას ვერც კი მოასწრებ,
 დრო ისეთია წუთს აღარ გითმობს,
 თავზე ძლიერად გადაგიქროლებს,
 ისე გაგივლის--თითქოს ვერ გიცნობს,
 დროს თუ ჩამორჩი--ვერ დაეწევი,
 ის სასტიკია და აღარ გინდობს,
 გუშინ რა იყო, დღეს კი რა ხდება,
 ხვალინდელი დღეც პასუხებს ითხოვს.

წარსული აწმყო და მომავალი,
 ყველა შენია და მასთან გიხმობს,
 წარსულზე ფიქრით დროს ნუ დაკარგავ,
 დღეს ის აკეთე--რასაც დღე ითხოვს,
 დღეს საკეთებელს ხვალ ნუ გადადებ,
 ასე მომავალს ვერავინ იწყობს,
 ის საძირკველი წარსულის ტყვეა,
 თუ მომპალია--მომავალს გისპობს...

შეს თავს ნუ განირავ

ისე დამღალა ცხოვრების სდევნამ,
როგორ დავიქანცე--ვერვინ დამინახა,
რაც უფრო მეტი შევძელი ატანა,
ცხოვრებამ იმდენი გოლი გამიტანა,
მაინც მყარად ვიდექ--საოცრება ვიყავ,
ვიღაცამ ასეთი ვეღარ ამიტანა,
ღმერთმა არ გამწირა ცოდვაც მომიტევა,
მისი მადლიანი ცის ქვეშ დამიფარა,
კარები ჩამეკეტა ვცდილობდი ვერ--ვაღებდი,
მივხვდი გასაღები ვიღაცამ დამიმალა,

ცრემლებიც არ გინდაო--შენ ნეტა რა გიჭირსო,
ვიღაცა შევაწუხე ცრემლიც დამიშალა,
სიცილი მასულდგმულებს--მაგრამ ცრემლნარევი?
სიცილის მიზეზს ვეძებ--უფსკრულს ჩამიყვანა,
წმინდა გიორგის ძალას მუდამ ვგრძნობდი,
ეშმაკმა ძირს რომ დამცა--ხელში ამიყვანა,
ამ დროს მომათენდა ძილი მომინდა და,
დილამშვიდობისაო ვიღაცამ დამიძახა.

დრო გაივლის და ნებია ოდესღაც ყველაფერს წაჟლის...

დრო გაივლის და ეს ტირილი--სიცილს დაიწყებს,
დრო გაივლის და შენს ცრემლებსაც ექნება ფასი,
დრო გაივლის და ეშმა თავში ხელებს დაიშენს,
და შენც ყველაფერს რაც კი იყო უჩუმრად წაშლი,
დრო არც იფიქრო გაჩერდება-- ბორკილს დაიდებს,
ის არ ჩერდება-- რომც გინდოდეს დროს ვეღარ დაღლი,

მთვარე ღამეულ საიდუმლოს მისთვის წაიღებს,
რაგინდ გინდოდეს შენს ბედის ვარსკვლავს მარსზე ვერგაცვლი.

დრო მკურნალია ასე ამბობენ-- მსხვერპლსაც გაიღებს,
შენ თავს უბრძანე და იმ დროში წერტილი დასვი,
და თუ დრო ცდილობს, დაგავიწყოს და არ გახსენებს,
შენს თავს ულმერთოდ ნუ გაწირავ და ნულარ დასჯი,
იქნებდა ვინმე ვერც კი ამჩნევ ისე გაღმერთებს,
შენს ბედისწერას ნუ დასწყევლი და ნულარ განსჯი,
დრო გაივლის და უსათუოდ ის დრო გაჩვენებს,
რომ მართლაც ღირდა--ღმერთის ნებართვით რადგანაც გაჩნდი...

ქალი შორეულ გზას რომ გაუყვა...

ცხოვრება ასგზის გამოცდას გიწყობს,
გადაგქანცავს და ძალას წაგართმევს,
ცხოვრების კიბეს საყრდენი არ აქვს,
უკან მოხედვა თავბრუს დაგახვევს,
პირად ცხოვრებას როცა გაურბი,
სიცარიელე სულსაც დაანგრევს,
ქალი რა არის? თუ არ გაათბობ,
ჩუმად იწვება და ვერც გაამხელს.

წლებში გაბნეულ დაკარგულ სითბოს,
ვერ გააჩალებს თუ არ ააანთეს,
მხოლოდ შრომაა ? ქალის ნუგეში?
და ამ ნუგეშმა ქალი დაადნეს,
ლამაზ ქალს უნდა გვერდით პატრონი,
ბევრი ყვავილი უწყლოდ დააჭვნეს,
თუ კი იტვირთა ქალმა რაც ძალუძს,
ასეთი ქალთან ეშმაც წააგებს.

ცხოვრება მართლაც უსამართლოა,
რომ ემიგრანტი ქალი გახადეს,
თუ შენს მიწანყალს უთქმელად ტოვებ,
ჩემი სამშობლო რატომ დაგარქვეს,
ყოველი სათქმელს და ცრემლთა დენას,
მგონი უვადო კლიტე დაადეს,
მაგრამ ემიგრანტს ვინ გადაარჩენს?
ნლები იარად რომ არ დააჩნდეს...

სულის ყივილი

ცას აბჯენილო მთებო რას სჩადით,
ღმერთმა არა ქნას რომ მოგვეწყინო,
დასაბამიდან მტრისგან გვიცავდი,
ახლა კი მგონი მტრად მოგვეკიდო,
გააფრებული მოემართები,
გსურს დასახრჩობად რომ მოგვევლინო,
მაინც იმედებს შემოვინახავთ,
იქნებ დაფიქრდე--კვლავ მოგვეჩვიო.

ღმერთო ტკივილს რომ ვერ მოვერიოთ,
ისეთ ჭრილობას გთხოვ აგვაცილე,
რატომ არ ვიცი--სულ შენ გეძახი,
ამდენი ცრემლი რად დაგვაწვიმე,
იცი? მე შენთან დიალოგს ვმართავ,
ვხედავ ეშმაკი კვლავ გავაცინეთ,
ანგელოზები ზეცას გავუშვით,
მათ ჩვენი ცოდვა ვერ ავაცილეთ.

ღმერთო ძნელია ვერ უძლებს გული,
აქ ანტიქრისტეც კი გავაკვირვეთ,

შენ ზეცაში ხარ--ჩვენ კი აქ ვხოხავთ,
მგონი ცოდვილთა ტბა გავაჩინეთ,
რამდენ ნიაღვარს წაყვა სიცოცხლე,
ღმერთო გვიშველე თქმა დავაპირეთ,
მთებს თავბრუ ესხმის-ფეხზედ ვერ დგება,
მის გულში ღმერთო რად დაგვაძინეთ.

და თუ ეს ჩვენი ცოდვები არის,
თვალები მაინც ვერ გავახილეთ?
საქართველოში სატანა დაძრნის,
ღმერთო შეგვინდე გთხოვ აგვაცილე,
და თუ ეს ტანჯვა არ შეჩერდება,
გყითხავ--ტანჯვისთვის რად გაგვაჩინე,
ეს ვერ მიგიხვდით ნიშანს რომ გვაძლევ,
ცოდვებით მიწა რომ დავამძიმეთ.

ჩვენ ბოროტებით გაუღენთილებმა,
სიკეთის თესვა კი დავაპირეთ,
მაგრამ ცოდვებით სავსე ხელებით,
სიკეთის კვალი ვერ დავაჩინეთ,
ღმერთო რა ხდება სატანა გვებრძვის?
ვერ მოვიშორეთ-- ვერ გავაცილეთ,
ნლების წინ ჩემმა კალამმა რა თქვა?
ღმერთო შემინდე რომ გავამხილე.
ან წყალი გვშთანთქავს ან მიწა,
ცეცხლისგან დაწვაც გვერგება,
ღმერთს ხელი მაგრად ჩაჰკიდეთ,
მეორედ მოსვლა გვეწყება.

დღეს არჩევების ნეტა ვის სჯერავს?

საქართველოში დიდი ბუმია,
ვინ ვის რას უწყობს ვერვინ გაიგო,
არჩევნებისთვის ხმალი ალესეს,
ენას მოგჭრიან ხმა რომ გაიღოთ,
ახლა პარტიებს ზღვა გეგმები აქვთ,
დაპირებების მთები აიგო,
პოლიტიკოსებს უსმენს ეშმაკიც,
მამაო-ჩვენოს კითხვა დაიწყო,
აქ ეშმაკიც კი წმინდანი ხდება,
მგონი იმანაც მსხვერპლი გაიღო.

თუ საქართველოს არ ღალატობდნენ,
მტრებმა მიწები როგორ წაიღო,
პატრიოტობას ყველა ფიცულობს,
ფიცი მწამს, მაგრამ ბოლომ რა გვიყო,
ეს საქართველო ველარ გენდობათ,
ხედავს ქართველნი ორად გაიყო,
ერთმანეთს თუ კი ძირს გამოუთხრით,
ამასობაში მტრებმა, დაგვიპყრო.

მგონი ვერც ვატყობთ სამშობლოს ვკარგავთ,
კარგს არ მოგვიტანს რატომ არ ვფიქრობთ,
და ჩვენს ვითომდა მთავრობას ვეტყვი,
იმდენად გძულვართ ალარც კი გვინდობთ,
თქვენის წყალობით პირაკრულები,
დატყვევებულნი გულზედ ხელს ვიწყობთ,
და მაინც ქართველს ვინ დააჩოქებს,
ამდენ ჭრილობებს ვითომ არ ვიტყობთ.

ამ არჩევნებზედ რა თამაშდება?
ჩემი სამშობლოს ვიღაცა ითხოვს,

დავიზეპირეთ თქვენი ხრიკები,
ოცნებად გექცეთ--რასაც ჩვენ გვიწყობთ,
ღმერთო მოხედე შენს ცოდვილ შვილებს,
ანგელოზებს რომ ყოველ დღე გვიფრთხობს,
დღეს არჩევნების არავის სჯერავს,
ღმერთი უამრავ პასუხებს ითხოვს...

ვგრძნობდი ღმართის შვილი დავიბაზე...

ღმერთის არსებობა როცა დამიმალეს,
მე ვერ დავიჯერე--არ ვიცი რატომ,
თითქმის ურნმუნო ოჯახში გავიზარდე,
პატარა გოგო კი მის ხილვას ნატრობს,
მე შენ შეგიგრძენი--ღმერთო დაგინახე,
უფლება მომეცი გნახო,
ღმერთო შეგიყვარე-ღმერთო დამიფარე,
ღმერთო არ დამტოვო მარტო,
უცებ ხელვას ვკარგავ, გზა ვერ დავინახე,
შენი ძალა ვიგრძენ ახლო.

სანთლებს როცა ვანთებ--შველას შენგან ვითხოვ,
თავზედ შენი ლოცვა მათოვს,
და თუ ცოდვილთ მსგავსად--ცოდვა მომიტევე,
აღარ მიმატოვო მარტო,
უცებ შიში გაჩნდა--თითქოს უფსკრულს ვდგევარ,
ცრემლებით სატანას ვართობ,
ღმერთო შეგიყვარე--ვიცი არ გამწირავ,
და მაინც რატომ ვდარდობ,
ახლა შველა მინდა--მიჩვენე შენი ძალა,
სატანა მირთავს წამ--ზომს..

იქნებ შევიცვალო ღმერთო

მინდა შევიცვალო სრულად,
სული დავიწმინდო მტვრისგან,
მინდა არ ვიცნობდე მტრულად,
არ მანსხვავებდნენ კლდისგან,
მინდა არ მტკიოდეს ძლიერ,
ძალას ვღებულობდე ჯვრისგან,
მინდა დალოცვილი ვიყო,
მხოლოდ და მხოლოდ ღვთისგან.

რწმენა არ დავკარგო მინდა,
შიში არ გამიჩნდეს ხვალის,
მინდა შევიცვალო ისე,
იმედი უფრო მქონდეს ღამის,
მინდა არ შევხედო ღრუბლებს,
სახე მოქუფრული დამდლის,
ვიცი რომ დაუშვებს წვიმას,
ცრემლი მე ისედაც მაწვიმს.
მინდა შორს წავიდე სადღაც,
იქნებ ძალა ექნეს მანძილს,
მინდა იქ არ დავდგე სადაც,
მავანნი ზედმეტად რომ ჩამთვლის,
მინდა შევიცვალო ძალზედ,
მონა რომ არ გავხვდე დარდის,
ღირსებას გაფრთხილება უნდა,
ცხოვრება იძულებულს გაგხდის.

ფიქრით ვერ დაიცავ შენს თავს,
დრო კი შეუმჩნევლად გადის,
მინდა ვიღაც უცხო გავხდე,
თავს არ ვაბეზრებდე არვის,

მინდა მართალი რომ ვიყო,
არ შემრცხვეს გათენება ხვალის,
და მაინც შევიცვლები ღმერთო,
დავიმკვიდრებ ღირსეულ ადგილს.

სათქმელი ღრმზე უნდა ამოთქვა...

თუ კი არ იტყვი დროულად სათქმელს,
პატარა წყენას დიდი მოჰყვება,
თუ შეაჩვიე რომ მაინც დათმობ,
გული ათასჯერ მაინც მოკვდება,
რეაგირება შენგან რა მოდის,
ესეთი ხალხი უფრო ცოფდება,
ზღვარგადასული წყენას გამოთქვავ,
ასე გეტყვიან არ გაქვს უფლება.

როგორ გაბედაო ამ უსუსურმა,
გასამართლებენ ხალხში, მოყვება,
ეს ყველაფერი შენს თავს მოკითხე,
ტილს ფეხზე ისვავ? თავზედ ხოხდება,
თუმც სულერთია-- ასეც ამბობენ,
რაც მოსახდენია--მაინც მოხდება,
მაგრამ მოთმენაც შენ გაზარალებს,
გული მოთმენით ასჯერ მოკვდება.

უკვე გაწუხებს ვეღარ ერევი,
მოსამორებლად ძალა გჭირდება,
თავში გირტყავდნენ არას ამბობდი,
თოვლს როცა აწვიმს-ჭყაპი მოყვება,
უღირს სიტყვას თუ პასუხს არ გასცემ,
გულში ლახვარი ბევრჯერ მოგხვდება,

და მაინც ნუღარ ჩაიკარგები,
დღეს თუ აცივდა-- ისევ მოთბება,
დილა მშვიდობით თუ გაგვითენდა,
გაიღიმე და ცრემლიც მოშრება..

ლამა დღის მკურნალი გახდა

ლამემ დაიბანა ხელი,
დღესთან ვერაფერს, რომ გახდა,
ლამე, გამოფხიზლდა მაშინ,
დღემ, რომ საიდუმლო გათქვა,
ლამეს თვალები აქვს ბნელი,
დღე კი, უნათებდა ლამპარს,
ლამე დაიღალა ძილით,
დღე კი, მის ძილშიაც, ჩანდა.
ბინდსაც გადაეკრა ხავსი,
ვიღაც ჩაათრია, ჩაყვა,
დღესაც მოერია ბრაზი,
მასაც თავსატეხი, რამ აქვს,
ლამემ გადამალა რალაც,
დღესაც სათქმელი არ, დარჩა,
მართლაც უცნაური რამა,
დღე და ლამე, ერთად, გაჩნდა..

შემოდგომამ ზაფხულს თვალი აუცილა

დილით ქარის შრიალს უსმენ,
სარკმელს, ტოტებს აფენს ნაზად,
მერცხალს ანგრევია ბუდე,
უკვე გადაფრინდნენ სადღაც,

ფოთლებს, შეეცვალათ ფერი,
წითელს-ყვითელ ფერი აკრავთ,
დაბლა მიფრინავენ თრთოლვით,
მიწას დაეფინენ არ სჩანს,
ეს ხომ შემოდგომის ზნეა,
ზაფხული ვერ ერევა რა ქნას.

სიცხეს შეეპარა სუსხი,
ზღვაზე ტურისტებიც გაქრა,
ტალღებს გული დაწყდათ ლელავს,
ნაპირს გადმოხეთქა წყალმა,
ცა კი იღრუბლება ხშირად,
სევდა მორევია საწყალს,
ასე მეორდება მუდამ,
ჩვენ კი ვეღარ ვამჩნევთ დალლას,
ზოგნი ჭრილობას თვით კურნავს,
ზოგნიც ხვალის იმედს ჩარხავს.

მაინც ყველა ცოდვილი ვართ და ღმერთის ვართ შვილი

მართლა არა ვარ ფრთაშესხმული
ანგელოზი--ყველას უყვარდე,
მე ქრისტე არ ვარ,
ნაწამებმა--მკვდრეთით რომ ალვსდგე,
მე ღმერთი არ ვარ რომ გაპატიოთ,
თუმც ბევრიც დავთმე,
არც ისეთი ვარ რომ უცოდველი,
ღმერთის წინ წავრსდგე,

მე ცოდვილს მხოლოდ შემიძლია,
რომ გვერდზე გავდგე,

ამას არ ვიზამ, რომ სხვის
ცოდვაში უჩუმრად ჩავდგე,
სიყვარულისთვის ბევრი ვიწვალე,
თუმც მაინც დავთმე,
როცა მატკენენ ჩუმად წავიდე,
უსიტყვოდ გავქრე,
მე შემიძლია--თუმც აღარ მინდა,
წაგებული მუდმივად დავრჩე,

მე შემიძლია შეგიყვარო თავდავიწყებით,
მაგრამ შიში მაქვს მსხვერპლი არ გავხდე,
სანთელი არ ვარ რომ ჩამომადნო,
და ბოლოს ჩავქრე,
რაც კი რამ ხდება ღმერთი განაგებს,
ეს უნდა გწამდეს,
და ბოლოს მაინც ღმერთის შვილი ხარ,
არ უნდა წახდე,
ყველაზე მეტად იცით? რა მინდა?
სხვებს კი არა და მე ჩემ თავს ვგავდე....

ცხოვრებას ქალით თუ გაირთულებ...

დღე-დღეებს მისდევს, ცრემლს-
სიხარული, ასეთი არის, ცხოვრების არსი,
საით წაგიყვანს ბეფის-ბორბალი,
შესაბასიდად- სხვანაირს გაგხდის,
დღეს გიხარია ხვალ კი მოიწყენ,
ზოგჯერ არაფერს არა-აქვს აზრი,
უინტერესო გახდა ყოველი,
ზიხარ და ფიქრობ ვიღაცას აკლდი,
ხვალინდელი დღე ადრე თუ იყო,
ახლა წინასწარ, ვერაფერს გათვლი.

ზოგ ადამიანს ასეთიც კი ჭირს,
 ევრო რემონტში დოლარებს ითვლის,
 ძვირად ღირებულ მანქანას იძენს,
 ყველა დღე ახალ ტანსაცმელს იცვლის,
 რესტორნებს ოჯახს უძახის უკვე,
 თავს არ დაიღლის ცეცხლთან არ იწვის,
 და ბოლოს როცა მარტო რჩებიან,
 რაღაც აწუხებთ თავს ფიქრით იღლის,

უკვე სწყინდებათ ესეც არ უნდათ,
 რაღაც ახლისკენ უთუოდ ილტვის,
 და რაც კი ღმერთმა აჩუქა ბედად,
 საფასურს მაინც ცრემლებით იხდის,
 ირონიაა ამგვარ ყოფაში,
 ღმერთზე ვინმე რომ საყვედურს იტყვის.
 მავანი ვითომ ყოვლისმცოდნენი,
 გულსაკლავ სიტყვებს ჰაერში ისვრის,
 იქნებ შევცვალოთ ჩვენითვე რაღაც,
 ცხოვრებას მივცეთ რაღაც ახალი,
 შავი ფერები გადავაჭრელოთ,
 ეს არ იფიქრო ეს-სად ჩავარდი?
 გეგმიან რეჟიმს მიჩვევა უნდა,
 იგივე არ ქნა ქარს რომ ატანდი,
 გართობის წესიც გადააკეთე,
 ერთფეროვნებას წრეს რომ არტყავდი.
 ყველაფერს შეცვლი და დაინახავ,
 რომ შენს ხასიათს როგორ კარგავდი,
 შენი ცხოვრებით იცხოვრე უფრო,
 იქ იფუსფუსე სადაც არ ჩანდი,
 გვიან იქნება როცა მიხვდები,
 სხვის საამებლად თავს ჩაგრავდი,

უბრალოებას ქედს თუ დაუხრი,
მაშინ მიხვდები რომ სხვას არ გავდი..

იქნებ სიცოცხლე გადავარჩინოთ...

რისი საფასურს იხდით ამქვეყნად,
ღმერთმა სიცოცხლე რისთვის გაჩუქათ,
რის ფასად ანგრევთ თქვენს წილ ცხოვრებას,
საღი გონება ღმერთმა აკურთხა,
თურმე ფხიზელი, ვეღარ აზროვნებთ,
ნარკოტიკები სულში გაუჯდათ,
მარიხუანას იმდენს ვეწევით,
ტვინში რაც ქონდათ ისიც გაუქრათ.

რა დოზითაც, გახდა ნებადართული,
მომხმარებლებიც მეტი გაუხდათ,
უკვე ვეღარ ვძლებთ თურმე უმისოდ
, მარიხუანას ძეგლი დაუდგათ,
ესეც მოგვწყინდა--ნამალს დავეძებთ,
და თურმე ამ დროს ღმერთი გაუწყრათ,
და ეს სიგიჟე უფრო მატულობს,
ვერ გარკვეულან მართლა რა უნდათ.

მშვიდად ვერა ხარ ამის შემყურე,
ეშმაკთა ხროვა ხედავთ? მსხვერპლს ითხოვს,
ხედავ? შენს წინ დგას ის ობიექტი,
ის უშენოდაც თავს მშვიდად იგრძნობს,
ისეთ შეგრძნებას ტოვებენ შენში,
თითქოს სამყაროს მთლიანად იპყრობს,
მასთან კონტროლი უიმედოა,
შენს დასმულ კითხვებს მაინც ვერ იგრძნობს,

კმაყოფილდება მხოლოდ შეკითხვით,
შეკითხვებისთვის მხოლოდ დროს გითმობს,
ასეთ ყოფაში მყოფ ახალგაზრდებს,
რა შეუძლიათ--მისგან რას ითხოვთ?..

ყველაფერს თავის დასასრული აქვს...

საქართველოში თუ სხვა მხარეში,
ყველა ქართველი ქრისტეს შვილია,
საქართველოში სისხლი გეძახის,
სხვა ქვეყანაში რა დაგრჩენია,
ღმერთო ადიდე, ჩემი სამშობლო,
ათასჯერ ცრემლი რომ დადენია,
ისეთი ვინმე გამოგვიგზავნე,
ხალხის ღალატი რომ არ ჩვევია,
ქართველ ხალხს სადღაც უცხო მხარეში,
ბევრმა არც იცის როგორ ტკენიათ.

ამდენ ჭირ-ვარამს და გაუსაძლისს,
ვინ დაუამებს--რა უნდა მოხდეს,
ოცნების ტალღა ხალხს რას უქადის,
ტალღებს კი ხალხის ცუნამი მოსდევს,
როს ადუღდება ძარღვებში სისხლი,
ქართველი იტყვის კიდეც რომ მოკვდეს,
პირველობა ხომ, ქართველთ სენია,
ეს საქართველოს ოდითგან მოსდევს.

შენს ხალხს ისე ნუ დააზარალებ,
რომ ისტორიამ თქვენს დროზე მოყვეს,
ღმერთო გვითხარი ქართველთა თმენა,
უცხო მიწაზე როდისლა მორჩეს,

მე კი მუდმივად სასწაულს ველი,
სასწაულები ჩვენთვის რომ მოხდეს,
ღმერთმა არა ქნას საქართველოში,
მთავარი ტოტი უცრად მოტყდეს.

დაცლილ სოფლებში ყინული გალღვეს,
ერთ დღესაც ღმერთო იქნებდა მოთბეს,
ზურგი ვაქციოთ ეშმაკთა ხროვას,
ღმერთმა კურთხევა შენდობით მოგვცეს,
ყველა ნაბიჯი გადავამოწმოთ,
ისევ შეცდომა რომ აღარ მოხდეს,
ღმერთო ისეთი დღე გაგვითენე,
ქართველი ქალი--ოჯახს არ მოსწყდეს.

მი ის დრო მიყვარს--იმ დროში ჩავრჩი, ამ ლექსით იძევა გამაპან შარვი..

ნორჩი ასაკი თვალწინ დამიდგა,
უკან მახედებს კარგი რაც არის,
და ის წარსული წიგნად გადიქცა,
ცუდსა და კარგსაც ღიად მასწავლის,
იმ ლამაზ წლებში ლვთიურ სიხარულს,
ღმერთს თავის ხელით წმინდად დავყავდით,
ჭადრის ხეებზედ გაკრულ აფიშებს,
ინდურ კინოებს ცაში ავყავდით.

აღტაცებულნი მშობლის ნებართვით,
სოფლის კინოსთან წრეებს ვარტყავდით,
და რა თქმა უნდა იყო გართობა,
სწავლასთან ერთად სპექტაკლებს ვდგავდით,
ნეტავ იმ დროსო ახლა ვნატრულობთ,
როცა ერთმანეთს აღარ ვჩაგრავდით,

ვიცი მავანს რომ ჩაეცინება,
ამ ჩაცინებასაც სადამდე დავყავდით..
და მაშინ იყო სულ სხვა სიწმინდე,
ჩვენ ანგელოზებს მართლა ვაგავდით.

ახლა რა ხდება? მართლა ვერ ვხდებით,
ახალ თაობის უფლებებს ვიცავთ,
ცივილიზებულ ქვეყანას უგებთ,
თანამედროვე კანონებს ვიტანთ,
ათი პროცენტი შემოგვრჩა ხელში,
ვინც ადათ-წესებს სპეტაკად ვიცავთ,
ჩვენი შვილები უფლებებს გვიფენს,
სამაგიეროდ ჩვენ თვალებს ვხუჭავთ.
რა დოზითაც დუღს ვნებათა-ლელვა,,
იმ დოზით ვკარგავთ და ვეღარ ვკურნავთ,
თინეიჯერებს რა ემართებათ,
ვებოდიშებით თავს რიდით უკრავთ,
აქ უკვე, მშობლებს ბევრი არ ეთქმის,
ისე ვაკეთებთ როგორც მათ უყვართ,
ეს სინანული გახდა მეგზური,
ეშმაკი სწორედ იმ წმინდას ურტყავს.
ბოლოს შედეგი დადგება ცუდი,
უმსგავსოებას ბოლო არ უჩანს,
აღზრდა ვერაფერს უშველის მარტო,
თუ -კი, გარემო სხვაგვარად სუნთქავს,
და ამ სიტყვებით ვანგრევთ სიწმინდეს,
დრომ მოიტანა--და არა უშავს?
დრო კი მიფრინავს არვის არ უცდის,
ცხოვრება მავანთ--დროს არ დაუთქვავს,
და თუ სიწმინდეს ყველა დავცინებთ,
ნახავთ ეშმაკი-- ტაშს რომ დაუკრავს...

სითბო სულისთვის არის წამალი

სადღაც ცხოვრობდა პატარა გოგო.
თვალებში ჰქონდა სხივი ჩამქრალი,
მას ჰქონდა ერთი პატარა გული,
პატარა მაგრამ ბევრის ამტანი,
მის მოთმინებას ცუდი რამ მოყვა,
გადააქციეს როგორც ალქაჯი,
ჩუმად ითმენდა ნერვებს ახრჩობდა,
ბოლოს გაცივდა-როგორც ზამთარი.
და რა მიიღეს სათნო გოგოსგან,
მისი ცხოვრება დარჩა წამხდარი,
ყველა ოცნება ფუჭი გამოდგა,
შორს მოისროლეს როგორც ნაგავი,
ვინ იყო ისიც გადაავინყეს,
ახლა სწავლობდა როგორც ანბანი,
მის გრძნობას ბინძურ ხელით შეეხენ,
მისი გრძნობები არის დამდნარი.

ყველა ეტაპზე ფეხი დაუდეს,
გადაუმტვრიეს ყველა სახსარი,
სათნოებისთვის ვერ გამიგია,
მადლობის ნაცვლად-- ჯვარს რომ აცვამდით,
მისი მკურნალი ეშმაკი იყო,
ბრჭყალებში ყავდა მუდამ საწყალი,
სულის მოთქმაც კი აღარ აცადეს,
გადაუკეტეს სუნთქვის ჟანგბადი.

როცა მდინარეს მიადგა ტანჯვით,
ყველა მდინარე იყო დამშრალი,
ჩუმად მოთმენამ შედეგი დადო,
ნერვები ჰქონდა შანთით დამწვარი,

პატარა გოგოს წლებმა უმტყუნა,
ეშმაკი იყო გოლის გამტანი,
ღმერთო რას წერდი ამ ბედში წეტავ ?
პატარა გოგოს თან რომ ატანდი..

დედა--სამშობლო მიტომ დაგარევეს

დედასამშობლო საქართველოა,
მეხივით იდგა მაგრამ დაღალეს,
შვილები, ფრთის ქვეშ შემოიფარა,
აღარ დაინდეს ძალით წაართვეს,
აფხაზეთი და ოსეთი კვნესის,
თავს ვერ შველიან ბოქლომი დაადეს,
და გასაღები რუსეთში არის,
ვეღარ ვპოულობთ-სადღაც დამალეს,
საქართველო-კი ნისლმა მოიცვა,
ხვალის იმედით მის თავს აწყნარებს.

ყველა დღე ახალ ოცნებებს ისმენს,
თითქოს ვიღაცა საქმეს აგვარებს,
მის სიამაყეს ლაფი დაასხეს,
მარტო დატოვეს საზღვრებს გადასცდნენ,
რამდენ მთავრობის ცოდვებს უძლებდი,
მაგრამ პირიქით ჩუმად გაგძარცვეს,
ეს საქართველოვ ასგზის წატანჯო,
სულის მოთქმა-ხომ აღარ გაცალეს,
ძლიერთა შორის ძლიერი რომ ხარ,
დედა-სამშობლოც-მიტომ, დაგარქვეს.

შენს სილამაზეს საზღვარი არ აქვს,
ძალზედ ძნელია ვინმემ დაგხატოს,

მოგიახლოვდნენ-საზღვრებს გადმოსცდნენ,
ჩვენ აღარ დაგთმობთ, სულიც აგვხადონ,
ბევრი ქართველნი დგას სადარაჯოს,
სამწუხაროდ კი ზოგნი გვლალატობს,
ღმერთო უშველე ქრისტეს მიწა-წყალს,
არ აგვატირო, ღმერთო, სად ხარო.

საქართველოში ქართული დროშა,
არ დაეშვება შენით ვამაყობთ,
ჩვენ დაკარგული არაფერი გვაქვს,
ეს აფხაზეთს და ოსეთს ვანახოთ,
ჩემო ქართველნო საქართველოსთვის,
ხმალი ქარქაშში აღარ ჩააგოთ,
ღმერთმა არა ქნას იმ დიდ რუკაზე,
საქართველო რომ ვინმემ წაშალოთ....

ერთგულება ცილინ როდი სცვივა

თითქოს მზერა მივაპყარი ზეცას,
ერთგულების სილუეტს რომ ქმნიდა,
ღმერთო მართლა ერთგულების სხივი,
ხელოვნური უკვე--აღარ მინდა,
ერთგულების ფიცი კარგად ვიცი,
ეს სიყალბე ვიცი არად ღირდა,
ერთგულებამ ვერ გაუძლო ღალატს,
შებრუნდა და ჩუმად ცრემლებს ღვრიდა.

ერთგულების ნიღაბს თუ მოირგებ,
მოჩვენებით ერთგულება გინდა?
სანამ კარი ღიად იყო ჩემი,
ერთგულებას მაშინ რაღა სჭირდა?

და როდესაც მიუხურე კარი,
ერთგულებაც გაქრა--აღარ იდგა,
ერთგულებაც დროთა--უამში მოტყდა,
სინანულით ცრემლებს მწარედ ლვრიდა.

ერთგულებავ უკან რად დამყვები,?
ჩემთან ერთად დადიოდე მინდა,
ღმერთო ჩემო გვიანდება ყოველი,
თუმცა კარგია შეცდომებს ვინც მიხვდა,
ზოგჯერ მწარედ გაიფიქრებ კაცი,
შენი დარდი --ნეტა ამათ ღირდა?
ზეცას რატომ მივაჩერდი ნეტავ,?
ერთგულება ციდან როდი წვიმდა...

ცხოვრების სახეს თვალები აქვსო, ყველაფერს ხედავს--ვერავინ ნაშლის

ცხოვრება არის დიდი სპექტაკლი,
მსახიობები ათასი რანგის,
ცხოვრება არის ზოგჯერ მეძავი,
უფულოდ არვის არაფერს განვდის,
ცხოვრება ხშირად თვითონ გეძახის,
თუ მოუბრუნდი რაცა გაქვს გაგხდის,
და თუ ცხოვრებას გადააბიჯე,
თავზე მაცდური ეშმაკი გაზის.

ამ დიდ სპექტაკლში ბევრი თამაშობს,
ვინც ვერ თამაშობს თავისით გადის,
ერთმანეთს ისე ეპრანჭებიან,
შენ მოგინდება დამალვა სახის,
ჩემო სიცოცხლეო და სიხარულო,
გეფერებიან-- ანგელოზს გაგხდის,

და საქმე-საქმედ თუ კი წავიდა,
უცებ მოსისხლე მტრადაც კი ჩაგთვლის.

ზოგჯერ ცხოვრება ცირკად იქცევა,
კლოუნად ქცეული ხალხიც კი დადის,
აქ რეჟისორი თუ რას დაგინერს,
მისი ხარისხიც ამაზე გადის,
თუ კი ჭირდები თავზე გევლება,
მოგეფერება ვითომ ხარ ბავშვი,
და თუ შეგატყო არას არგიხარ,
არც მოგიხედავს საოცრად გარბის,
აი ასეთი არის ცხოვრება,
თუ ვერ თამაშობ--მონა ხარ დარღის..

და თუ ამ ბრძოლას არ გაეძიო,
სხვა რა გიცოდო მართლა გეირი ხარ...

ორ გზას შუა თუ გამოიკეტე,
მაშ აირჩიე საით მიღიხარ,
უსასრულიბის ფიქრები გათოვს?
ზოგჯერაც ფიქრობ ვიღაც გიჟი ხარ,
შენ თავსაც უნდა გადააბიჯო,
მზის მოლოდინში ფუჭი ფიქრი გაქვს,
მერე რა უყოთ თუ გეტკინება,
ტკივილს გაუძლებ ღმერთის შვილი ხარ.

არაფრისმთქმელი დღეები მიდის,
და საბოლოოდ რისთვის იბრძვიხარ,
არც იქეთა ხარ და არც აქ რჩები,
ვერც შენ მიმხვდარხარ რომელ ქვეყნის ხარ,
სულის ღრიალი მხოლოდ შენ გესმის,
ძალიან გტკივა თუმც არ ყვირიხარ,

ქარიშხლის ფრთებმაც ვერ გადაგტეხეს,
სხვა რა გიწოდო მართლა გმირი ხარ.

თუმც კიდევ დაგრჩა გზა გასავლელი,
გამოანათე ნუღარ ტირიხარ,
ამ ორ გზას შუა ნუ იბარბაცებ,
კარგად დაფიქრდი საით მიდიხარ,
და ამ ფიქრებში შემოგათენდა,
შენ ვერ ატყობდი ჩუმად იწვიხარ,
და თუ ამ ბრძოლას მოიგებ კარგო,
ეს ღმერთმა იცის--რისი ღირსი ხარ...

ცხოვრებას მისი ფერები ახლავს....

ზოგი ცხოვრების მონად არსებობს,
ზოგს კი თავისით გააქვს ცხოვრება,
ზოგს თავზედ აწვიმს ბედნიერება,
ზოგი ოცნებობს როდის მოკვდება,
ღმერთმა შთაბერა ჩვენს სხეულს სული,
ადამიანის მოგვცა წოდება,
შენ როგორ შეძლებ ეს გააგრძელო,
მხეცად რომ იქცე არ გაქვს უფლება.

ზოგი პურის ფულს ვეღარ შოულობს,
ზოგს ბევრი თუ აქვს მეტი უნდება,
ზოგი ფულებში იხრჩვება ღმერთო,
ადამიანი ასე ღორდება,
შენს ბედს, თუ უცვლი მიმართულებას,
შესაბამისად, ეს გზაც მოკლდება,
ზოგი ცხოვრებას უტევს ბოლომდე,
არ დანებდება მანამ მოკვდება.

თუ, კი გატკინეს გზა გააგრძელე,
ძველი იარა აღარ მორჩება,
ამქვეყნიურში არ დაიჩოქო,
გარდაუვალი მაინც მოხდება,
ბოლოს როდესაც გაწყდება ძაფი,
დაღლილი სული სხეულს შორდება,
ფულიანი თუ უფულო კაცი,
იმქვეყანაში ყველა სწორდება..

ღრუპლებიც თურმა ღიღ საქოს აკეთებს

ცაში გაფანტულან ღრუბლები საოცრად,
მუდამ რაღაც ფიქრი აღარ ასვენებთ,
ყველა პლანეტები მხრებზე დაწოლიათ,
მზის ცეცხლსაც გულში ჩუმად ანელებს,
დედამიწელები მუდმივად ცოდავენ,
რა მონანიება--დღითი დღე აბევრებს,
აქ განმკითხავი არავინ არა გვყავს,
ვიღაცა ვიღაცას ზეპირად აღმერთებს.

ღრუბლებმა ზეცაში თავისი სიტყვა თქვა,
ვერ მეტყველებენ-- თუმც კი დაწერეს,
როცა დედამიწას ზეცა ემუქრება,
მოიქუფრება და ასე აჩერებს,
ზედმეტ დატვირთვას ღრუბლებიც
ვერ უძლებს, წვიმით ჩამოუშვებს და მიწას ასველებს,
მადლობა ღრუბლებო ზეციურ სამყაროს,
ცოტაც გაიჩოჩეთ და ღმერთი მაჩვენეთ...

ყველაფერს თავის დასასრული აქვს...

იცით? რა არის ხვალინდელი დღე?
 არა არ ვიცით ხვალ რა მოხდება,
 ამ ცხოვრებაში მუდმივი რაა?
 ყველაფერი და ყველა ორთქლდება,
 რკინასაც თავის ვადა გაუდის,
 იუანგება და ბოლოს მოცვთება,
 შენს განწყობასაც ნუ ჩაამუქებ,
 უხალისობით ოცნებაც ბონდება.

თუ ყოველი დღე არ აფერადე,
 დღეებიც იწყენს--გამოხუნდება,
 წინასწარ გეგმებს ნულარ დასახავთ,
 ამ დროს იცოდეთ ღმერთიც ოცდება,
 შენ მზად იყავი ყველა დღისათვის,
 ცუდზე ნუ ფიქრობ კარგიც მოხდება,
 სიურპრიზებით გვამკობს ცხოვრება,
 კარგი და ცუდი, დღეს არ მოწმდება.

ისეთ ოცბებებს ნულარ აყვები,
 რაც რეალობას ძალზედ შორდება,
 ღმერთი არავის არ წირავს ვიცით,
 გამოცდას გინწყობს თან არ გშორდება,
 ნულარ შეანჯლრევ შენს კუთვნილ ფესვებს,
 თორემ იქ ყველა ტოტი მოტყდება,
 შენს კუთვნილ გზაზე სწორად იარე და,
 ყველაფერი გამოსწორდება...

საქართველოს ნუ დაცულვებთ მარტოს...

საქართველოს ბორკილები ადევს,
ჩვენ ქართველმან გავიმეტეთ რა ვქნათ,
პასუხს ნეტავ ვისგან ვითხოვთ ხალხნო,
მივატოვეთ საშოვარზე დავალთ,
ტიტანიკის მსგავსად იძირები,
საქართველოვ ნაპირს როდის გახვალ?
თუმცა ღატაკს დაგამსგავსეთ მაგრამ,
მაინც ბრწყინავ--შენ არავის გავხარ.

პატარა ხარ მაგრამ მგრძნობიარე,
შენი მიწის სურნელება გვფარავს,
საქართველო გახდა საკუთრება?
ჩვენი ქვეყნის მთავრობა თქვენ არ ხართ,
ღმერთის შიშით იქნებ გონს მოეგოთ,
ქრისტეს მიწაზე--აფსუს როგორ დახვალთ,
თქვენი ნებით აღარ ტოვებთ სკამებს,
გაგწყვეტიათ შუბლის ძარღვი არ გაქვთ,
თუმცა ახლა არვის აღარ გესმით,
დრო მოვა და ყველა სახლში წახვალთ.

ამდენ ტკივილს ბოდიშს ვინ მოუხდის,
ვერ ვერევით ფეხზედ ვეღარ ვდგავართ,
საქართველო ორპირ ქარში მოხვდა,
აქ ავტორიც ემიგრანტი გახლავთ,
უკვე მართლა დავიბენი ღმერთო,
ხვალ რა გველის ვინმე გაგვიმარტავს?
პატრიოტებს შიში გაუჩინეთ,
თქვით სათქმელი ღმერთი დაინახავს.

ჩვენს სამშობლოს ჩვენი ხელით ვწირავთ,
ქართველები საზღვარგარეთ გაგვყავს,

შიშის ზარი დადის ჩემს მიწაზე,
 რაც აქ ხდება არაფერს არ აგავს,
 ქართველები დაიცალა ღმერთო,
 რუსი მალე ჩვენს კარს გადარაზავს,
 ყველაფერი ცხადზე ცხადი არის,
 მოლალატე მთავრობას დრო გაჰყავს.

**როცა შენ ნინ უფსკრულს ხედავ,
 საფიქრალიც აგერია...**

იოცნებე სანამ გინდა,
 ვინ დაგიშლის, ეს შენია,
 ოცნებების ასრულება,
 თუ კი სადმე გინერია,
 ოცნებებში დრო კი მიდის,
 ვერც მიხვდები სად გელიან,
 სიყვარული-სიძულვილი,
 ერთმანეთში აგრევია.
 გადავფურცლე ეს დღეები,
 ხვალინდელში რა წერია?
 ყველაფერი აქ დამთავრდა,
 გზად ეშმაკი დამწევია,
 ის რაც ჩემს გულს ეკუთვნოდა,
 თურმე მხოლოდ გამვლელია,
 ვერც კი ხვდები როცა იბრძვი,
 ეს ყოველი რა ძნელია.

გამოცდის წინ დამაყენეს,
 რთული იყო- ჩამჭრელია,
 გამოცდებზე-დამსწრებიც,
 ყველა გულის ამრევია,

ღამით ზღვასაც მივაშურე,
ყველაფერი დამღლელია,
ცაც, პირქუმად შემომყურებს,
ვერ გავიგე, რა ფერია..

ყველაფერს დაუნესე საზღვრები...

ზოგჯერ დასათმობი შენით უნდა დათმო,
სანამ გვიან აღარ არის,
თორემ დაიღლები--თავი შეგძულდება,
დრო მტკიცნეულად გადის,
თავის შეკავება ზოგჯერ საჭიროა,
მასაც--საზღვარი აქვს არ ღირს,
ადამიანი ასე არ იცვლება,
თავის მოტყუება დაგდლის.

ეს მოთმინებაც და ამდენი ფიქრიც,
ოდესაც თავის ქალას აგხდის,
თურმე არ ჭირდებათ შენი ერთგულება,
უნყინარს შურისმაძიებელს გაგხდის,
ზედმეტად ნურვის ნუ გამოეკიდები,
თორემ მონა გახდები დარდის,
ადამიანი ამ დროს ველურდება,
თავს უცოდველად ჩათვლის.

როცა წვიმა მოდის-თავი შეაფარე,
სენი შეგეყრება--განვიმს,
ვინც დასათმობია თუ კი აღარ დათმობ,
თვითონ მტკიცნეულად წაგშლის,
მზის ამოსვლას ნუ დაელოდები,
ზოგჯერ დროზე ადრე ჩადის,

შიში მოიშორე--უნდა გაძლიერდე,
ღმერთი შენთან ერთად დადის

ცხოვრება ხომ ქალზედ ღრმაა, ფრთხილად თორეა დაიხრჩვები

წუთისოფლის გზას შეუდექ,
სწორს და მრუდეს ვერ ვარჩევდი,
აქეთ იქეთ მახეთქებდა,
ხიფას მაინც თავს ვაღწევდი,
ჩემს ცხოვრების ბედისწერას
ღმერთო მითხარ რად ადგენდი,
ხან სიყვარულს ავყევი და,
ხან სიძულვილს ჩამოვყევი.
ვერ გავიგე რა ჯობია,
ბევრჯერ სადღაც ჩამოვჯექი,
შენ კი, ეი ვიღაცა ხარ,
ჩემს ნაკვალევს გამოყევი,
თუ გეტკინოს არ იკვნესო,
მეც მეტკინა არ მოკვდები,
ბედისწერას ნუ დასცინებ,
თორემ კაცი არ იქნები.

სხვას ზეპირად თუ კი განსჯი,
შენ უზნეოდ ჩაითვლები,
განა ცოტა მოვითმინე,
ღმერთო შენც კი დაიღლები,
თუ შეგნებულ ცოდვას იდენ,
ჯოჯოხეთში დაიწვები,
ყველაფრისთვის მზად იყავი,
უღვინოდაც დაითვრები.

ზოგჯერ ისეთ ნაბიჯს ადგავ,
გულში რომ არ გაივლებდი,
ღმერთო შენზედ მონდობილსა,
გზას მხოლოდ შენ თუ გამიკვლევდი,
უშენოდ მე რას გავხდები,
ამასაც ვერ დაგიწერდი,
მაგრამ იმის იმედი მაქვს,
ღმერთო ხელს არ გამიშვებდი.
შიში მაინც არ მასვენებს,
ღმერთო ხომ არ დავიწვები,
დღეს ვინა ხარ ის იცოდე,
ხვალ ვინ იცის--არ იქნები.
ღმერთმა მითხრა ჩამოჯექი,
თორემ ასე დაიღლები,
მე ამ ხიდზე მარტო ვდგავარ,
ვფიქრობ ხომ არ გავგიჟდები,
იცი ღმერთო რა ძნელია?
ამ გზაზე შენც დაიბნევი...

დილა თვალს რად უჭრის ლამას

დილამშვიდობისა მინდა მოგეფეროთ,
ღმერთი შეგახსენებს--გნამდე,
ღმერთო დავინახე ისეთი დილაც,
როგორ გაურბოდა ღამე,
შიშიც შევიგრძენი სუსხიან შუქის,
შევსთხოვდი--ალარ ჩაქრე,
დღის შუქი ჩემთვის არაფერს ნიშნავს,
ვარსკვლავთ ნათება მინდა ცაზე,
მე ის დღე მანადგურებს სადაც შიში მრთგუნავს,
დღე რომელიც არის შარზე.

ღამის სიბნელის მე არ მეშინია,
 რა უყოთ ცრემლიც თუ მდის თვალზე,
 იყო დღე როცა სიმართლეს ვერ ვხედავდი,
 თუმც თვალი ამეხილა ღამე,
 ასეთ უბადრუკ დღეს შუქს მოვპარავ და,
 წაუღებ კეთილ ღამეს,
 თვალები ბნელშიც კი ყველაფერს ხედავენ,
 თუ შენს გულს უხარის რამე.

ღამე ისე მიყვარს--ჩემი უნდა ერქვას,
 არასდროს გავცვლიდი სხვაზე,
 საღამოს პირას ვერაფერს ვერ შეცვლი,
 დღე მაინც გაეყრება ღამეს,
 დილა ღმერთის ნებით მუდამ გათენდება,
 მთავარია განწყობა ახლდეს,
 ისეთი დილის არა გამეგება,
 ერთს ახარებდეს და მეორეს
 უსამართლოდ კლავდეს,

თუმც ესეც ინტერესს თითქოს დაგვიკარგავს,
 ყველა დილა ერთმანეთს რომ გავდეს,
 ღმერთო ყოვლისშემძლევ ეს არ გააკეთო,
 სიცოცხლე ნაადრევად ჩაქრეს,
 სასწაულების მუდამ მჯეროდა,
 ღმერთო ნანატრი დღე დადგეს,
 დილამშვიდობისა ჩემი საქართველოვ,
 კეთილი ოცნებები ახდეს.

ესეც ღმერთის ხება იყო...

გაიარა სიყმაწვილემ,
გულმა სადღაც რეჩხი მიყო,
გაიარა ტკივილებმა,
ვიღაცამ კი ვერ გამიგო,
სინანულმა მომიხედა,
ხურდა ჩუმად ძირს დამიგდო,
წმინდა გული გამითელა,
ჩემმა ბედმა ეს რა მიყო.
ამიტანა შიშმა მწარედ,
ჩემი სული მან დაიპყრო,
ველოდი და თურმე ტყუილად,
წვიმამ ალარ გადაიღო,
ამ თავსხმაში დავეძებდი,
თავშესაფარს--არსად იყო,
როცა წელში გავიმართე,
ვიღაცამ ფეხი გამომიდო.

ცხოვრებაში რა არ დავთმე,
მაგრამ მაინც ვერ გამიგო,
ქარიშხალსაც შევეძრძოლე,
ამ ცხოვრებამ არ დამინდო,
ეშმაკმა კი სამახსოვროდ,
გიუი ფოტო გადამიღო,
დღეს დავრწმუნდი--რაც ხდებოდა,
ალბათ ღმერთის ნება იყო...

ცეთუ მართლა ვართ შესყიდულები? ..

დღე დღეებს მისდევს --ტანჯვა კი ტანჯვას,
აუტანელი ხდება ცხოვრება,
ყველა დღე რაღაც საშინელია,
ეს სენი ალბათ აღარ მორჩება,
და ამ ყველაფრის უმოქმედობამ,
შედევიც დადო ისმის გოდება,
ზოგი შვილს კარგავს-- ზოგიც თავისთავს,
საფასურად კი ვის აქვს მოგება.

ამ პროცესს ღმერთო ვინ შეაჩერებს,
ახალგაზრდობა მიწას სწორდება,
პრასტიტუცია-ნარკომანია,
ამ საუკუნის გახდა წოდება,
ხელისუფლებას არც ედარდება,
ადათ--წესები სულმთლად ბონდება,
კანონს არ წერენ გადასარჩენად,
აღარ ადარდებთ ვინ რით მოკვდება.

ზოგის ტვინს რაღა მოეკითხება,
თითქოს ევროპას ამით შორდება,
საზღვარი როცა რაღაცას ცდება,
ძლიერ მუხასაც ტოტი მოტყდება,
შუბლის ძარღვი რომ უწყდება მავანთ,
უადვილდებათ ნიღბის მორგება,
ახალ--ახალი საკენკს გვიყრიან,
ხალხი აღარ ჭამს უკვე ობდება,
ჩვენს ტრადიციებს ხელში გვაკლავენ,
გვიან იქნება- ის რაც მოხდება....

ღმერთო გვაპატიე--ეშმასთან ნილნაყართა..

ღმერთო მომაკითხე--რაღაც მიმანიშნე,
თვალი აგარიდე და მიხვდი,
თითქოს გამიბრაზდი--უცებ სადღაც გაქრი,
ვიცი სისუსტეში მითვლი,
როცა სინამდვილეს თვალი ავარიდე,
ამით მწარე სასჯელს ვიმკი,
იქნებ მომიტევო რაღაც ვერ გავთვალე,
ცუდად მომეჩვია ფიქრი.
შენ ხარ ზეციური, მე კი მიწიერი,
მე აქ უსასრულოდ ვიბრძვი,
ღმერთო მომიტევე თვალი აგარიდე,
თვალში ჩამომაწვა ბინდი,
ეშმაკს დაუჯერე ვეღარ შევამჩნიე,
ჯოჯოხეთის ცეცხლში ვიწვი,
ღმერთო არ დამტოვო,
ცოდვილი გევედრები,
უშენოდ მომერია შიში,
ახლა შველა გვინდა გვიჩვენე შენი ძალა,
სასჯელს უმოწყალოდ ვიხდით.

ღრუბლები მორიდებით სადღაც გაიფანტა,
ცრემლი ებევრა და მისთვის განზე გადგა,
მზემ გაანათა თითქოს შემამჩნია,
ცრემლის გასაშრობად ახლოს ჩემთან დადგა,
ნიავს არ ველოდი თმებში შემომიძვრა,
მაინც არ დამტოვა ღმერთმა მომიგზავნა,
ნიავს ქარი მოყვა ყურში ჩამჩურჩულა,
არ დანებდეო ჩუმად მომიტაცა.

ცრემლი რომ მსდიოდა ეშმა ჩემს წინ იდგა,
ცრემლებს ვერ გაუძლო -ბოდიში მომიხადა,

ღმერთო ეს რა ხდება ზეცას მივაჩერდი,
 ზეცაზე უჩინარმა ღმერთი მომიხატა,
 წვიმა წამოვიდა სუნთქვა გავაგრძელე,
 წვიმაც მომეხმარა ცრემლები მომიბანა,
 ბედს ვერ გავექცევით უკვე დაიწერა,
 ღმერთმა უკეთ იცის--ღმერთმა მოგვიყვანა...

საქართველო მის შვილებს ნატრობს..

რად არ გაქრები შენ ანტიქრისტევ,
 მგონი შენს თავსაც უკვე ვეღარ ცნობ,
 სისხლით მოთხვრილი სახეს ვერ მალავ,
 თუმც ვერ ისვენებ და ისევ ანცობ,
 ნუთუ იმდენად უსულგულო ხარ,
 სულების კვნესა ვერ ხვდები გახრჩობს,
 ღმერთი განრისხდა ვეღარ მშვიდდება,
 ამ სისასტიკეს არაფრით დათმობს.

ღმერთო შემინდე ახლა რას ვიტყვი,
 ამ დროსაც მავანს არ ტკივა ხარობს,
 იქნებ ვისწავლოთ ხალხის დანდობა,
 თორემ სატანა თავისთვის გალობს,
 იქ შოვის მიწა შიგნიდან კვნესის,
 ვიღაცა ყვირის ნუ მტოვებთ მარტოს,
 აქ კი ინტერნეტ სივრცეს გავყურებ,
 პოზიორობენ --სიმღერას აქსოვს.

ნუთუ არ ტკივათ? ასე დავეცით?
 ამ ტრაგედიას ცხადია არ გრძნობთ,
 ყველამ თავისი სახე აჩვენა,
 მავანნი რესტორანს ხურავენ ამ დროს,

ღმერთი დიდია და დაელოდეთ,
თქვენთვის ზეცაში ღმერთი წერს კანონს,
სუფრასთან მსხლომნი ვაჟკაცები ხართ,
კაცმა რომ გყითხოთ სიცოცხლეს დათმობთ,
არადა მხოლოდ თავი გადარდებთ,
თავში ავარდნილთ უფალი დაგგმობთ.
დღეს ანტიქრისტე სადღაც ისევ დგას,
ვერაგი ფიქრობს ვის როგორ ავნოს,
შვიდი აგვისტო გლოვის დღეაო,
არადა სამი აგვისტო გვახსოვს,
მთებს სამში ძირი გამოეშალათ,
და რაც გაგვაჩნდა ზედ თავზედ გვამხობს,
ყველას ტკივილი სულში ჩაბუდდა,
ღმერთო შეგვინდე -- ცოდვები გვახრჩობს.
გაივლის კიდევ წლები ბევრი,
შოვში კვლავ ნახავთ საოცარ წალკოტს,
მთისა და ბარის ზავი შედგება,
ღმერთი სიხარულს გვპირდება-- მზაობს,
თუმც დღეს ზეციდან ცრემლებს დაუშვებს,
ამით უფალი მთის რისხვას დაგმობს,
იქ მიწას მუდამ სევდა დანამავს,
დრო ყველა ტკივილს აშუშებს ათბობს.

ამ ტრაგედიას ისტორია წერს,
ისტორიას კი მავანი სწავლობს,
იქ ალბათ ვიღაც დვთისამიერი,
მათ მოსაგონლად ერთ ქვასაც დადობს,
ამ ადგილს მუდმივ ჩანჩქერს დაუშვებთ,
ხალხის ცრემლები ყველამ რომ ნახოს,
და როგორც იქნა ვიგრძენით ყველამ,
სიცოცხლე თურმე რა ძვირად ფასობს.
დღეს საქართველომ დაუშვა დროშა,
ცრემლები სცვივა-- მის შვილებს ნატრობს.

ცხოვრება მართლაც მრავალზერია...

ამ ცხოვრებიდან, ვინ რას ითხოვდა?
 ყველას თავისი წილი უნდოდა,
 მაგრამ ვაი რომ ასე არ იყო,
 ზოგი იწვა და ზოგიც დგებოდა,
 ზოგს გასაქცევიც არ დარჩენოდა,
 ზოგიც ზამთარში თოვლით თბებოდა,
 ზოგი ცრემლების გუბეში იდგა და,
 ქარბორბალას წნებში შრებოდა.

ზოგი თავისით გეგმებს აწყობდა,
 ეს გეგმები კი სხვაგან წყდებოდა,
 შენი კუთვნილიც გულს გისერავდა,
 სხვაგან გარბოდა ვიღაც ჩემობდა,
 ეს ყველაფერი საოცრებაა,
 შენი იყო და, მაინც ქრებოდა,
 სიყვარულისთვის მზად რომ იყავი,
 საოცრებები მაშინ ხდებოდა.

გულში თბილად რომ შემოფუთავდი,
 გულში თოვლივით ჩაგადნებოდა,
 ზოგჯერ უფსკრულის პირას მისული,
 შენს გვერდით მაშინ ღმერთი ჩნდებოდა,
 ეს ყველაფერი ასე იყო და,
 მუდამ მარადჟამს ასე ხდებოდა,
 ზოგი ცხოვრობდა ლამაზ ცხოვრებით,
 ზოგიც კი დღეში ასჯერ-კვდებოდა..

მი ვწერ თუმცა მთავარია ისიც, აქ მოსმენა თუ ვინ როგორ იცის...

როგორ გადაგლალეთ ღმერთო,
სამყარო მუდამ მხრებზე გიდევს,
საოცარი ძალით ებრძვი ეშმაკს,
სამყარო ამდენ ცოდვებს იტევს,
ცეცხლი მოდებია ზეცას,
დედამიწა-- ღმერთო დუღილს იწყებს,
სიკვდილმა დაუჩინქა ქრისტეს,
მგონი ისიც თავში ხელებს იშენს.

სატანა კი ცელით დარბის ამ დროს,
და ცელს დაუნდობლად იქნევს,
შავ--ბნელ სამყაროში ვცხოვრობთ,
ყოველი დღე ახალ ცოდვებს ვიდენთ,
ღმერთო შეგვასმინე ქართველთ,
ერთმანეთის გვერდით როგორ ვიდგეთ,
ახლა დრო მოვიდა ურცხვი,
სასიკეთოდ--ძალზედ ცოტა გირჩევს.

მე ისეთი საქართველო მინდა,
დედის ცრემლი სადაც აღარ იდენს,
ალბათ ძალაც შენ მიეცი ღმერთო,
ადამიანი რამდენ ტკივილს ითმენს,
დიდო ღმერთო გვაპატიე ტვირთი,
მინას შევჭამთ-- გევედრებით ისევ,
შენს გარეშე უძლურნი ვართ--ხედავ????
ანტიქრისტე--ღიად როგორ გვიტევს.

მოფხიზლება ყველას ახლა გვმართებს,
ის ნასროლი ანკესი რომ გვიწვევს,

ზოგი შიმშილს იმედებით იკლავს,
 ზოგნი კიდევ არაფერს არ იკლებს,
 და თუ ასე გავაგრძელეთ კვლავაც,
 ზღვა ცრემლები არ შეწყდება იდენს,
 უსასრულოდ დავწერ ყველა ტკივილს,
 მთავარია თუ ვინ როგორ გვისმენს...

სიცოცხლე მაინც იქნება...

ჩემი კალამი ბასრია,
 და ეს ჩემს ლექსსაც ემჩნევა,
 მე მუდამ დავწერ სიმართლეს,
 სახელიც ჩემი ერქმევა,
 მაშინ როდესაც მსოფლიო,
 შიშით სახლში ვერ ჩერდება,
 ადამიანი ვერ ითმენს,
 ჩხუბობს--ყვირის და ხელდება.

ხვალ რა მოგველის იფიქრეთ,
 ეს ყველაფერი გვპეზრდება,
 ან წყალი გვშთქანთქავს ან მიწა,
 ცეცხლისგან დაწვაც გვერგება,
 სუსკელას მკვდრები გვაჯობებს,
 საფლავიც აღარ გვექნება,
 შიში რა არის იმასთან,
 გიჟიანობა გვეწყება.

იმდენი ცოდვა დავიდეთ,
 ღმერთთან სიტყვა არ გვეთქმევა,
 ახლა თუ ნანობთ კარგია,
 მაგრამ ცოდვა არ ნელდება,

ცოდვის ცეცხლშია მსოფლიო,
ჩაქრობა ვეღარ ხერხდება,
მეწყერი ცოცხლად დაგვმარხავს,
ეს ყველაფერი გრძელდება.

ეშმაკთა დასიც დარბის და,
ეს ყველაფერი ძნელდება,
ცოდვა მოედო მსოფლიოს,
ნეტავი სად გაჩერდება,
და ახლა მაინც ხომ გჯერავთ,
ადამიანი რომ არ იცვლება,
თავზედ გვემხობა სამყარო,
ხალხი ბოლმით არ იღლება.

ღვთის რჩეულები იმედს ქსოვს,
მათი ფიალაც ივსება,
ადამიანზე რაღა ვთქვა,
ბოლოს ღმერთიც ხომ იღლება,
ღმერთო მგონი ეს გვანიშნე?
მეორედ მოსვლა იწყება??
ამ ყველაფერზე ოდესლაც,
ძალიან მწარედ ითქმება,
თუმც ანტიქრისტე კვლავ გვებრძვის,
სიცოცხლე მაინც იქნება..

დილამშვიდობისა ღმერთო დაგვიფარე

დილამშვიდობისა უკვე გაგვითენდა,
გუშინ გუშინ იყო--ცუდი დავივიწყოთ,
დილამშვიდობისას ყველას გისურვებდით,
ფერადი ოცნებებით იქნებ გავიღვიძოთ,

დილამშვიდობისა ჩემო საქართველო,
ასე გადაღლილი არ გვინდა რომ გიხილოთ,
დილამშვიდობისა ზღვა ემიგრანტნო,
ისევ გაუძელით --არა არ იტიროთ,
სასწაულიც ხდება--სახლებში დავბუნდებით,
უფალი ჩვენთანაა ცოტაც მოვითმინოთ.

მთავრობას ჩვენ ხომ ვირჩევთ, უვარესის არ ვაჩერებთ,
ყველაზე საშინელი ესეც მოვიცილოთ,
ვიცი კითხვა გაჩნდა არც ისე იოლიაო,
ერთად თუ დავდგებით--რამე მოვიფიქროთ,
დილამშვიდობისა ჩემო საქართველო,
ფხიზლად ქართველები არ უნდა მოიცილოთ,
როს ცოდვები დუღს თავი დაიმდაბლეთ,
იქნებ აჯობებდა--ღმერთის მოისმინოთ,
შენ ხომ მოწყალე ხარ--ღმერთო შეგვინყალე,
ჩვენ თუ არ გისმენდით, ისევ შენ მოგვისმინო...

შოვის ტკივილი ის ტკივილია, რომელიც ჭრილობად დაგვრჩება მუდამ...

როგორ გიშველო შენ საქართველოვ,
გული მოგიკლეს ვერ დაგაჩოქეს,
ბუნებაც რისხვას გვიგზავნის ვატყობ,
შოვში ცრემლების ზღვა დაგვიტოვეს,
თუმც შენი დროშა მაინც ფრიალებს,
მხოლოდ ტკივილი ვერ დაგვიოკეს
გადაგვიარა ცივმა გრიგალმა,
ცოცხლად გვმარხავენ რას გვიპირებენ.

წყეულ მეწყერმა რა ჩაიფიქრა,
აქ ეშმაკები გაიცინებენ,

მთებო რას ჩადი გთხოვ გამოფხიზლდე,
შენს გულში ქართველნი ჩაიძინებენ,
აქაც ანტიქრისტე ჩასაფრებულა,
ღმერთო შენს შვილებს სად აშვილებენ,
მთებო და კლდენო დღესაც არ ვიცით,
რამდენ ოჯახებს აგვიტირებენ.

რაჭა ხომ ჩვენი სიყვარულია,
დღეს სიძულვილზეც გაიფიქრებენ,
ასეთი არის ბუნების რისხვა,
ზოგჯერ წყეულად დაგვიკივლებენ,
ეს გუშინ შოვის მთებს უღიმოდნენ,
დღეს კი მის გულში დაიძინებენ,
ბედნიერების ბურუსში დარჩნენ,
დღეს ღმერთო სულებს დაიფიცებენ.

ანგელოზებმაც ველარ დაგიცვეს,
ისინიც მწარედ დაგიტირებენ,
შენ ანტიქრისტევ არც გაიფიქრო,
წმინდანები ხმას არ გაიღებენ,
აქ განწირული ანგელოზები,
ღმერთთან მივლიან და გიჩივლებენ,
ნეტა თუ დარჩა ვინმე ქართველი,
ამ დიდ ტკივილზედ არ იტირებენ?
ღმერთო შენ იცი რა უნდა მოხდეს,
ქართველებს ნეტა რას გვიპირებენ

ფეხით თუ გასრეს იმ ლაშაზ ყვავილს...

ერთ დღესაც იქნებ გათენდეს დილა,
და ლამაზ ყვავილს ხელი შეახო,
ყვავილს ზიანი არ მიაყენო,
და უფრო მეტიც--ძირს არ დააგდო,
დაგდებულ ყვავილს ფეხით ნუ გასრეს,
თავი უფალთან რომ არ წააგო,
ცვარიან ყვავილს როდესაც მოწყვეტ,
უნდა ეცალო რომ არ დააჭკნო,
მისი სურნელით თავად ხომ დატკბი,
ეცადე თავად სხვამ არ დაატკბოს.

ხელიდან-ხელში გადასულ ყვავილს,
დროთა მსვლელობა იცით? გაახმობს,
ერთ დროს ნორჩ ყვავილს ფეხით გასრესილს,
გაიკვირვებენ ძირს ვინ დააგდო,
შენ თუ ვერ უვლი ნულარ მიაგდებ,
უწყლოდ ყვავილი რომ არ დააჭკნო,
თუ კი მოწყვიტე არ გააცივო,
გულში ჩასმული უნდა გაათბო,
და თუ ჩაბნელდა ვერ დაგინახა,
შენი ვალია უნდა აანთო..

ემიგრაცის ცოტა სული დაუთბეთ...

ეს დიდი ტვირთი--ლოდი და სეტყვა,
ემიგრანტ ქალის მხრებს რომ ამძიმებს,
გთხოვ ჩამოხსენი ღმერთო ძლიერო,
მას ხომ ისედაც ბევრჯერ ატკინეს,
ემიგრანტ დედას ძალა ეცლება,
უცხო მიწაზე ფეხს რომ აბიჯებს,

ჩემი კალამი ჩემს წინ გაიქცა,
არ გამიბრაზდეთ რასაც დაგიწერთ.

ბევრ ემიგრანტის ცრემლიან წერილს,
ბევრი გაეცნო--დარდით ავივსეთ,
გაუცხოება იციან წლებმაო,
ფული ნაცნობი კარგად აიღეს,
ეს წლების შემდეგ ჩასულ ემიგრანტს,
ვაი--ვაგლახით კარი გაუღეს,
ეს ტკივილი კი ყველაფერს მარხავს,
ემიგრანტს ასე წესი აუგეს.

ემიგრანტ დედას თუ აუცხოვებთ,
ფულიც უცხოა ბანკში წაუღეთ,
შვილებს ვეტყოდი დედას ეფერეთ,
თქვენაც ეცადეთ გვერდით დაუდგეთ,
იქნებ ვერ ამბობს და სახლში უნდა,
წლები აკმარეთ და თქვენც გაუგეთ,
და ეს როგორო? იკითხავს ვიღაც,
გზად მონატრების ხიდი გაუდეთ.

ემიგრანტს მუდამ სახლი ეძახის,
შენ გაჭირვებავ გთხოვ გზა დაუთმე,
ოჯახს მოწყვეტილ ემიგრანტისთვის,
რა გევალებათ? თბილად დაუხვდეთ,
აზარტულ თამაშს მაგონებს ეს გზა,
ბანკის ვალები ფსონად დაუდეს,
და ემიგრანტი წლებს ითვლის დღესაც,
რაც უცხო ქვეყნის კარი გაუღეს,
ყველა ემიგრანტს გჩუქნით სიყვარულს,
ეცადეთ ერთმანეთს გული გაუთბეთ...

საქართველოში იპადებიან...

მგოსნები ქვეყნად ბევრი იზრდება,
 საქართველოს კი იბადებიან,
 საქართველოში მგოსანს ვინ დათვლის,
 მათ რიცხვს თანდათან ემატებიან,
 მათ ნამოღვანარს საზღვარი არ აქვს,
 მაგრამ არ ჩანან გვეკარგებიან,
 ნუთუ მწერლების მოღვაწეობას,
 ეკალბარდები ეფარებიან.

ისეთი ჯერ არ დაბადებულან,
 რომელნიც ვაჟას ედარებიან,
 სასწაულია ის დიდი ნიჭი,
 მთის ჭრილობას რომ ენამლებიან,
 პოეტი ტოვებს მის სულის ყივილს,
 თავად კი უფალს ებარებიან,
 მე იმ მგოსნების ვერ გამიგია,
 სიმართლე ვისაც ეჯავრებიან.

ფშაველი ლუკა რაზიკაშვილი,
 ბუნებას ძლიერ შეყვარებია,
 ბუნების მგოსანს სისხლში ჰქონია,
 ბუნება გულით ეტარებია,
 ვაჟას ნეტავი ვინ შეედრება,
 ის ფშავის მთებსაც ენატრებიან,
 ფშაველი ფესვის მარგალიტია,
 ფშავს იოლად ვერ ეკარებიან,
 თუმც დღეს ქართველი მარგალიტები,
 საქართველოს კვლავ ემატებიან.

დაგავიცყდა ვინ იყავი --სად ხარ

ბრძოლის წინა ხაზზე შენ ხარ,
თავი არ დახარო დაბლა,
მუდამ მზადყოფნაში იყავ,
ხომ არ იცი რა შეგხვდება გზა--გზა,
მთა-ბარს გადაივლი ფიქრით,
ნისლშიც მოგიხდება გავლა,
უკუნს მიეჩვევა თვალი,
ზოგჯერ ჩაგეძინა სადღაც.

ვიღაც ჩაგრძურჩულებს ყურში,
ალარ შეუშინდე ალმართს,
ღმერთმა დაგიხაზა ეს გზა,
დაღლილმა გაუყევი შარას,
ხვალის გათენება გიმძიმს,
მაინც გათენდება--რა ქნას,
ბოლოს ამას ხვდები მარტო,
დრო რომ წვალებაში გაგყავს.

სიცივს გაგრძნობინებს ბევრი,
თითქოს დარდობენ--არ დაცხას,
ხედავ შენს თავს ასე კარგავ,
გენატრება და ეძახი სად--ხარ?
უკან მოუხედავ სევდით,
ვერ გაუძლო--დაიკარგა არ ჩანს,
შენი თავი მოგენატრა უცებ,
დღეს ვინცა ხარ--ვინც იყავი არ გავს,
უაზრობას გაუსწორე თვალი,
შენი თავი დაღლილი, რომ დაგყავს...

ზოგი ტკივილიც და სიხარულიც, არის ისეთიც ზღვაზე მეტია...

ზღვა რომ ზღვა არის განა არ ვიცი?
მაგრამ მის ტალღებს ნუსხა ჰქონია,
ადამიანო რით ვერ წყნარდები,
ხმაურს სიმშვიდე ხომ არ სჯობია,
ზღვა რომ აღელდეს შიში შეგვიპყრობს,
მაგრამ სიმშვიდეც კი შეძლებია,
ადამიანი ვეღარ მშვიდდება,
ზოგჯერ ზედმეტიც მეტიმეტია.

ზღვის პირქუშ სახეს ყველა გაურბის,
გასაკვირია სხვა რამც სჩვევია,
მოგეჩვენება გაგიღიმაო,
არადა გულში დიდი შტორმია,
ეს პირქუშობა ჩემს თავს მაგონებს
და ზღვის ღიმილიც ჩემი მგონია,
აქ სიმშვიდეა--იქ მყინვარწვერზე,
ვეღარც მიხვდები-- ნახავ თოვლია.

და მეც ფიქრებში ზღვის ზედაპირზე,
დავფარფატებდი როგორც თოლია,
დღეს მის საოცრად მშვიდმა ტალღებმა,
მასთან მიმიხმო არც შემხებია,
სუფთა-კამკამა წყლის მოძრაობით,
თითქოს მანიშნეს ეს ვინ მწვევია,
ის კალაპოტში მშვიდად სუნთქავდა,
თავს მაჩვენებდა ვერ დამწევია,
მის სულში თბილად გადმომახედა,
ანგელოზები თავს მახვევია.

მეც დამავიწყა ყველა ტკივილი,
რაც კი ოდესმე რამე მწყენია,
ის იყო სუფთა--საოცრად-წყნარი,
ჯერ ზღვა ასეთი არ შემხვედრია,
მე მას დავარქვი სულის მკურნალი,
დარღი და ცრემლი აქ ზედმეტია,
მე და ზღვამ ბევრი რამ ვისაუბრეთ,
ამის დაფარვა მართლა ძნელია,
ზოგი ტკივილიც და სიხარულიც,
არის ისეთიც-- ზღვაზე მეტია...

ღმერთი მუდამ გვეხმარება, თუმც არაფერს არ ითხოვს

არ იფიქრო ცხოვრებაში,
ვინმეს რამე გამორჩე,
საკუთარი საიდუმლო,
ეცადე რომ არ მოყვე,
გულს გატკენენ დრო დადგება,
შენი თავი დამოძღვრე,
ტკბილ სიტყვებს ნუ მიენდობი,
ზოგის მწარე გაწყობდეს.

ტკბილ ნექტარში შხამს მალავენ,
ასეც ხდება --გახსოვდეს,
ზოგნი ანგელოზებს გვანან,
არ იფიქრო--გალობდეს,
სხვისი ხათრით ნაწყალობებს,
მალე ნახავ--რა მოყვეს,
ყალბი ნასიკეთარი კი,
რალად გინდა გახრჩობდეს.

უმადური რომ არა ხარ,
 ღმერთის ნებით გამოჩნდეს,
 საფასური გადიხადე,
 გიჯობს წელში გასწორდე,
 ეს ცხოვრება მარტომ ზიდე,
 შენით ცადე წამოდგე,
 რადგან გიჭირს დაუკვირდი,
 იქნებ სადმე ჩამოჯდე.

გამოწვდილ ხელს ნუ ენდობი,
 ხაფანგში რომ არ მოყვე,
 ამ ცხოვრებას რას გაუგებ,
 ეშმას გვერდით არ მოხვდე,
 ზოგჯერ სიბნელე გერჩიოს,
 სადაც არ სჯობს გამოჩნდე,
 ის სინათლე-- თვალს თუ მოგჭრის,
 შენი ხელით გამორთე,
 ყველაფერი მოგვარდება,
 მხოლოდ დარდით არ მოკვდე.
 შეცდომებზე თუ ვერ სწავლობ,
 ცხოვრებაა ხანმოკლე,
 ყველაფერი ვალი არის,
 გაისტუმრე-- დალოცე,
 ხვალ ვის უჭირს არვინ იცის,
 შტორმში ვინმე არ მოყვეს,
 ანკესს ხშირად ნუ ვენდობით,
 იქნებ თევზი არ მოყვეს,
 ღმერთო მტკიცა მომიშუშე,
 ეს ჭრილობა რომ მორჩეს...

როულია ცხოვრების პიპე...

მე ასე ვისურვე ცხოვრება,
ბილიკი ვარჩიე შარაგზას,
აქაც ლანდები დამდევდნენ,
არჩევნის უფლება არა მაქვს,
ჰაერში დავრჩი მგონია,
ფეხით ვერ ვწვდები ნიადაგს,
ცოტა თუ თვალი დახუჭე,
ეშმაკი კიბეს მიადგამს.

ადამიანებს შევცქერი,
როგორ ერთმანეთს მიაგავს,
პატარა ახირებებით,
სუყველას ატანთ ნიალვარს,
იმდენ ცოდვებში დავცურავთ,
საფლავში ვახრჩობთ წინაპარს,
ისე გავერთეთ ფიქრებში,
ჩვენაც არ ვიცით სად დავალთ.

მე ასეთი ვარ--მართალი,
მე სხვა სიმდიდრე არა მწამს,
ღმერთის ცოდვილ შვილს რა ძალმიძს,
მადლობას უხდი ყველა წამს,
ამ დროს დაჭრილ გულს ვიღაცა,
ნაიარებზე ფეხს ადგავს,
რომელ სიყვარულს გვთავაზობთ?
უფრო სიძულვის რომ აგავს?....

სამყაროს ღმერთი იცავს...

ზეცა მოიქუფრა ძლიერ,
 ღრუბლებს ძალა მისცა ამით,
 ვარსკვლავებს არ აცალა სუნთქვა,
 აღარ ამობრნებინდეთო --წადით,
 მთვარე ადრენალინს იღებს,
 უნდა გვიდარაჯოს ღამით,
 ანგელოზთა დასიც როგორ ფხიზლობს,
 თვალი არ მოუხუჭავთო წამით.
 სამყაროს გვიღუპავენ ცოდვით,
 ყველა ცოდვა ისევ პირში ჩაგვდის,
 იქნებ სიყვარული სჯობდეს,
 სიძულვილი ყველას ერთად დაგვლლის,
 ერთი ამოსუნთქვა მშვიდი,
 ღმერთო შენ კი იცი რად ლირს,
 ცეცხლი უკიდია ზეცას,
 დედამიწას ემუქრება დაწვით.

ანტიქრისტე არ ჩერდება ღმერთო,
 ყველგან მიდის იდუმალი რაშით,
 მიწისძვრა ან სეტყვა მოგვერევა,
 მზე ისე გვწვავს--თავის ქალას აგვხდის,
 დედამიწა ავად არის ღმერთო,
 უმკურნალე--გავილიეთ დარდით,
 ეს სამყარო შენ შექმენი ღმერთო,
 გვისაჩუქრე გარკვეული ვადით?
 ჩვენ რას ვშვრებით? გადაგვლეკა ცოდვამ,
 მოვა დრო და ღმერთი ყველას დაგვსჯის.

ცა და მიწა ღმერთს უჭირავს მხრებით,
 არ ვაკმარეთ ჩვენი ცოდვის ჩათვლით,

წმინდანების ცრემლი გვაწვიმს ხალხნო,
გვაფრთხილებენ ასე ღმერთსაც დავლლით,
წმინდანობას განა ღმერთი გთხოვდათ?
ნუ გაძლებით ერთმანეთის ჭამით,
ზეცა ჩუმად შეუთანხმდა ღრუბლებს,
წვიმის თქეში ყველა ტკივილს წაშლის,
იმედი ხომ მუდამ ბოლოს კვდება,
ღმერთი მის შვილს არ გასწირავს მაინც.

ხალხი რას იტყვის??? მუდამ გაისმის..

შენ მოგავლინა ღმერთმა ამქვეყნად,
სული ჩაგიდგა--სიცოცხლეს გაძლევს,
საინტერესო მართლა ის არის,
თუ რად განიცდი მუდამ სხვის აზრებს,
რას იტყვის ხალხი? ამის პასუხად,
ბევრი მათგანი ცხოვრებას ანგრევს,
რას იტყვის ხალხი? რატომ განიცდით,
პასუხებს ალბათ ვერავინ გასცემს.

რას იტყვის ხალხი? აზრი არა აქვს,
ხალხს თუ მოუნდა ეშმაკად გაქცევს,
რას იტყვის ხალხი? ვის რას უმტკიცებ,
მთავარი არის მართალი დარჩე,
და თუ ვერ ხვდები შენ თავად რა გსურს,
მაშ შენს ცხოვრებას ვიღაცა ადგენს,
ბოლოს დარჩები ერთი რობოტი,
რომელსაც სხვისი ცოდვები აწევს.

და თუ გმართავენ და შენც მიყვები,
ბოლოს ვიღაცა აგინთებს სანთლებს,

და ხალხი მაინც იტყვის რაც უნდათ,
ხალხი? წმინდანსაც---ცოდვილად გაქცევს,
ღმერთზე იფიქრე--ღმერთი რას იტყვის,
თუ შეგნებული ცოდვები განევს,
სხვებს თუ უყურე შეგაფერხებენ,
ის სხვები არის ჩუმად რომ გატკენს.

შენ თუ არ იცი კარგი და ცუდი,
მაშ ეს ცხოვრება ტყუილად განდეს,
შენი ცხოვრება შენვე განკარგე,
სხვისი ფარები არ უნდა გახდეს,
თავი შენ თვითონ გადაირჩინე,
თუნდ შეგეშალოს არ უნდა წახდე,
ერთხელ მოხვედი დროს გაუფრთხილდი,
ქრისტე არა ხარ მეორედ აღსდგე....

შენ საქართველოს ძლიერო მთაწო...

ძლიერი მთები ისე გადმოგვყურებს,
თითქოს შიში აქვს--შველა ჭირდება,
ადამიანებს შენი არ ესმით,
არადა ეს შენ აღარ გიხდება,
შენ ხომ მთა გქვია ცამდე მაღალი,
ღმერთან ახლოს ხარ თხოვნა მიჩნდება,
ღმერთი ზეციდან ჩამოიყვანე,
ჩუმად უთხარი შველა გვჭირდება.

უთხარი ის რომ ადამიანებს,
ბოლმა დაახრჩობს--გული გიკვდება,
შენ ხომ ამქვეყნად სითბო გვაჩუქე,
არადა ახლა ყველა ცივდება,

ისეთი აზრი გამიჩნდა ახლა,
მთასაც ხალხისგან გაქცევა გინდება,
ადამიანნო რა დაგემართათ,
მართლა მგონია ღმერთი გინყრებათ.

გააფთრებული მდინარეები,
კედლებს ასკდება თითქოს გიუდება,
საქართველოში ნისლი ჩამოწვა,
ბუნებაც შეკრთა--ისიც შინდება,
ალმოსავლეთში წვიმის თქეშია,
დასავლეთი კი სიცხით იწვება,
როგორც ჩვენ გავხდით დაუნდობელნი,
ბუნებაც ხედავთ? ჩვენსავით იქცევა.

ერთმანეთს ხელი მაგრად ჩავჭიდოთ,
თორემ ცოდვებით მიწაც ირყევა,
დაუნდობელნი გახდა ქართველნი,
ბილნი სიტყვებით სული მძიმდება,
კითხვა დაისმის რას მივაღწიეთ?
რას და ხალხი რომ უფრო ცივდება,
თუ სითბო გაქრა ადამიანში,
მაშ ჩვენი ხორცი აღარ იჭმება.

ადამიანნო არ დაიღალეთ?
თქვენი ცოდვებით ღმერთიც იღლება,
საქართველოში მეტი რა ხდება?
მეორედ მოსვლა უკვე იწყება,
ღმერთო შეუნდე ჩვენს ცოდვილ შვილებს,
ჩვენს საქართველოს შველა სჭირდება,
რაც უფრო მეტად ჩუმად ვიქნებით,
წყალი შეგვიდგა--ფესვი გვილპება.

ეს ქართველს მართლა არ გვეკადრება,
ასე სიჩუმე ჩვენ არ გვიხდება,
ერთ დღესაც ვიღაც ხმას ამოილებს,
სათქმელი ბოლოს მაინც ითქმება,
ერთმანეთისთვის გადაბრალებას,
რად მივეჩვიეთ გული მიკვდება,
საქართველო ხომ ქართველის არის,
სიყვარული და დაცვა სჭირდება.

კანონდებლება ნარკომანის უთხრა: გაქვს უფლება იყო უპედური...

სანამ გადადგავ უეცარ ნაბიჯს,
კარგად გათვალე თუ ეს რას ნიშნავს,
სანამ ნარკომანს დაგიძახებენ,
მის გზას გახედე მსხვერპლი სად მიყავს,
ნარკომანს იცი რა შეუძლია?
მის კაცობაზე უარი გითხრას,
მისთვის ლირსება თოვლის გუნდაა,
ხელში ადნება თავს თუ კი წირავს.

ირგვლივ სასტიკი სიცივე სუფევს,
თავისი ხელით თავზედ რქებს იდგავს,
მას რომ გონია კაი ბიჭია,
საზღვრებს გადასულს ვერავინ იტანს,
და ასეთები ერთმანეთს კლავენ,
ერთი მეორეს ტყავს უცებ იცვავს,
გვიან იქნება ვერვინ უშველის,
როცა საშველად თავში ხელს ირტყავს,
ღმერთის გზას უხვევ? ღმერთი დიდია,
ეშმაკად ქცეულს ღმერთი არ იცავს.

ნარკომანს როცა დაგიძახებენ,
ეშმაკი ამ დროს გულზე ხელს ირტყავს,
და საბოლოოდ ოჯახის გარდა,
დაუფიქრებლად ყველა ხელს იპანს,
ჩვენი მთავრობის ჩინოვნიკები,
დროს ატარებენ მეტს რაღას იზავს,
კანონმდებლები წერენ კანონებს,
ნარკომანს იცით? სიკვდილით იცავს,
და მე ამ თემას როცა ვეხები,
ყოველი სიტყვა სულს მწარედ მიწვავს..

საქართველო ხომ ქართველის არის

მინდა ისეთი სამშობლო მქონდეს,
დედები შვილებს ალარ ტოვებდეს,
საქართველოში იყოს სიმშვიდე,
ყველა სამველად ჩვენთან მორბოდეს,
მინდა ოჯახში ჭერი ხარობდეს,
ვინმე თავის თავს მსხვერპლად არ დობდეს,
დალლილ ქართველებს მონატრებისგან, თვალები
ცრემლით სავსე არ ჰქონდეს.

მინდა ისეთი სამშობლო მქონდეს,
მწარე შიმშილით არავინ მოკვდეს,
საქართველოში ბნელი ძალების,
მოშლა--ჩარეცხვა მალე რომ მოხდეს,
მართლა არ მინდა კაცს ქალის ნაცვლად,
ქალი კი არა კაცი უნდოდეს,
მე მართლა მინდა დალლილი ხალხი ,
ხვალინდელ დღეზე იმედით ბჭობდეს.

არცერთი ქალი თავის ოჯახებს,
 ფულის გულისთვის რომ აღარ მოწყდეს,
 ვიღაცას პურის ფული არ ჰქონდეს,
 ვიღაც კი ოქროს საბადოს ფლობდეს,
 ღმერთის ნაბოძებ საქართველოში,
 არ მინდა ჩვენსას ვინმე რომ თმობდეს,
 უცხო მიწაზე ღმერთო ძლიერო,
 ჩემი ქართველი არ მინდა მოკვდეს,
 შავ ფულით ნაყიდ მთავრობის ნასვლა,
 თქვენის ნებართვით სულ მალე მოხდეს

სოხუმის დავითება არ არის აღვილი, ართველის გულშია მისი აღგილი

დღეს გულმა მისი ვერ დაიტია,
 შეძლებთ? სოხუმი გადაივიწყოთ?
 სოხუმი მარტო დარჩა დაიცავით,
 თქვენს ხელშია აფხაზებო,
 სოხუმი საქართველოს ნაწილია,
 მგონი მართლა დაივიწყეთ ქართველებო?
 ლამაზ სოხუმს რომ ატკინეთ ღმერთს ეტკინა,
 ამისათვის პასუხს ველით მავნებლებო.

სოხუმში ქართველები უმოწყალოდ,
 ვინ გიბრძანათ ღმერთო ჩემო დაჩეხეთო,
 სისხლის გუბე ჩაუყენეთ დღემდე წვეთავს,
 ვიღაც ყვირის-- ნახეთ მაინც გაბედესო,
 მწარედ კვნესის აფხაზეთი დაჭრილია,
 ჩვენს მიწასო ნუ დატოვებთ ქართველებო,
 უმკურნალეთ აფხაზეთი დაიღალა,
 უექიმოდ ვერ მორჩება მნახველებო.

აფხაზეთს კარგავთ? რად არ ფიქრობთ რა დაკარგეთ,
სასიკეთო მოიფიქრეთ მმართველებო,
ღმერთი ყველას პასუხს მოთხოვს გათენდება,
დრო მოვა და არ შეგრჩებათ მძარცველებო,
ქართველების სისხლის კვალი არ გამქრალა,
ამის ავტორს რად ივიწყებთ ქართველებო,
საქართველო სოხუმშია ველარ სუნთქავს,
იქ ფესვები ისევ შიშობს მატკენენო,
უჯიშოთა სათარეშოდ დარჩენილო,
ქრისტეს მოსასვენებელო საყვარელო საქართველო..

გამოიცანი? თავს ეუ განირავ...

ეშმაკსაც თავის გეგმაა აქვს თურმე,
ყოველი მსხვერპლი აქვს მას გათვლილი,
ეშმაკი სახეს ალარ გიჩვენებს,
მოფერებაში იგრძნობ დაიხრჩვი,
როდესაც მარცხის გემოს გაიგებ,
მაშინ მიხვდები თურმე დაიწვი,
და თუ ეშმაკთან ბრძოლას აპირებ,
ცოტა იჩქარე-- ის არ დაგიცდის.

იცი ეშმაკი მუდამ თამაშობს,
საქმით გიმტკიცებს მახე დაგიდგი,
კუდს გამოაჩენს არც შეშინდება,
მან კარგად იცის მისთვის რად ღირდი,
და თუ ეშმაკი გამოიცანი,
შენს თავს მოკითხე, რატომ ატირდი,
და ამის შემდეგ ისევ მიენდე?
როგორ და რისთვის? ალბათ გაგიუდი.

დაჭრილი გველი რად მოარჩინე,
ის მაინც გიკბენს--ასე აქვს გათვლილი,
ის ცივი იყო მუდამ და მარად,
დღეს არ მოკითხო რატომ გაცივდი,
ეშმაკს არასდროს არ შეეკითხო,
რა დაგიშავე- სულს რომ მაცლიდი,?
პასუხი რაა? ხომ გამომცადე,
რად არ იფიქრე-- რომ კვლავ გაგყიდდი.

თუმც ის წარსულში ანგელოზი იყო,
კვლავ ანგელოზად ველარ გახდიდი,
ეშმაკთან ბრძოლა არას გარგია,
იმდენჯერ გატკენს ველარც დათვლიდი,
შენ სუფთა გულის ადამიანი,
შენს გულწრფელობას ველარ ახსნიდი,
ადამიანო ეს ღმერთს მიანდე,
შენ ღმერთი არ ხარ,--შენ ვერ დასჯიდი...

ადამიანი რას აღარ შეძლებს..

მე თუ მომინდა და გადავწყვიტე,
ზაფხულის თვეში ვიქცევი თოვლად,
ამ თოვლში, იცი? გაგიკვირდება,
მაინც ვიქცევი ვარდების კონად,
მაგრამ ვაი რომ ველარ შემიცნობ,
თავს დაგატყდები მეორედ მოსვლად,
და თუ მოგინდეს ხელი შემახო,
მოგეჩვენები ძალიან ცივად,
არ დაივიწყო მორიელი ვარ,
არ მოგატყუოს ნათქვამმა რბილად.

მე თუ მატკინეს და დავიძირე,
შენც დაგაჩნდება მე მოვალ სეტყვად,
მე თუ ცრემლები უნდა მცვიოდეს,
შენც არ მოგაკლებ მე მოვალ წვიმად,
არ გაგიკვირდეს ეს გულცივობა,
შენი ბრალია რომ ვარ გულგრილად,
ეს არასოდეს არც გაიფიქრო,
რომ მე ვიცხოვრებ შენსავით მწირად,
და თუ შენს გამო გზა ამერია,
ეს დაგიჯდება ძალიან ძვირად..

დილას პოზიტივით გახვდი...

ისევ შევეგებე სისხამს,
უკვე აღარ არის გუშინ
ღამე ამიჭრელდა თვალწინ,
სხივი შემოიჭრა გულში,
სარკმელს შოლტი დაჰკურა მზემ და,
ნაღველს აქ დარჩენა უჭირს,
და ეს ყველაფერი გიჩენს,
ფეხზედ წამოდგომის სურვილს.

ზოგის ცხოვრებას ცვლის დილა,
და ეს დილა ზოგს რის ფასად ულირს,
დილა საწყისია ყოვლის,
თავად იყავ გადამრჩენი გულის,
ყავის მორევს ვერსად გაექცევი,
ყავა ადრენალინს უდრის,
ლიმილი შეაგებე დილას,
მეტნაკლებად ახლა ყველას უჭირს.

ნახე? ისევ მყარად დგეხარ,
 ზეცა ისევ არის ლურჯი,
 ისევ ახალ იმედს კერავ,
 ისევ აგიტოკდა გული,
 მაინც სიმართლე სჯობს ტყუილს,
 დღეს ყველაფერი გახდა ძალზედ რთული,
 თუნდაც ერთი დილის გამო,
 მუდამ ღმერთს მადლობას უხდი...

უბრალოება დიდი განძია...

ცხოვრება მართლაც დიდი სცენაა,
 ღმერთი სცენაზე ვის აღარ უხმობს,
 ზოგჯერ სასტიკი არის მსაჯული,
 არ გამართლებენ უღმერთოდ ურჩობს,
 ამ სისასტიკეს ვინ როგორ ირგებს?
 ზოგი თამაშობს ზოგიც კი ქურდობს,
 ყველას თავისი პროფესია აქვს,
 ადამიანში, ბევრი რამ პუდობს,
 ზოგნი, ჩუმ-ჩუმად, მიწას გითხრიან,
 როცა გმარხავენ წარბიც არ უტოკთ,
 მავანნი მანამ გეტმასნებიან,
 სანამ ჭირდები, --ვიდრე დროს უთმობ.

და ასეთები გახდნენ საკმაოდ,
 ადამიანნო რას ემსგავსებით,
 შენიღბულ ღიმილს ეშმაკი მართავს,
 ეშმაკს კი იცით არ ედარდებით,
 ვაი, რომ თვალებს მეტი სხივი აქვს,
 ამ სხივს ვერა და ვერ ემალები,
 ამ სისასტიკეს საზღვარი არ აქვს,
 ღმერთს ვერვინ ვერსად დავემალებით,

უბრალოება დიდი განძია,
უბრალო ყველას შეუყვარდებით.

რწმენა და პრამლა შენი ვალია...

ბრმას შეეკითხეს, ღმერთი რად გწამსო?
ის ხომ არასდროს არ დაგინახავს?
ბრმამ ზეცას მზერა მიაპყრო წამით,
თავი დახარა და გაინაბა,
თუმც ბრმა ვარ, თუმცა მისდამი რწმენა,
იცით? არასდროს არ დამიკარგავს,
ამქვეყნად რწმენა იცით რას ნიშნავს?
მუდამ დაგყვება სულ დაგიფარავს,
და თუ არა გწამს--მაშინ ჩათვალე,
შენვე შენი გზა გადაგიბარავს.

თუ კი სიკეთის გზებს მიუყვები,
ღმერთი სიკეთეს არ დაგიკარგავს,
მთავარი არის გწამდეს ბოლომდე,
ცაზე წყალობას გადაგიხატავს,
ბრმა გვეუბნება ნუ შეშინდებით,
თუ ვერ ერკვევი--ის განგიმარტავს,
იყავ ღვთიური და თავმდაბალი,
ღმერთი კარს აღარ გადაგირაზავს,
ბრმა იცით? რწმენით ათენებს დილას,
ფიქრობს ერთ დღესაც-- რომ დაინახავს.

განვლილ გზას შეი სახე აშუქებს..

სახეს გადაკრა ნაოჭის სალტომ,
 წლები მის სულში ემალებოდა
 ვერ დაიტია სულმა აფეთქდა,
 კანის შიგნიდან ეფარუბოდა,
 დღეს გაიკვალა გზა, წინ მიიწევს,
 გული დიდ ქვაბში ეხარშებოდა,
 და ყველა ნაოჭს მისი სიღრმე აქვს,
 როდის რა დოზით ეტანჯებოდა.

ნატანჯ ნაოჭებს მისი შარმი აქვს,
 ვიღაც ამაოდ ეხარჯებოდა,
 ყველა ნაოჭი თავის გზას ხატავს,
 იმ გზაზე სახე ეკანრებოდა,
 გადაუარა წელთა სიმძიმემ,
 მავანთაგან არ ეკადრებოდა,
 და ამ ნაოჭებს ბოლმა ახრჩობდა,
 ავტორი როცა ესალმებოდა,
 რატომ გგონიათ ეს სიბერეა,
 რომ ნაოჭს სიბერე ევალებოდა.

ყველა ნაოჭი სულის სარკეა,
 პასუხის გაცემა ეზარებოდა,
 მარილიან ცრემლს სხვა რა შეეძლო,
 ამ პროცესს უხმოდ ეხმარებოდა,
 თუმც უპასუხო იმ ეკალბარდებს,
 მსხვერპლი არასდროს ედარდებოდა,
 ყველა ნაოჭს აქვს მისი სახელი,
 სახეზე როცა იბადებოდა,
 ეს სიბერე თუ ახალგაზრდობა,
 მაინც ყველა ღმერთს ებარებოდა.

სათამაში დარჩა? თუმც ძალაც არ აქვს.

ქართველის ფიქრებს ვინ გამოიცნობს?
დღეს ერთი გვაწყობს--ხვალ სულ სხვას ვხედავთ,
დღეს თუ ვარდისფერს ვეფერებოდით,
ხვალ აღარ მოგვწონს და მუქად ვღებავთ,
დრო და დრო როგორ გეგმებს ვაწყობდით,
ახლა ოცნებებს ჰაერში ვჭედავთ,
ეს ყველაფერი ვინ დაგვიმსხვრია,?
ამას მე მგონი სუყველა ვხედავთ.

დრო როცა მოვა ჰასუხს მოგვთხოვენ,
მაღლა ზეცაში დიდ მამა-ლმერთან,
ერთი უმწეო ქართველი ქალი,
დღეს ამ ყველაფერს ხმამაღლა ვბედავ,
თუ კი კოჯოხეთს უნდა გვაცხოვროთ,
ჩემი მთავრობა არ უნდა გერქვათ,
სიტყვა მთავრობა ზიზლის ფერია,
მყრალი სუნი დგას როდესაც გხედავთ.

ყველა მთავრობის ცხენად ვიქეცით,
მოსვლის დღიდანვე თავისთვის გვხედნავთ,
დღეს უსამშობლო მთავრობა გვდევნის,
ჩვენც საქართველოვ შენსავით ვკვნესავთ,
მე უმთავრობო სამშობლოს ვირჩევ,
სადაც ჩემს კანონს მე თვითონ ვძერწავ,
დაგლეჯილ ფესვებს ძალა ეცლებათ,
ყველა იარას ქართველი კემსავს.

ეს ჩემი ლექსი ნიაღვრად მოდის,
ჩემს საქართველოს ცოდვილთგან რეცხავს,
რა იქნებოდა ჩემო სამშობლო,
რომ ემიგრანტი ქართველს არ ერქვას,

შენ ყოვლისშემძლევ ქმენ სასწაული,
შვილის ნატვრაში ნუ მოკლავ დედას,
და ასე გადის დროთა უამთასვლა,
ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს.

მეჩვენება თუ სულში ჩამესმის,
ტაძარში ზარები უჩვენოდ რეკავს,
ეშმაკი ამ დროს გასუსულია,
ის უძლურია ვერაფერს ხედავს,
და მე კვლავ ღმერთო იმედს ვიტოვებ,
არ მიატოვებ ქართველებს ბედშავს,
დღეს საქართველო რას დაემსგავსა ?
კაპიტნის გარეშე--გაყიდულ გემბანს.

დედა რომ დამარჯვა თავი გავიგიზო..

აბობოქრობეულ ზღვას შევაჩერებ,
ღმერთო ჩემთანა ხარ-არსად გავიქცევი,
ცას შევწვდები და მიწას დავეშვები,
ქვესკნელს გავხეთქავ და მეც იქ დაგიხვდები,
ვიცი გაბრაზდები სულსაც მომიწამლავ,
ალბათ ღმერთმა იცის რამდენჯერ გამიწყრები,
ენაჩავარდნილი და სახეშეშლილი,
ვინ იცის ღმერთო რამდენჯერ დავმიწდები.

გულს თუ ამომწვავენ,
ფერფლად ჩავიწვები,
ბნელში გზას გავიკვლევ,
აღარ დავიბნევი,
აღარ დაგანახებთ,
ცრემლში დავიხრჩვები,

გიუად არ ჩამთვალონ,
უღვინოდ დავითვრები.

შვილის გულისათვის ჯვარზედ გავიკრები,
ღმერთო მომიტევე უშენოდ რა ვიქწები,
ახლა რა მოხდება ღმერთო გავგიუდები,
ღმერთო შემამცივნა მგონი გავიწყდები,
სევდა გამიბრაზდა მითხრა არ გიხდები,
თუ არ გააწვიმებ--თავად გავწვიმდები.
ზღვასავით ავღელდები ტალღებად გადვიქცევი,
დედა როცა გქვია ვერსად გაიქცევი.

მარიხუანა ძეგლად დაგიღგათ?

მე იქნებ ვცდები ჭკუა არ მიჭრის,
თანამედროვედ თუ არ ვარგივარ,
საქართველოში ამ სნეულებით,
ნეტავ რომელი ზღვარზე გადიხართ?
ხმა აიმაღლეთ უფსკრულს ვეშვებით,
ნარკომანები ცაში დაფრინავთ,
წინათ ვაჟკაცებს სიტყვა ეთქმოდათ,
ახლა რა ხდება--რა დრო დაგიდგათ.

ძალაგამოცლილთ ტვინიც მოგეშვათ,
პაერში ფრინავთ--ვეღარც დადიხართ,
მარიხუანას მომხმარებლებო,
თქვენი ოჯახის დიდი შარი ხართ,
თუმცა პასუხი ყველას ერთი გაქვთ,
ეს ბალახია ნეტავ რას გიზავთ,
და ამ ყოფაში უძრავ ნივთს გავხართ,
ცოცხლებს ემატებით--მკვდრებს კი აკლიხართ.

და ამ ყოფაში სატანა მღერის,
ამ თამაშიდან ველარ გადიხართ,
ერთ დღესაც შენს თავს გაესაუბრე,
შენს თავსაც უკვე აღარ არგიხართ,
ეს საქართველო ბინდმა მოიცვა,
კატასტროფაა-- მაინც სად მიხვალთ,
ბოლოს ვინ რჩებით? არც--არაფერი,
მარიხუანა ძეგლად დაგიდგათ????

ადამიანი თუ ხარ გეპრძიან...

ადამიანო ცოდვილი ხარო და,
ბასრი ლახვარს გულში გესვრიან,
ადამიანო შენც მოკვდავი ხარო,
თუმც სიცოცხლეში რას არ გეტყვიან,
ადამიანო შენ ღმერთი არ ხარო,
რა უყოთ თუ კი ხშირად გდევნიან,
ადამიანი რომ ვარ არ მინდა,
ადამიანებს მუდამ ებრძვიან.

და რადგან გაჩნდი ადამიანად,
ეს იძულებულს ხშირად გაგხდიან,
თუ კი შეგნიშნეს თანმდაბალი ხარ,
არ დაგინდობენ-- სულსაც აგხდიან,
ჯერ აგაფრენენ მაღლა ზეცაში ,
შემდეგ უჩუმრად მაგ ფრთებს გაცლიან,
მიწაზე ისე დაგანარცხებენ,
აზრზე მოსვლასაც აღარ გაცლიან.

შემდეგ გრძელდება ათასი ხრიკი,
გაგყიდიან და ეშმაკში გაგცვლიან,

ასეთი არის ადამიანი,
სიყვარულისთვის მნარედ დაგსჯიან,
მზერას გსტყორცნიან ისეთ სუსხიანს,
ადამიანად თითქოს არ გთვლიან,
მის ნაცოდვილარს შენ შეგახოცენ,
და ცოდვიალინს თავად გაგხდიან.

მაღლა არწივად თუ კი შეგნიშნეს,
ყვავებს არ მოსწონთ ტყვიას გესვრიან,
ლაქიად თუ არ გადაიქეცი,
მაშინ მოგთხოვენ--მაშინ გეტყვიან,
ვერ გერევიან? ველარ გძირავენ?
არ შეიმჩნევენ--ჩიხში შედიან,
დამარცხებასაც არ იკადრებენ,
თითქოს მოპეზრდი და სადღაც გტენიან,
ბოლოს და ბოლოს თუ ვერ გაჯობეს,
ხმებს დაიწმენდენ სხვა ხმაზე მღერიან.

სინათლედ ნუდარ მოგეჩვენებათ,
ეს ეს ცხოვრება ძალზედ ბნელია,
ადამიანმა იცხოვრე სუფთად,
ადამიანთა ცნობა ძნელია,
და სხვებზე მეტად ადამიანი,
თავისი თავის დიდი მტერია,
და მეც მათ შორის არა მაქვს ფრთები,
აქ უცოდველი ჩემი ლექსია...

**ადამიანი ღმართი არ არის,
ის ცოდვილია პასუს მიიღებს...**

არ გააღმერთო ადამიანი,
სასწაულმომქმედი ვარო ასე იფიქრებს,
არ გააღმერთო არავინ თორემ,
ზეციური ვარო--ასე იყვირებს,
ის რეალობას თვალს დაუხუჭავს,
მიწიერობას--უცებ ივიწყებს,
ადამიანი არ გააღმერთო,
დღეს ვერ მიხვდები-- ვინ რას გიპირებს,
შენს ნინ ნურავის ნუ დააყენებ,
დადგება დრო და ღმერთთან გიჩივლებს.

ადამიანი--იცი ვინ არის?
რომ გაგამხნევებს შენს ტვირთს იტვირთებს,
არ გააღმერთო ადამიანი,
შტერად ჩაგთვლის და -შენზედ იცინებს,
ვისაც აღმერთებ ის დაგაჩირებს,
შენ არავინ ხარ-- ასე იფიქრებს,
დღეს უცოდველი არავინ არის,
ცოდვების კანონს ღმერთი მიიღებს.

დღეს ღმერთს შევთხოვოთ ეს ქარი ჩადგეს,
მჯერა ზეციდან მადლი იწვიმებს,
არ გააღმერთო ადამიანი,
შენ ვერ შეხედავ--ღმერთი იტირებს,
ამ გეგმებს ჩუმად სატანა ადგენს,
ყველა ცოდვისკენ ხელს ის გვიბიძგებს,
ერთ დღეს ეშმაკიც დასნეულდება,
ღმერთო მიშველეო-- ასე იყვირებს...

ნინასნარ ყოველი გადაამოწევა...

რამდენ საფეხურს ფეხს დააბიჯებ,
იმდენჯერ კარგად გადაამოწმე,
ყველა საფეხურს მაღლა აყავხარ,
ძირს დაეშვები, თუ დააშორებ,
ერთი თუ ჩატყდა აღარ შეჩერდე,
გზა გააგრძელე ნუ დააყოვნებ,
მაინც რისკია მთელი ცხოვრება,
სირთულე, შენით გადააგორე.

მეორედ მოსვლას ნუ ელოდები,
შენი სიცოცხლე შენ გააორე,
ბზარი თუ გაჩნდა წერტილი დასვი,
თორემ ცხოვრებას გადააყოლებ,
და თუ არ გინდა წელში გადატყდე,
ყველა ნაბიჯი გადაამოწმე,
ცოცხალი მკვდარს ნუ დაემსგავსები,
გულს თუ გიყლავენ-- შენ გააცოცხლე...

ცრემლი დამალე--დაგიმატება!

ცრემლიან თვალებს ნურვის ანახებ,
ჩუმად ჩაყლაპე--თუნდაც დაიხრჩი,
ცრემლიან თვალებს ნუ შეაფეთებ,
იმდენს გადენენ--ვეღარ დაითვლი,
როცა გზა--და--გზა ტვირთს გიმატებენ,
თავაწეული ვეღარ გაივლი,
გეუბნებიან ნუღარ განიცდი,
კარგი იქნება-- გვერდს თუ აუვლი.

ვერ გამოტოვებ ყველა შენია,
 რამდენი თითიც გაქვს იმდენს დაითვლი,
 შენს სულში ფათურს სხვას ნუ მიაჩვევ,
 შემოგეჩვევა--თავს ვერ დაიხსნი,
 ცეცხლმოდებული სადამდე ივლი,
 დროზე ჩააქვრე--თორემ დაიწვი,
 შენს თავსაც ზოგჯერ კამათს დაუწყებ,
 თუ არ მიშველე-- მე ვერ დაგიხსნი.

ღმერთი ყოველთვის ძალას ხომ გაძლევს,
 ნუ გეშინია ხელ--ფეხს გაგიხსნი,
 ადამიანი სულ სხვა ვინმეა,
 ბოლომდე სათქმელს მაინც არ იტყვის,
 ის დანარჩენი შენ მოაგვარე,
 სამარეს შენით ნულარ გაითხრი,
 სხვას თუ არ ებრძვი--შენს თავს ებრძოლე,
 მტრად შენს თავს ძალით ნულარ გაიხდი.

ღმერთო რამდენი რამ დავინახე...

მე მიყვარს თოვლი თეთრი და სუფთა,
 მე მიყვარს წვიმა ცაზე რომ ქუხდა,
 მე მიყვარს ნიავი ქარი რომ სდუმდა,
 ყველაზე მეტად შენს გვერდით მსურდა,
 და მაინც უფრო---სიკედილის მშურდა,
 როცა დავკარგე ბრძოლის უნარი,
 მე ჩემი თავი--სასტიკად მძულდა.

როდესაც ყველა ლაპარაკობდა,
 ჩუმად ვიყავი--თუმც გული წუხდა,
 ისევ იგივე ხმაური ისმის,
 ისევ ლაყბობდნენ--არავინ დუმდა,

მე სხვის დუდუკზე არ დავიკვნესებ,
ჩემს თავზე ზეცა--ისედაც ქუხდა,
მე ჩემით ვწყვეტ და ჩემით ვაფასებ,
თუნდაც დავმარცხდე--სხვას რაღა უნდა.

მე საფასური გადავიხადე,
ცხოვრებამ ისევ მომთხოვა ხურდა,
მე ჩუმად ვიყავ-- ხმას არ ვიღებდი,
იარებს მტკენდნენ ვის როგორც სურდა,
ისე არა ქნა--- რომ საყვედური,
სხვას კი არადა--შენს თავს რომ უთხრა,
არადა ღმერთო ეს დავინახე,
უმრავლესობას ერთურთის შურდა,
და რომ მეგონა რომ აღმერთებდნენ,
კი არ უყვარდათ-- პირიქით სძულდათ...

სამთრედიავ ლექსით გარგავ, სადაც ვიყო--ვირ დაგკარგავ..

გემრიელ სიტყვებს შენთვის ვინახავ,
მსურს მოგეფერო შენი მიწის ვარ,
შენს მონატრებას გულით ვატარებ,
ალბათ არც იცი ხშირად ვტირივარ,
რომ არ გატკინო ნაზად გეხები,
მუდამ აქ მყევხარ--თუმც არ ვყვირივარ,
ფრთებჩამოყრილმა როცა დაგტოვე,
თავს შევეკითხე--საით მიღიხარ.

შორეულ კუნძულს გადამისროლონ,
მუდამ ჩემი ხარ--მუდამ მინდიხარ,
შენ იმერეთის დიდო ღვთაებავ,

სამაგალითო-თვალისჩინი ხარ,
მე სუნთქვას ვიწყებ როცა შენთან ვარ,
სუნთქვა მეკვრება როცა მივდივარ,
შენ ჩემო თბილო კოხტა ქალაქო,
დიახ ქალაქო--ჩემი ღმერთი ხარ.

მტრედების ქალაქს სიყვარულს ვჩუქნი,
შენ მეგობრობის დიდი ხიდი ხარ,
მაგ თბილ და ლამაზ, მიწას დავკოცნი,
მე ამ სიტყვებით ყოვლისმთქმელი ვარ,
ჩემო კალამო, ძალზედ კარგად წერ,
მის სადიდებლად, მაინც მწირი ხარ,
მე უსასრულო ნოსტალგიას ვგრძნობ,
სადაც არ ვიყო-გულში მიზიხარ.

წვიმა როდესაც მისველებს თვალებს,
ასე მგონია ეს შენ ტირიხარ,
გულში ფესვები მყარად გაიდგი,
არ გიღალატებ ერთადერთი ხარ,
და მეც ერთ ერთი შენით ამაყი,
სამტრედიელი ემიგრანტი ვარ,
ჩემი კალამი შენზედ მისით წერს,
ყველა ლექსებში ჩემი გმირი ხარ...

დილა მშვიდობისა ჩემო საქართველო...

დილა მშვიდობისა ჩემო საქართველო,
გული ხომ არ გტკივა ვინ რა გაწყენია,
დილა მშვიდობისა ჩემო ალმაფრენო,
შენი შემხედვარე ცრემლი დამდენია,
შენი ქრისტეს წილი მინით გამოზრდილებს,
რწმენა დაუკარგავთ ძარღვი გაწყვეტიათ,

დილა მშვიდობისა ჩემო საქართველო,
ეს რა მშვიდობაა მტრები გაგჩენია.

გარე მტერი მხოლოდ ნიშანია,
შიგა მტერი გარეთ-- ჩუმი ჩამშვებია,
მაგ შენს სილამაზეს ასე არ ჩვევია,
ეს რა მოგიხერხეს ეშხი გაგფრენია,
თითქოს საქართველო სპორტის შეჯიბრია,
ტაში რომ დაუკრათ ისლა დაგვრჩენია,
დაჭრილი ნახეს თითქოს საქართველო,
ნუღარ დალუპავთ იგი ჯამრთელია.

ნიღაბი მოიხსენით მოლალატე ქართველებო,
გამოდით დაგითვალით ღმერთოო რამდენია,
რომელ გზას დავადგეთ--ქართველნი ვიკარგებით,
ამდენ სიარულით გზებიც აგვრევია,
პასუხს ვინ გასცემს ქართველი კაცის ცრემლებს,
აქ უცხო მინაზე ვის რა დაგვრჩენია,
დილა მშვიდობისა ჩემო საქართველოვ,
ყველას შეცდომები, გულზედ გ ა წ ე რ ი ა..

როგორ შეიცვალა ირგვლივ ყოველი.

თუნდაც აისბერგი ყველა ერთად გადნეს,
წყალი მოვარდება--გშტქანთავს,
ადამიანო შენ ნუ გადამივლი,
იცი ამის უფლება რომ არ გაქვს?
ღმერთი ამქვეყნიურს თავის მფარველს ჩუქნის,
ანგელოზს კი-- ნაპირს გაყავს,
ეშმაკი გამოიცან ხელი თუ ჩაგკიდა,
ყველა მის ჭკუაზე დაყავს.

ყველა მოვლენები გარდაუვალია,
 შენ კი სადარდელი სხვა გაქვს,
 სანამ ფეხზე დგეხარ ნულარ იწუნუნებ,
 მაშინ ხეიბარმა რა ქნას,
 წინასწარ თვალებს ნულარ დაიბრმავებ,
 შენაც ღამურა ხომ არ ხარ,
 მიწის მტვერი ვართ და ვერსად გავექცევით,
 დრო მოვა და მიწა გვშთქანთავს.

ყველა მოვლენებმა თავი გაიგიჟა,
 მზეც თუ გაგვიბრაზდა--დაგვწვავს,
 ვიღაც უგუნური შენ გონიერებას,
 ღიად ექიმპება გჩაგრავს,
 ზღვის ცხოველებიც ნაპირს მოცურავენ,
 სასიკვდილო კლანჭებს გაგვკრავს,
 ზღვა და ოკეანე შიშმა გააგიჟა,
 რაღაც შავი ფერი დაკრავს,
 ღმერთო მოგვეშველე რომ არ ჩავიძიროთ,
 ძალა რომ ვიბრძოლოთ არ გვაქვს.

ვიღაც პაიკია--ვიღაც კი დედოფალი,
 ცხოვრება გვეთამაშება ჭადრაკს,
 ცხენი ღირსეულად უნდა ათამაშო,
 ცხოვრება გადაგიჭერს მათრასს,
 და მაინც ღმერთი მის შვილს არ გაწირავს,
 ყველანი ხელჩაკიდებული დაყავს,
 ისევ ველოდებით იქნებ ქარი ჩადგეს,
 არადა---დასასრული არ ჩანს,
 დედამიწაზე მაინც ქაოსია,
 ვიღაცა --ვიღაცას ჩაგრავს...

არადა ეს სიყვარული სიძულვილს აგავდა...

ცხოვრებას არადა შენს თავს მოკითხე,
სხვა გზა არჩიე და ჩემს ბედს გაგყარა,
შენ არ იცი და ვერც ვერასდროს მიხვდები,
ცხოვრებამ შენს შემდეგ რა გზებით მატარა,
იქნებდა შემეკითხო ისევ თუ მიყვარხარ,
პასუხი იკმარე---მიყვარდი არ კმარა?
ახლა კი ძვირფასო მე შენ ვერ გაგიგებ,
მაშინ ხომ ბავშვი ვიყავი პატარა.

ნელ--ნელა გავიზარდე ცხოვრების ოხშივარში,
რაც კარგი გამაჩნდა ხარშვაში დამშრალა,
ცოდვები ეშმაკთა დუღდა ჩემს ირგვლივ,
ამდენმა დუღილმა ვერც მიხვდი დამღალა,
პატარა ბავშვივით ვითომ ტებილს მთავაზობდნენ,
გავიზარდე და მივხვდი რომ გამწარდა,
სიყვარულისთვის რა არ ავიტანე,
მაგრამ არ შემარგეს-- მაინც წამწარდა,
არადა სადაც სიყვარული კვდება,
იქ სიძულვილი უთქმელად აყვავდა.

ალბათ სატანასაც გული დაწყდებოდა,
როცა საბოლოოდ შენსავით დამკარგა,
ცხოვრებას მარტომ რომ შევეჭიდე,
გზა და გზა გამიჭირდა და გამკაცრდა,
ეს ყველაფერი ბურუსმა მოიცვა,
ნისლში გავეხვია--ვერ ვხედავ დამთავრდა,
ახლა კი ძალზედ შორსა ვარ გავცივდი,
ალბათ ჰაერივით --მანძილმა დამცადა,
მუდამ საპირისპირო დინებას ვებრძოდი,
ცხოვრებამ იძულებული გამხადა...

**გეღმიერ დილას აქ ვეღარ იგრძნობ,
უცხო მინაზე მონაგონია...**

საოცრებაა დროთა სიმკაცრე,
ვერ გაექცევი--მოსახდენია,
დილას სტიმული შენ თავს მიეცი,
ეს დილის ვალი მოსახდელია,
ყოველი დილა რაღაცას ხატავს,
ზოგი მუქია--ზოგიც ჭრელია,
ყოველი დილა სინათლით მოდის,
მაგრამ ზოგისთვის მაინც ბნელია.

ყოველი დილა იძულებულს გხდის,
ირწმუნო ის რაც შენთვის ძნელია,
და ყოველ დილით მაინც გგონია,
რომ ეს სამყარო მარტო შენია,
;ყოველ ცისმარეს რაღაცას გეგმავ,
ანგელოზები ცაში მღერიან,
ნინასწარ მაინც ნურაფერს იტყვი,
ჯერ ხომ არ იცი --თუ სად გელიან.

და თურმე მართლაც--ყოველი დილა,
დღე და ღამეზე უფრო მეტია,
და ამ ყველაფრის განმკარგებელი,
ეს ყოვლისშემძლე დიდი ღმერთია,
ცხოვრება არის სხვადასხვაფერი,
ზოგისთვის დილა ძალზედ ძნელია,
ყოველი დილა რაღაცას ხატავს,
შენ აფერადე-შენი ჯერია.

დილამშვიდობისა ჩემო საქართველო,
უშენოდ ლექსიც სულ სხვა ფერია,

უცხო მიწაზე ყოველი დილა,
მავანმა ვიცით რა დამღლელია,
ემიგრანტების დილა სულ სხვაა,
უცხო მგზავრივით გზად გამვლელია,
დილამშვიდობისა ჩემო საქართველო,
შენზედ სიტყვები არ დამლევია,
ის ვისაც გული ძლიერად უცემს,
არ დაგავიწყდეთ--ის ქართველია...

საქართველო ორპირ ქარში,
ნახეთ როგორ გაცივდა...

ნიავს ქარი მოჰყვებოდა,
და თავისთვის ჩიოდა,
ქარიშხალი რომ მოვარდა,
ქარი მწარედ წიოდა,
მოთმინება დაკარგული,
ქარი ჩემებრ ტიროდა,
ქარის მესმის თუმც რამდენჯერ,
ცრემლები მეც მდიოდა.

საქართველოს ორპირ ქარში,
ტანთ გახადეს--ციოდა,
ასე მარტო რომ დავტოვეთ,
უჩვენობა ტკიოდა,
საქართველოს ველარ ამჩნევთ?
ცრემლი ჩვენებრ სდიოდა,
ფესვებს სუნთქვა არ აცადეს,
მას ჰაერი შიოდა.

როგორც იქნა დაუყვავეს,
ქარს ცრემლები დასცვივდა,

ქარიშხალმა მისი გული,
ნახეთ როგორ დაფლითა,
ქარიშხალმა კვალი დადო,
ცოდვა უფრო გადიდდა,
ქარი მაინც ქარი არის,
შენ ქარიშხალს--რა გინდა.

ჩვენ მოგივლით საქართველოვ,
მთავრობები არ გინდა,
ამ უანდარმებს ვერ გაშორებთ,
მათი ძალა გადიდდა,
ხალხი ნელა მოიშორეს,
სიყვარულიც გაცივდა,
ამდენ ტანჯვა--წამებაში,
ნახეთ რა--დრო გავიდა...

სულეპს თუ ვსტირით სათოლები დაუთოოთ...

სულები არ კვდება ზეცაში მიღიან,
ჩვენს მოთქმა--გოდებას ზეიმით ხვდებიან,
ყური დაუგდეთ რა ტკბილად მღერიან,
სულები იცოდეთ არასდროს კვდებიან.

სხეულს გაშორდა--წავიდა სული,
და თან წაიღო ეს ჩვენი გული,
სულებს მოესმით ტირილი ჩუმი,
ის ველარ ხვდება--ჩვენ რატომ ვწუხდით.

ჭირისუფალთან სული ტრიალებს,
ზოგს გული უწუხს, ხალხი გრიალებს,
ყველაფერს ხედავს--თანაც წრიალებს,
სხეულს პატივი როგორ მიაგეს.

უნდა ხმამაღლა რიხით იყვიროს,
შემხედეთ თავი არ გაიბრიყვოთ,
იმას ვერ ხვდებით ვინდა იტიროთ,
ო როგორ მინდა რომ გაიცინოთ.

მაგრამ ამაოდ--ვერავინ ხედავს,
ხმის ამოღებას სული ვერ ბედავს,
ასწიეს კუბო ვაი მის დედას,
დაამშვიდობეს საკუთარ კერას.

სასაფლაოზე დასვეს ცხედარი,
თავზე დაადგა სული მეღგარი,
ეს დააბრუნა ჩემთან ნეტავი,
ვერ დაინახეს სული ბედშავი
და დაუმარხეს მისი დედანი.

ორმოცი დღე და ორმოცი ღამე,
საწოლს აკითხავს სული მალ--მალე,
ხომ გაგიგიათ სულია მწარე,
მისი საწოლში სხეულის ნაცვლად,
შემოფრინდება დაწვება ღამე.

კმაყოფილი თუ უკმაყოფილო,
ის ჭირისუფალს ერთხანს შორდება,
მისი ამქვეყნად ყოფნა--არყოფნა,
ცოტა ხნის შემდეგ თითქოს ბონდება,
ჭირისუფალნო მინდა ირწმუნოთ,
რომ მისი სული აღარ მოკვდება,
თუ უბოროტო ჰქონდა წარსული,
ის სამოთხეში უმალ მოხვდება,
ფულიანი თუ უფული კაცი,
იმქვეყნაში ყველა სწორდება.

ღმერთის წყალობა ჩვენც გავატაროთ,
 საკურთხი ჩვენს მკვდარს არ დავამადლოთ,
 თუ ჭირისუფალს სურვილი არ აქვს,
 იმას არასდროს არ დააძალოთ,
 სანთლები მკვდრისთვის როცა იწვიან,
 საკურთხს არასდროს არ დაამატოთ,
 ნებისყოფამაც რომ გიღალატოთ,
 ცრემლი მაგიდას არ დაანახოთ.

რადგან აკეთებ უკეთესია,
 ამ მადლს მარილი რომ წააყარო,
 ვინც მიცვალებულს პატივი არ სცა,
 საკურთხს ისეთი არ გააკაროთ,
 იმქვეყნიური სიამოვნება,
 შენს მკვდარს არასდროს არ დაამადლო,
 სანამ ამქვეყნად დაიარები,
 ეცადე ტკბილად რომ გაატარო,
 სული ჯოჯოხეთს რომ არ დაგინვან,
 აქ ისეთი რამ არ დააშავო....

მონა ნუ გახდები დარდის...

ჩემი საქართველო დაიცალა,
 ყველა ქვეყნიდან გარბის,
 თქვენ ერთ დროს ქვეყნის ჩინოვნიკებო,
 მხრებზე ცოდვა გადევთ ხალხის,
 რატომლაც გვონიათ მამამთავარმა,
 სიცოცხლეც გიყიდათ ყვავის,
 ამდენი მინისტრები ნეტა რად გვინდოდით?
 სირცხვილო მინისტრები ხართ ჭამის.

საქართველოში სიბნელე გაამეფეს,
სინათლეს იმედი აქვს ხვალის,
ირგვლივ ჩამობნელდა ხალხი იმედს კარგავს,
ირგვლივ შიშის ზარი დადის,
აქ ხალხიც გაიყიდა და მერე რისი ფასად?
ჩემი ქვეყნის სინანული მაწვიმს,
შიშიც მეცოდება, მისთვის დაფარფატებს,
მე კი გულს ურჩხული მაზის.

ღმერთო ეს წყვდიადი მეფერება,
საშველად შიშით ხელებს მაწვდის,
სიბნელე სადლაც დაიმალა,
არ უნდა გამოჩენა სახის,
სინათლე განა არ ანათებს?
თუმც ჩვენთვის ბნელა მაინც,
შიში კი სადლაც გაიპარა,
დაინახავთ როგორ გარბის.

ეს შენ იცი--განა ყველამ იცის?
სტრესი ღამის შიშის რად ღირს,
ღმერთო ამ შიშში და იმედებში,
დრო რა სწრაფად გადის,
უნდა გააგრძელო ბრძოლა,
უბრძოლველად ცხოვრება უფრო დაგლლის,
მარტო ფიქრი და უმოქმედობა,
იცოდეთ თავის ქალას აგხდის.

ცხოვრებას თუ კი ჩაუთვლიმე,
ცხოვრების მონად გაგხდის,
და მერე რა მოხდება იცი?
მონას როცა უნდა დაგსჯის,
არ არ შეჩერდე იმოქმედე,

გულს დრო არ მისცე დარდის,
პესიმისტობა შორს მოისროლე,
იმედი არ დაკარგო ხვალის,
ერთ დღესაც ღმერთის ნებით გაწვიმდება,
წვიმა კი ყველა ტკივილს წაშლის...

ცეოვრება აზრზე მოსვლას გაცლილა?

არც გაიკვირვო--არც დაიჯერო,
თურმე ორივე მართლა რად ღირდა,
ერთგულება და ალიარება,
უბრალოდ მიეხვდი როგორ დამცირდა,
იცი ძნელია ამის შეგრძნება,
ამდენ ცოდვისგან მინა დამძიმდა,
ღმერთმა კი ამ დროს ვერ შეიკავა,
ზეცა გაიხსნა ლოცვა მაწვიმდა.

გულს ვერ უბრძანებ რომ არ იფეთქოს,
ამოხეთქა და ცრემლიც დამცვივდა,
ცხოვრება არის დაუნდობელი,
მგონი სუყველა ერთად გაგიჟდა,
იცი? ეშმაკსაც მოუხმობ ერთ დღეს,
ყვირილს დაუწყებ ჩემგან რა გინდა?
ამ დროს ეშმაკიც ალბათ ინანებს,
ერთ დროს ანგელოზს ნეტავ რა მსჯიდა.

წითელ ხაზს თუ კი ვინმე გადაკვეთს,
აუცილებლად ღმერთი დასჯიდა,
დღეს ლირებული ნეტავ რა არის?
თქვენ აირჩიეთ თავად რა გინდა,
და ერთ დღეს როცა გაგიმეტებენ,
გულზედ არა სთქვა--რატომ გაცივდა,

ეს ღმერთო ჩემო შენ შეგიყვარე,
ადამიანთან ეს კი გაძვირდა,
და თუ ტკივილის ქურქი მოგაცვეს,
ამქვეყნად მოსვლა ნეტავ რად ღირდა?

ღმერთის გარეშე რა ხდება?

ერთ დღეს მოვედით ამქვეყნად,
ერთ დღესაც წავალთ--რა მოხდა,
ეს ჩვენი წუთისოფელი,
თურმე რა რთული გამოდგა,
ყველაფერს ღმერთი ადგენდა,
თუ ვის რა ბედიც გამოყვა,
არ დააყოვნა სატანამ,
შავი გეგმებით გამოჩნდა.
ეს რა ჭირი გვჭირს ვერ ვხდები,
ამდენი ვირუსი სად გვქონდა,
გამომგონებლებს რა უთხრათ?
ამდენი ცოდნა სად გქონდათ?
ამ ყველაფერმა რა გვიყო,
ხალხის სიცოცხლე დამოკლდა,
წინათ ოჯახის ტელეფონს,
ბევრი ქართველი ნატრობდა.

თანდათან დუღილმა იმატა,
ხედავთ? რა ალარ გამოჩნდა,
დასაბამიდან ბოლომდე,
ეს ღმერთმა იცის რაც მოხდა,
ბევრს სითბო აკლდა-- ეძებდა,
მხოლოდ მზის სხივი ათბობდა,
სიცივეს მაშინ შეიგრძნობს,
მისთვის მზე რომ არ--ამოვა.

ხვალ რა იქნება ვინ იცის,
ამას ვერავინ ამბობდა,
ფიქრებიც გაუფერულდა,
გეგმას ვერავინ აწყობდა,
ეს უცნაური სიჩუმე,
ყოველგვარ საზღვრებს გაშორდა,
სიკვდილ--სიცოცხლის ფიქრებში,
გაქრა ხალისი--განწყობა.

იუმორმაც ძალა დაკარგა,
ყველა ნელ-ნელა დალონდა,
რამდენს ვალების ჭაობში,
დარდისგან სული აღმოხდა,
ის კარგი რაც არსებობდა,
ამდენ დუღილში ჩამოჭკნა,
ამ უსასრულო ბნელეთში,
აცნობიერებ რა მოხდა?

მსოფლიო ჩაძირულ გემს აგავს,
ყველანი ერთმანეთს დაშორდა,
გონება ბინდმა დაფარა,
ფიქრობ ცხოვრება დამოკლდა?
და ეს რაც ხდება მსოფლიოს,
ღმერთო ნეტავ ვის აწყობდა?
დღეს თვალს გვადევნებს სატანა,
ეშმაკიც იქვე ჩამოჯდა.

ზეცაც ძალიან გაცეცხლდა,
სად წვიმს და სად კიდევ ჩამოცხა,
ყოველ წამს რაღაც იცვლება,
ღმერთო გვითხარი რა მოხდა,
და მაინც იმედს არ ვკარგავთ,
იმედი მჯერა არ მოკვდა,

რადგან დღეს დედამიწაზე,
ლმერთი ვიგრძენი გამოჩნდა...

ჩემი ვარსკვლავა თვალი ჩამიკრა...

მზერა მივაპყარ ვარსკვლავთ ნათებას,
ჩემმა ვარსკვლავმა თვალი ჩამიკრა,
ზეციურ სხივით შემომანათა,
ჩემი რომ იყო--ასე მანიშნა,
მე და შენ ერთი ჰაერით ვსუნთქავთ,
მერე რა უყოთ თუ კი გაწვიმდა,
თუ ვერ შემნიშნო არ შეგეშინდეს,
ლრუბელი მოდის და წინ დამიდგა.

ჩემი ვარსკვლავი ალაპარაკდა,
და მეც უსმენდი--გული გამიხსნა,
იცით რა მითხრა? ჩემში ცოცხლობო,
მან მისებურად--ასე ამიხსნა,
როცა ვერ მხედავ შენც იღრუბლები,
ეს არაფერი--უბრალოდ აცივდა,
და თუ ზეციდან წვიმა გასველებს,
ეს მე ვიქნები ცრემლი დამცვივდა.

ჩემი ვარსკვლავი ზეცას ბინადრობს,
შენში ფესვები მყარად გაიდგა,
იყო ისეთიც გზა აგირიეს,
ეშმაკებიდან მინდა დაგიხსნა,
ვარსკვლავთა ცვენას თვალს ვადევნებდი,
ვარსკვლავი მოწყდა--ვიღაც წავიდა,
ცხოვრება მართლაც არაფერს კარგავს,
ერთი წავიდა? მეორე მოვიდა.

ჩემი ვარსკვლავი ისევ ანათებს,
 მე ამ ვარსკვლავმა--სული ჩამიდგა,
 ჩემო ვარსკვლავო ახლა თუ ჩაქრი,
 მაშ ეს ცხოვრება--ნეტავ რად ღირდა,
 ახლა ზეციურს თავს არ უხრიან,
 და ვარსკვლავებიც ძალზედ განრისხდა,
 ყველაფერს ნიღაბი მოარგეს ღმერთო,
 ლოცვა მოგვმადლე--რა დრო დაგვიდგა.
 და მაინც ჩვენი ნაცოდვილარით,
 მთლიან სამყაროს--ღმერთი გაგვიწყრა,
 მთავარი არის გადავამოწმოთ,
 ეხ--შუბლის ძარღვი ხომ არ გაგვიწყდა?
 როგორც მაჭარი ისე დუღს ხალხი,
 არადა ღმერთო ვეღარ დაღვინდა,
 მე ისევ ზეცას მივაპყარ თვალი,
 გულზედ მომეშვა--მადლი მაწვიმდა...

**სათქმელს თუ არ ვიტყვით,
 უთქმელში დავიხრჩვებით...**

უკვე მერამდენე ლექსი ავატირე,
 მალე კალამშიც მელანი დაშრება,
 სანამ საქართველოს ქართველნი არ დაიცავს,
 ქართველი პატრიოტები ვიცი არ დაცხრება,
 ქართველის ყიუინა გამარჯვებისათვის,
 თქვენ რომ წარმოიდგენთ--ასე არ მთავრდება,
 ქართველთა დამონება ვერვინ ვერ შეძლო,
 ქართველი კაცი ასე არ წახდება.

ვიცი მწარედ გტკივა ჩემო მთა და მდელო,
 ესეც გადაივლის მჯერა რომ გაქრება,

ასე ლამაზი და ასე ხელგაშლილი,
ჭირსაც ღირსეულად ვიცი რომ დახვდება,
ქრისტემ უკვდავყო შენი არსებობა,
ჩემი საქართველო მჯერა არ წახდება,
ახლა გუმბათებსაც თითქოს ცრემლი მოსდის,
ზარებიც მისით რეკენ ღმერთო ეს რა ხდება.
ზეცა ჩემი ქვეყნის მუდამ ცისფერია,
როცა წვიმა მოდის მაინც არ შავდება,
სანთლებს ღმერთი გვინთებს სასწაულებაა,
ციდან იღვენთება--არასდროს ჩაქრება,
ახლა რა იქნება? ყველა ჩუმადაა,
საცაა მსოფლიო ხელში ჩაგვაკვდება,
ესეც გადაივლის მაგრამ ეს ტკივილი,
ქართველებს მუდამ იარად დააჩნდება.

და მაინც რა იქნება დიდმა ღმერთმა იცის,
ბოლოს და ბოლოს ესეც დამთავრდება,
მსოფლიო რუკაზე ჩემი საქართველო,
მუდამ იამაყებს--არასდროს არ გაქრება,
იმედი საქართველოს თავზედ დატრიალებს,
უფალი არ დაუშვებს სიცოცხლე გადარჩება...

გააჩერეთ დედამითა, დავიღალე ჩავდივარ

მე ჩემი მაქვს თუნდაც ძეელი,
სხვისი სკამზე არ ვზივარ,
აზრი არ აქვს კარგი თუ ხარ,
ბოლმისათვის დარდი ვარ,
გულის გული მეფერება,
მშვიდად-- ნულარ გამყინავ,
ეშმაკთ ხროვამ გადამლეკეს,
მგონი ეშმაკს ვახლივარ.

და მე მაინც ერთი ვიღაც,
გადალლილი მგზავრი ვარ,
გააჩერეთ დედამიწა,
ახლა მართლა ჩავდივარ,
გააჩერეთ ჩემი გული,
მაინც მკვდარი დავდივარ,
ჯოჯოხეთში ხომ მაცხოვრეთ,
სამოთხისკენ გავრბივარ.

ამ ცხოვრებას შევეწირე,
მართლა გმირი ქალი ვარ,
სიყვარულის მსხვერპლიც გავხდი,
ქალად აღარ ვარგივარ,
ამდენ ტკივილს ვინ გაუძლებს,
მე ხომ რკინის ქალი ვარ,
ღმერთო შენ ხომ მიმანიშნე,
ვისთვის მართლა რად ვლირვარ.

ეს ცხოვრება თამაშია,
მე არ მინდა გავდივარ,
ჩავაბარე ეს გამოცდა,
ღმერთო არსად გავრბივარ,
მე ხომ ყველა ოცნებების,
ნამსხვრევებზედ დავდივარ,
მაგრამ მაინც დავაბიჯებ,
მიწაზედ არ ვაგდივარ.

მავანისთვის ჰაერი ვარ,
მავანისთვის ლანდი ვარ,
დედამიწას ვემეტები,
ზეცაში კი ვაკლივარ,
ღმერთო შენგან მოვლენილი,
გადალლილი ქალი ვარ,

გააჩერეთ დედამიწა,
დავიღალე ჩავდივარ...

რა იძნებოდა თეთავი ღმართო შენ რომ დროულად ყველაფერს წყვიტდე..

რა იქნებოდა ნეტავი მართლაც,
ყველაფერს ღმერთი თვითონ
რომ წყვეტდეს,
რა იქნებოდა ზამთრის თეთრ ქურქში,
მეც დედოფალი-ყინულის მერქვეს,
არ გამობრნებინდეს მზის ცხელი სხივი,
გრძნობებს მიღნობდეს და ჩუმად წვეთდეს,
არც გადარეულ ქარბორბალაში,
ჩემს ანგელოზებს ფრთებს არ აგლეჯდეს.

მაცდური მართალს თვალს არ უხვევდეს,
ბოროტებაზე ფიცს რომ არ დებდეს,
რა იქნებოდა რომ მეკუბოვე,
კუბოს მაგივრად სიცოცხლეს ჭედდეს,
რა იქნებოდა ეკლესიაში,
რომ ეშმაკები--ზარებს არ რეკდეს,
და მართლაც ღმერთო რა მოხდებოდა,
ჩემი კალამი ცრემლით არ წერდეს,
ამდენ მხეცებში საოცრებაა,
ადამიანი რომ მაინც გერქვეს.

და რადგან დარჩი ადამიანად,
რატომ გავჩნდიო არ უნდა გეთქვეს,
ყველაზე კარგი ეს იქნებოდა,
ღმერთი ყველაფერს მაშინვე წყვეტდეს,

სიმართლეს ყველა ვაღიარებდეთ,
თავის სახელი ყველაფერს ერქვეს,
და გაბრწყინებულ საქართველოში,
ღმერთო ზარები თავისით რეკვდეს,
და ამ გაყინულ ცივ სამყაროში,
მეც დედოფალი ყინულის მერქვეს...

მგელის მგლობას ძალით ვერვინ ნაართმევს..

მგელი რომელიც ტყეში ბინადრობს,
მგლური ძუნძულით გაყავს ცხოვრება,
სანამ სიცოცხლეს ვინმე წაართმევს,
ბოლომდე იბრძვის არ აქვს მოთმენა,
ღამით თვალები ანათებს ტყე-ლრეს.
მათ შიში არ აქვთ და არც ოცნება,
მგლის მუხლი-ძალას აღარ დაკარგავს,
ნამდვილი მგლობა აღარ ბონდება.

კაცი-კაცია-მგლობას ნუ იკვეხ,
შენ გაატარე კაცის წოდება,
თუ კაცობაში რამე გადაგცდა,
იქ დაამთავრე-- აღარ სწორდება,
აქ აგერევა ყველა ღირსება,
მგლობა-კაცური ერთად მოკვდება,
მგელი-მგლობაში მუდამ მგელია,
მგლობის ნატვრაში კაცი ჩმორდება.

ადამიანი სულ სხვა რამეა,
ეს აზრი ყველა სივრცეს შორდება,
ადამიანი მხეცზე მეტია,
კაცურში ბევრი რამე მოხდება,

კაცი სიძნელეს აღარ გაურბის,
მოსახდენი კი აღარ შორდება,
მგელი-ტყეს მგლური ცხოვრებით გადის,
და კაციც ღირსეულ კაცად მოკვდება...

რატომ არა ხართ სამართლიანი...

მეხი გავარდა ცა ჩამოინგრა,
ვერ შევაჩერე მე ეს წყვდიადი,
გამყინვარება თვალებს მიბნელებს,
გზა გაიბინდა ნამქერიანი,
ამ დროს ვიღაცა სალამურს უკრავს,
თანაც ამღერდა ენაწყლიანი,
აზრი არა აქვს ცა ჩამოინგრა,
კიბეც რომ იყოს ასმეტრიანი.

ჭექა--ქუხილი ნიშანს გვაძლევდა,
თავსხმა იქნება აქ ცრემლიანი,
ღმერთი სუყველას ცოდვას მოკითხავს,
ღრუბლებს არ ჯობდა? დარი--მზიანი,
სხვის ჭრილობებზე მარილს რად აყრი?
საკმარისია არს შხამიანი,
შიშველ ხელებით გზას ვიკაფავდი,
მაინც მხვდებოდა ეკლებიანი.

ეს ყველაფერი იყო გუშინ და,
ხვალ ღმერთო მოგვეც დარი მზიანი,
ისევ ეჭვები ჩნდება უჩუმრად,
დაპირებები ყალბ--სიტყვიანი,
და თუ კი ღმერთი გპატიობს მაინც,
შეჩერდი სანამ არ არს გვიანი,

ბოლოს ცუნამმა იფეთქა გულში,
და ჩემმა სულმაც მორთო ღრიალი.

წინათ კაცობა იყო ღირსება,
ახლა კი კაციც გახდა დიაცი,
ძალზედ ცოტანი შემოგვრჩა გენში,
ვისაც ერქმევა ადამიანი,
და მართლაც მივხვდი წუთისოფელი,
არის ფლიდი და ოხერტიალი,
და როგორ მინდა ადამიანი,
იყოს წრფელი და სამართლიანი.

მხოლოდ სიმართლე არის გენია...

ჩემს მუზას დავარქვი სახელად სიმართლე
და მისი წაშლა ძალზედ ძნელია,
თუ კი ჩემს მუზას მახეს დაუგებ,
ფეხი დაგცდება--რადგან სველია,
ჩემს მუზას ზიზღი ხრჩობას უპირებს,
ქართველი--ქართველის გახდა მტერია,
იქ დღე და ღამეც ფულში მორიგდა,
უნდათ დღე არის-- უნდათ ბნელია.

მუზას მე ვეღარ გაუმკლავდები,
ის რასაც მაწვდის გადამდებია,
ის უეჭველი ჩემთან მოგიყვანთ,
ის ჩემი სულის გასაღებია,
ის ყველა ტკივილს უხმოდ ეხება,
მისი სიჩუმეც გასაგებია
მე ვერ დავიცავ გრძნობის უფლებებს,
ეს გასაღებიც მისი ხელშია.

თუ სამუდამოდ მოსპობ ამ მუზას,
ეს ალბათ მაინც ჩემი ხვედრია,
ჩემს მუზას მართლა ჰქვია სიცოცხლე,
ყველა მართალი სიტყვის მთქმელია,
სიმართლე არის სულის სიწმინდე,
ის გადამრჩენი ერთადერთია,
ჩემს მუზას სუნთქვას ვერვინ შეუწყვეტს,
მისი მმართველი მხოლოდ ღმერთია..

ეს ყველაფერი ჭაობს მიაგავს...

რა შეგრძნება? ალბათ ვერ ავხსნი,
ემიგრაციაში თუ კი მოხვდები,
ყოველი ლამე სადღაც თენდება,
ხავსმოდებული- ნელა ობდები,
კალენდარს თვეებს ტანჯვით ჩამოხევ,
თუმც წელიწადში--თვეა თორმეტი,
გული გიკვდება ყოველი დღითაც ,
თუმც შენს ხელთ არის როდის მორჩები.

ალმართს მიდიხარ ასე გგონია,
მაგრამ ვერ ატყობ დალმართს გორდები,
რისთვისაც ტოვებ შენს კუთვნილ სივრცეს,
იმ ფულთან ერთად შენაც ბონდები,
ხომ არ გგონია ამ მსხვერპლისათვის ,
იქ სამოთხეში უმალ მოხვდები,
აქ ულვინოთაც გათიშული ხარ,
თუმც ღვინოს არ სვამ ისე ლოთდები.

პირველი ჯერზე ფული ზეიმობს,
ტკბილი სიტყვებით ვირსაც მოწველი,

და ეს პროცესი თუ დაგებლოკა,
მაშინ ყველასგან უცებ ობლდები,
სამწუხაროა როცა შეიგრძნობ,
საკუთარ თავს თუ როგორ შორდები,
გაგზავნილ ფულის კოდი მოწმდება,
შენ კი რა გიჭირს აღარ მოწმდები.

აქ ამ ჭაობმა ჩათრევა იცის,
წლები წაგლეკავს-მიწასთან სწორდები,
და თუ შენ თვითონ არ ივაჟკაცე,
უცხო მიწაზე ერთ დღეს მოკვდები,
ემიგრანტობა ქრონიკულ სენს გავს,
ასე ადვილად ველარ მორჩები,
კარგად დაფიქრდით მანამ დრო არის,
უცხო მიწაზე სანამ მოხვდებით.

ვეცადოთ სხვებსაც გაუგოთ...

დილამშვიდობისა სამყაროვ,
დილამშვიდობისა გრძნეულნო,
დილამშვიდობისა მარადუამს,
ცოდვილნო ღმერთისგან რჩეულნო,
დილამშვიდობისა ცოტაა?
გული ვიღაცას გაუთბოთ,
სანამ ჩვენს თავზედ ვიფიქრებთ,
ცოტა დრო სხვასაც დაუთმოთ.

არ არის სავალდებულო,
მოყვასს სუფრები გაუწყოთ,
უცხო მიწაზე მყოფებმა,
ერთმანეთს იქნებ გაუგოთ,

ფიანდაზებს თუ ვერ უგებთ,
მახე მაინც არ დაუგოთ,
მშიერ კაცს რომ დავინახავთ,
ცოტა მასაც რომ გაუყოთ.

თუ დაპურებ მშიერ კაცს,
პირში ხელი არ ჩაუყო,
ხელს თუ ვერ უწვდი შენს მოყვასს,
ფეხი მაინც არ დაუდო,
როდესაც ვინმე მოგენდო,
ზურგში დანა არ ჩაურჭო,
სიხარბით კისერს მოიტეხ,
ჯიბრით წინ არვის გაუსწრო.

სიტყვით სასწაულს ახდენენ,
იმედი მოყვასს არ ჩაუქრო,
შევძლოთ იმედის მიცემა,
ცრემლები მტირალს გაუშროთ,
ღმერთი ხომ ყველას კარს გვიღებს,
გულის კარი ჩვენც გაულოთ,
ერთმანეთს კეთილი სიტყვა და
დილამშვიდობისა ვაუნყოთ.

ზოგი ცხოვრობდა ლამაზ ცხოვრებით და ზოგიც...

ამ ცხოვრებიდან, ვინ რას ითხოვდა?
ყველას თავისი წილი უნდოდა,
ზოგი ქარიშხალს უმკლავდებოდა,
ზოგიც დალლილი ნიავს უფრთხოდა,
ზოგი ცხოვრობდა კმაყოფილებით,
ზოგი საშველად უფალს უხმობდა,

ზოგს პირველობა ბედნიერს ხდიდა,
ზოგიც ვიღაცას მის გზას უთმობდა,
ზოგნი თავის ბედს ალამაზებდა,
ზოგნიც წყევლიდა მის ბედს ურჩობდა.

ვაი რომ ესეც რეალობაა,
ზოგი იწვა და ზოგიც დგებოდა,
ზოგს გასაქცევიც არ დარჩენოდა,
ზოგიც ზამთარში თოვლით თბებოდა,
ეს ყველაფერი საოცრებაა,
შენი იყო და მაინც ქრებოდა,
ზოგჯერ უფსკრულის პირას მისული,
შენს გვერდით მაშინ ღმერთი ჩნდებოდა.

ზოგი ღვინოში ეძებდა შვებას,
ზოგი საამო ცხოვრებით თვრებოდა,
ზოგს ახარებდა ყოველი წამი,
ზოგს გაუთენდა--თუმცა ბნელოდა,
ეს ყველაფერი ასე იყო და,
მუდამ-- მარადჟამს ასე ხდებოდა,
ზოგი ცხოვრობდა ლამაზ ცხოვრებით,
ზოგიც კი დღეში ასჯერ-კვდებოდა..

ქართველო ქართველში-- ქართველს ნუ მოკლავთ

ეს რა ჭირი გვჭირს ქართველო ერო,
ჩემი ქვეყანა გახლიჩეს ორად,
იქნებ მოფხიზლდეთ ეს არ დაუშვათ,
რომ საქართველო დავტოვოთ ობლად,
სასტიკ მმართველებს ვერას დავაკლებთ,
თუ არ შევკარით კამარა რგოლად,

უნდა მოვძირკოთ მავნე ჯირკვები,
თორემ ფესვები გაიდგეს ოხრად.

და თუ ეს დროზე ველარ შევძელით,
ქართველში--ქართველს უთუოდ მოვკლავთ,
ყველამ ერთმანეთს თუ შევაჩერდით,
პასუხს ვინ გასცემს გატანჯულ მოყვასს,
გულანთებულებს ვერვინ ერევა,
ვერ გადააქცევს ყურმოჭრილ მონად,
ქართველთ სისხლი რომ შემოაწვებათ,
სამშობლოსათვის თავს აღარ ზოგავს.

მეტისმეტია ხალხის დაცინვა და,
ამას ცუდი შედეგი მოაქვს,
ორივე მხარე ერთმანეთს უტევთ,
ამ დროს კი მაინც ქართველი მოთქვავს,
ცოტაც შეჩერდით იქნებ დაფიქრდეთ,
ამ საქციელით კარგი რა მოგაქვთ?
გულანთებულ და დაღლილ ქართველებს,
ვერ შეაჩერებთ--ასე ვერ მოკლავთ,
ყველა მთავრობა მაშინ გაგვირბის,
თავს რომ უშველოს და მის ჟამს მოჭამს...

შეს თავს უნავლე, იპიძიც შენ ხარ

არ „დაიგრუზო“ როცა მარტო ხარ,
მარტოობაში ბევრ რამეს სწავლობ,
მარტოდ დარჩენა შენ თუ ისურვე,
ზოგჯერ ასე სჯობს ოღონდ ნუ დარდობ,
არ ჩაიქნიო ხელი არასდროს,
იმ ქუჩას გაჰყევ რომელიც გაწყობს,

სიმღერებიდან ის მოისმინე, გულს
რომ გითბობს და რომელიც გატკბობს,
გულთან სიცივე არ მიაკარო,
ის ჩაიხუტე რომელიც გათბობს.

ისეთ ადგილას ნუ ჩამოჯდები,
თუ იქ მყოფები შენ აღარ გაწყობს,
ჩასაფრებულ ხალხს გზა აურიე,
ფხიზლად იყავი ვინმემ არ გავნოს,
ისეთებს ნუღარ გაეკიდები,
რომლებიც ოდეს-არაფრად არ გცნობს,
ის შეიყვარე ვისაც უყვარხარ,
არ მიგატოვებს და აღარ დაგთმობს.

ყველა საკითხი შენ მოაგვარე,
ნუ მიეჩვევი სულ ვიღაც თანმდგომს,
თუ გიღალატეს შენს თავს ნუ ეპრძვი,
ვერ გაერკვევი ვინ-როდის გამხობს,
თუ კი ჩაეშვი სევდის მორევში,
ეს ყველაფერი სატანას ართობ,
თუ არ გიმუხთლა ცხოვრების ჩარხმა,
ბედნიერებას ნეტავი რა სჯობს.
ისიც არ ვარგა მარტოდ რომ დარჩე,
ეშმაკი ამ დროს შენს წინ დგას ანცობს,
არ ჩამოუშვა ფრთები გაშალე,
შენ ვიცი ამ დროს გაფრენა გაწყობს,
თუნდაც ბოლო ხმით იკივლე ძლიერ,
ვერ გააგონებ თუ არ სურს გამგონს,
შენ შენი საქმე აკეთე მუდამ,
აზრი არა აქვს თუ ვინ რას ამბობს...

ცრემლებს თუ ვერ მოწეოდე-- დაუყვავე..

ადამიანში ღმერთმა სული ჩადო,
და მისი აკვანიც დაირნა,
ღმერთმა ღირსეული იყავიო,
ადამიანმა სახელი ასე გაითქვა?
ადამიანს როს გული ატკინეს,
ღმერთი გაბრაზდა და წავიდა,
ადამიანს რომ სული ამოაძვრეს,
მისი ანგელოზი გაგიჟდა.

ადამიანს ზურგში დანა ჩასცეს,
ღალატზე უფალი განრისხდა,
გაჭირვებულს რომ ზურგი შეაქციეს,
წმინდა გიორგი ამაზე ატირდა,
ადამიანო ეს არ გააკეთოო,
ადამიანისგან გვითხარი რა გინდა,
მავანს თუ ცხოვრებამ უმუხთლა,
იქნებ ეცადო რომ დაიცვა,
ადამიანმა სხვისი დარდი არ იდადრდა,
ტანზედ გველის ტყავი ჩაიცვა.
სხვას თუ კი ტკივა ცოტა შენც გეტკინოს,
ღმერთმა გაიხსენე რა გითხრა,
ადამიანო მოჩვენებითი არაფერი ვარგა,
სიყალბით სამყარო დაიწვა,
ამდენი უსამართლო საქციელით,
ნახეთ? ცოდვა როგორ გადიდდა,
ისეთს რას ჩადიხარ ადამიანო,
ეშმაკმა ტაში ძლიერ დაგიკრა.

ყველანი წუთისოფლის შვილები ვართ,
ისე მძიმე დრო კი დაგვიდგა,

განწირულზე გრძნეული არ გააცინო,
 თორემ ღმერთი გვერდზე გაგიდგა,
 სანამ დროულია შემოვბრუნდეთ,
 თორემ გვიანდება--დაბინდდა,
 ღმერთის სიყვარული არ დაკარგო,
 გაიხსენე--სული ღმერთმა ჩაგიდგა...

ცხოვრება სასტიკია და შენც გახდი სასტიკი...

გადავიღალე და მერე როგორ გადავიღალე,
 ძალა შევკარი და სადღაც წლობით გადავიკარგე,
 იმედი დამრჩა - მხოლოდ დარდებით გადავიბარგე,
 მთელი ცხოვრება--ღმერთო რა აღარ გადავიტანე,
 იმ გზას გავყევი, ეშმაკო შენ რომ გადამიხატე.

არ შეჩერდეო-- ვცდილობ დარდები გადავიყარე,
 ვინაც კი სითბო ვერ გაიმეტა, გადავიყვარე,
 გულს დაუყვავე --იარა ჩემით ვერ წავიშალე,
 სინათლის სხივი --არ ჩავაპნელე გადავინახე.
 არ შეუშინდი-- ცხოვრების ვალი გადავიხადე,
 ღმერთს შევევედრე გზად უფსკრულიდან გადამიყვანე,
 სულში როს მაწვიმს, დამისველდება--გადამიფარე,
 შენის წყალობით, რამდენი სეტყვა გადავიზამთრე,
 ღმერთო რა ხდება? მადლობა თავად გადამიხადე.

ღმერთი კუთვნილს არასოდეს არ დათმობს

თავისუფალ საქართველოს ვიგონებთ,
 როგორ მინდა ყველაფერი დავფარო,
 აქ ხმამაღლა--ერთმანეთს რომ ულოცავთ,
 იქ ქართველნი საქართველოს ღალატობს,

და დღეს ჩემი საქართველოს სახელით მზაკვრულ გეგმებს,
თვით ქართველნი გვთავაზობს,
საქართველოს ღმერთმა მისცა კურთხევა,
ჩვენ კი არა-- იმას ღმერთი დარაჯობს.

საქართველოს ქართველს ვერვინ წაგვართმევს,
ღმერთი კუთვნილს არასოდეს არ დათმობს,
საქართველო არასდროს წაიშლება,
საქართველო--ქრისტე-ღმერთით ამაყობს,
ყოველ ლამაზ გამოძახილს ხმამაღლა,
ყანნით ხელში--მხოლოდ ქართველი თამადობს,
მსოფლიო კი საქართველოს გარშემო,
ახალ--ახალ ოინებით თამაშობს.

თავისუფალ საქართველოს ვეძახით,
თუმც მუდამუამ მას ვიღაცა კამანდრობს,
საქართველოს ხმალი გადატეხოდეს--
არ არსებობს, ასეთი რამ არ ახსოვს,
იქნებ დავთმოთ ეს ბოლმა და ლალატი,
საქართველოს სუნთქვა--მაინც ვაცალოთ,
სისხლის ნაცვლად ღვინით სავსე ჭიქები,
საქართველოს სიყვარულში დავცალოთ...

ნებავ ვინ მოვა პვეყნის საშველად...

საქართველოო ყველა გაჰკივის,
მხოლოდ ორნია დადუმებული,
აფხაზეთი და სამაჩაბლო დუმან,
მისთვის არიან გაორებული,
აფხაზეთს ზღვის ხმა მაინც აფხიზლებს,
ენგურიც ბრდლვინავს გააფთრებული,

ამაყი მთები ცრემლებს ვერ იშრობს,
გულში ბასრ--მავთულ გადახლართული.

ორნივ ითხოვენ უჩუმრად შველას,
რატომ დაგვტოვეთ დაობლებული,
ძველი იარა ვერ მოუშუშეს,
მიტომ არიან დალონებული,
ეს ჩამოჭრილი სხეული კვნესის,
რუსეთის ჯარს ყავს დაჩოქებული,
დღეს კი სხვა მტერიც რაში გვჭირდება,
ჩვენსავეს ვყავართ დამონებული.

მაშინ როდესაც ქართველთა სისხლი,
ჩვენს მიწას ჰქონდა გადმოვლებული,
ყველა ტიროდა საქართველოში,
რუსეთი იყო გამარჯვებული,
როცა ქვეყანას ფესვი ერყევა,
მთავრობა რად გვყავს დადუმებული,
საბედისწერო თამაშს თამაშობთ,
აფსუს--მთავრობად ხართ წოდებული.

პატრიოტ ქართველთ--გულს უსერავენ,
სამშობლო მათ ყავთ ჩაბარებული,
უცებ მავანმა რომ არ წაიღოს,
მხოლოდ სკამებს ხართ ჩახუტებული,
და ვინ უშველის გზა აბნეულ ხალხს,
ეს მხოლოდ ღმერთს აქვს გააზრებული,
ღმერთს საქართველოს გადასარჩენად,
წმინდანები ყავს დაბარებული,
და მეც სხვაგვარად არ შემიძლია,
მე ქართველად ვარ დაბადებული...

დაპეულს მაინც თუ გადაუვლით...

ფესვებმოგლეჯილ ხეს გაჰყურებენ,
და მაინც მისგან ნაყოფს ელიან,
როს ქარიშხალი ტოტებს ამტვრევდა,
არვის უკითხავს ხომ არ ტკენია,
და თუ მავანმა ამ ხეს უშველა,
ეს მაშინ იტყვით-- ეს ხე ჩემია,
თუ შეიფოთლა წვიმამ მოუსნრო,
საჩრდილობელად მის ქვეშ დგებიან,
როს წაიქცევა-- ნუ შეაწუხებთ,
წაქცეულ ხეზე ჩამოჯდებიან.

სანამ უჭირდა არვინ არ ჩანდა,
წაქცეულისგან რაღას ელიან,
მანამ დაფიქრდით ვიდრე ზურგს აქცევთ,
მშველელნი ბოლოს ორმაგდებიან,
რომ არ დაჩრდილოს უსუსურები,
არ ასვენებენ მისგან დევნიან,
და ბოლოს ეს ხე ვიდას ჭირდება, ადგილს-იკავებ ასე ეტყვიან,
და ამ ხის მსგავსად ჩვენც გვიმეტებენ,
თუმც არვინ რჩება--ყველა კვდებიან..

თეთრ ვარდს რა ჰქვია? ბედნიერება
ყველას თავისი ისტორია აქვს,
ყველა ნაბიჯი--პასუხს მოითხოვს,
ზოგჯერ სხვა რელსზე გადაგიყვანენ,
არ გეკითხება--რომელი გიჯობს,
ყვავილსაც თავის სათქმელი რამ აქვს,
დიდ სიყვარულზე ვარდი მოგითხობთ,
გვირილა ნაზი თავმდაბლობაზე,
თავის სინაზით მასთან მოგიხმობს.

თუ მომავალი არ აქვს სიყვარულს,
 ყვითელი ტიტა გეტყვის--მოდი გონს,
 ეკალბარდების ყვავილის სურნელს,
 ფრთხილად შეეხე-- ნიღაბშიც გიცნობს,
 ეს ის გრძნობაა რომ მოატყუეს და,
 ამის შემდეგ არავის ინდობს,
 ყვავილებს შორის იასამანი, თავპრუს
 დაგახვევს და მასთან გიხმობს.

ჩაის ვარდი კი უტყუარია, თუნდაც
 ბრმა იყო--მის სურნელს იგრძნობს,
 ყველა ყვავილი მგრძნობიარეა, ადამიანი არაფერს გითმობს,
 ყვავილი შენთვის ყვავის და ხარობს,
 გამვლელიც მისგან ტკბილ სურნელს იგრძნობს,
 ყველას თავისი ისტორია აქვს,
 ბოლოს კი ღმერთი პასუხებს ითხოვს...

მიზანი? ლურჯ ვერ აგვისენია...

თითქმის ბოლოსკენ მიდის ცხოვრება,
 მეცნიერებამ პიკს მიაღწია,
 რაც არ იყო და რაც არ გვეგონა,
 გასაკვირვებლად არ მიგვაჩნია,
 წინათ პატეფონს ვეფერებოდით,
 ახლა ინტერნეტს მთლად მიგვაბნია,
 ძველად ოჯახებს ვერ ვცილდებოდით,
 ახლა კოსმოსსაც კი მიაღწია.

მეცნიერებაც დადუმდა თითქოს,
 სასწაულებიც გამოილია,
 დროა შევჩერდეთ მგონი ვგიუდებით,
 თვით აზარტიც კი გადაირია,

და ამის შემდეგ რა უნდა იყოს,
თვით მეცნიერებს ვერ გაუგია,
იქ სეტყვა-წყალი და მიწისძვრები,
ქარიშხალს ხეები ძირს დაუყრია.

მზეს გაცეცხლებულს ვინ შეაჩერებს,
მდინარეებიც კი დაუშრია,
მეცნიერება ცაში აფრინდა,
ეშმაკებისთვის გზა დაუთმია,
მართლაც ბოლოში მიდის ცხოვრება,
დასასრულისთვის გზა გაუხსნია,
და ეს ყოველი რითი დაიწყო,
მიზეზი ვერვის ვერ აუხსნია...

ყალბს სხვებიც მისნაირი რატომ ჰგონია

მართალ კაცს ჰყითხეს, რა გაწუხებსო,
რა და სიყალბე ათასი ფერში,
თუ სიმართლესთან ვეღარ ეტევი,
ეგ ტყუილები დამალე სხვენში,
დღეს ტყუილს იტყვი, --ხვალ კი უარესას,
ზეგ თვით ჩაგაგდებს საშინელ დღეში,
სიმართლეს დიდი თვალები აქვსო,
სევდით შეხედავს რაც ბუდობს შენში,
მართალს ტკივილი არ უყუჩდება,
ყალბი კი შვებას ნახულობს მსხვერპლში.

სიმართლის ძებნა თუ დააპიროთ,
ის ერთადერთი არსებობს ღმერთში,
სიმართლეს მუდამ კარგი ბოლო აქვს,
სიყალბე ყველას აკვდება ხელში,

სიმართლე ტყუილს არას უჯერის,
სიმართლე არის მუდამჟამ ეჭვში,
შენ მართალ კაცთან რა გესაქმება,
თუ კი ტყუილი არსებობს შენში,
შენ კი სიყალბეს შორს დაუდექი,
თავს ნუ ჩაიგდებ უბედურ დღეში...

ყოველი ლეპსი თქვენით იწყება...

ჩემი კალამი ღმერთმა აკურთხა,
ის რას დამიწერს არ მეკითხება,
ყველა სიტყვა და ყველა აბზაცი,
თქვენით იწყება-- თქვენით მთავრდება,
მე ჩემით უძლურს რა შემიძლია,
როს მტკენენ თვალზე ცრემლი მადგება,
და მეც ამ ტკივილს ტანჯვით შევფუთავ,
მაგრამ ვერ ვმალავ--აღარ გვარდება.

ირგვლივ როდესაც ქარიშხალია,
ჩემი კალამიც ამ დროს ბასრდება,
არადა ღმერთო ვერ ვაფერადებ,
სიხარულის დღე როდის დადგება,
მე აქ ცხოვრება ჩუმად მკარნახობს,
ამ დროს გონებაც უფრო ნათდება,
ყოველ ლექსს თავის ისტორია აქვს,
აქ ცხოვრება წერს როდის რა ხდება,
იქნებდა ერთ დღეს გამოიდაროს,
და სასწაულით აქაც დათბება...

ზოგისთვის ეს ეომ არაფერია...

ზოგნი იბრძვიან არსებობისთვის,
ზოგნიც მიღიონს ჩუმად იპარავს,
ზოგნიც სიცოცხლეს ებრძვის უწამლოდ,
ზოგიც ნიღბებით სახეს იფარავს,
ზოგნი სახატავ ფანქრებს ვერ იძენს,
ზოგნი ათასგვარ ტატუს იხატავს,
ზოგნი საკუთარ კერას ნატრულობს,
ზოგნი კი ოქროს კიბეს მიადგავს.

ზოგნი კანონებს წერს სათავისოდ,
ზოგნიც კანონით თავსაც იწამლავს,
ზოგნი რესტორნის საჭმლით ნებივრობს,
ზოგნი პურის ფულს ძილვსლა ინახავს,
ზოგნი კი ღმერთო ჰაერში ფრინავს,
და ასე ოჯახს და თავს იტანჯავს,
ზოგნი ფულიან ქალებს დაეძებს,
ზოგნი სიყვარულს ჩუმად ინახავს,
ზოგნი სამშობლოს ბედზე განიცდის,
ზოგნი სკამისთვის--საქმეს იჩარხავს.

ზოგნი დღე და ღამ ფიქრობს შვილებზე,
ზოგნი საკუთარ სახლში იპარავს,
ზოგნი დადის და ისეთებს ცოდავს,
სხვამ არ გალანძლოს--მის თავს ილანძლავს,
ზოგნი რას აღარ კადრულობს ღიად,
ზოგნიც სირცხვილით სახეს იკანრავს,
ეს ეს ცხოვრება ბასრი ჩარხია,
თუმცა რა გველის-- მუდამ გვიმალავს,
ყველა ათასგვარ ცოდვებს ჩავდივართ,
და ღმერთი ცოდვილთ მაინც გვიფარავს

და ქალთან ერთად გუცებაც ტიროდა...

ცამ მოიწყინა--პნელი ჩამოწვა,
უეჭველია წვიმა წამოვა,
ლამაზი ქალი რაღაცას ნანობდა,
და თავის ტკივილს წვიმას ანდობდა,
წვიმაც თავისას აღარ იშლიდა,
ვხედავ ამ ტკივილს წვეთებით ამკობდა,
ვერ ჩამორეცხა წვიმამ იარა და,
ქალმა ქუჩაში ცრემლებით იარა.

უცებ ამოვარდა ქარი საშინელი,
ეს არაფერია--შრიალით ამბობდა,
ქალი კი სამრეკლო ზარებს გამოყვა და,
ყველა სანთლებს პირიქით აქრობდა,
ღმერთმა არ გასწირა ცოდვილი ქალი,
წინ გადაუდგა--აღარ დატოვა,
და სასწაულმაც სანთლები დაანთო,
საყდარში ვიღაცა საამოდ გალობდა.

იმედდაკარგული ქალი დაჩოქილი,
ხატების წინაშე არას ამბობდა,
ტაძრიდან გამოსული თითქოს შეწირული,
ასე უთქმელად სიკვდილს ლამობდა,
ღმერთი კი არსად აღარ ტოვებდა და,
მის იარებს ნელა აქრობდა,
მის ნაიარევს და ყველა ნაბიჯს,
თან დაპყვებოდა--ღმერთის წყალობა...

იმედის იმედს წუ გამოკეტავ...

ძალა გეცლება? იმედიც გაქრა?
ეს ნუ წაგაქცევს ახლით დაიწყე,
ღმერთს ხელი მიეც-- ხელს არ გაგიშვებს,
მაგრად ჩაჭიდე რომ არ წაიქცე,
ღრმად ჩაისუნთქე გზა გააგრძელე,
ღმერთი გვერდით გყავს რა ვერ გაიგე?
ხელჩასაჭიდი მხოლოდ ღმერთია,
ძალას მოგმატებს სული გაითბე.

ყველა გზის ბოლოს სინათლე მოსჩანს,
გაიღიმე და ცრემლი გაიშრე,
ადამიანო ერთხელ მოხვედი და
ერთხელ წახვალ თავში ჩაიდე,
ადამიანებს ეშმაკი უზით,
როგორ ნებდები ვერც კი გაიგე,
გამოიგონე ბედნიერება და,
რომ ისუნთქო შენით აიწყვე.

შენ ხორციელი ღმერთმა გაგხადა,
ფეხზედ დადექი რომ არ დაიმსხვრე,
ღმერთს ხელი აღარ გაუშვა შენით,
ბედს უკან გაყევ და გზა დაუთმე,
რაგინდ გიჭირდეს ეს შენი გზაა,
ზოგჯერ ეცადე შენს ბედს გაუგე,
იმედის იმედს ნუ გამოკეტავ,
ღმერთი მოუშვი კარი გაუღე...

ღმართი იწამოთ...

საქართველოში ასე ამბობენ,
მთავრობა თითქოს ხალხზე ზრუნავდეს,
ფიცი მწამს-ბოლო მაკვირვებს მართლა,
სამშობლო გძულდეს-ვიღაც გიყვარდეს,
და მაინც ვტოვებთ ცრემლების ფასად,
არ დაგივიწყებთ ასე გიბარებთ,
სხვა ქვეყნაშიც არად გვაგდებენ,
სატანა გლოვის ნოტებს გიკრავდეს,
უცხო ქვეყნებიც კარებს გვიკეტავს,
ძველი ტკივილი-ახალს გვიმატებს.

საქართველოში კითხვებს ვერ დასვამ,
ვინ გაგიცხავს და ვინ თავს იმართლებს,
ისევ ბრუნდები უცხო მიწაზე,
ღმერთო ქართველი როდის იხარებს,
საქართველოში ხელისუფლება,
მტრად გადაგვექცა--რას არ იკადრებს,
ეს ამაზრზენი რეალობაა,
მონობას შინ და გარეთ იტანდეს.

ეხ, სამწუხაროდ არვინ არ ჩანდა,
ვიღაცა მაინც ჩვენს ხალხს იცავდეს,
ხის მორყეული ფესვები ტირის,
ასეთ ყოფაში ვეღარ იხარებს,
ღმერთო საშველი ვერ დავინახე,
ვინ მოგვიშუშებს ამდენ იარებს,
ქართველი კაცი არ შეშინდება,
ოდესლაც მაინც გამოიდარებს...

გავშვის უფლებებშა გადაამეტა...

მასწავლებელი იყო ღვთაება,
მე მათ წინაშე მუდამ ქედს ვიხრი,
მასწავლებლობა სულიდან მოდის,
ათასი ბავშვი რომ ყავთ აღზრდილი,
მასწავლებელი ღმერთივით არის,
მასწავლებლობა არ არის ადვილი,
მასწავლებელი როგორ გგონიათ?
ის დედასავით არის დაღლილი.

მუდამ ბავშვებთან ტრიალებს იგი,
სკოლაც--ოჯახიც არის ნამდვილი,
ახლა რა ხდება? გაუბრალოვდა,
პატივისცემა არის წაშლილი,
მასწავლებელი ღმერთს შევადარე,
ესეც ღმერთიდან არის გათვლილი,
სამწუხაროა ეს იყო წინათ,
თუმც ახლა სხვაა--შორია მანძილი.

ახლა სკოლიდან ვითხოვთ პასუხებს,
მასწავლებლები ამ დროს სად არის,
თუმც სამწუხაროდ არავის ახსოვს,
რომ უფლებები იმათ წავართვით,
თუ კი მოსწავლეს შენიშვნა მისცეს,
აქ პედაგოგებს სათქმელს არ აცლით,
ბავშვის უფლებებს ვერ აბიჯებენ,
სკოლის კედლებში ვინ რას არ ჩადის.

თუ ტრაგედია დატრიალდება,
პასუხს სკოლას ვთხოვთ--მყისვე გავმკაცრდით,
ამ უსამართლო კანონებს მიღმა,
ჩვენი შვილებით ჩვენვე გავმნარდით,

იქნებ მიეცეს უფლება სკოლას,
მათზე კონტროლი რატომ წაართვით?
თქვენ კი მშობლებო ასე მოგმართავთ,
მუდამ სკოლასთან ნუ გაქვთ განგაში.

სკოლის ასაკი სკოლამ გაათბო,
სკოლაში მეორე დედას ჩაბარდი,
მასწავლებელიც აღმზრდელ დედას გავს,
ყური დაუგდე სწორ გზას გასწავლით,
მშობლებო ნუღარ ამართლებთ ბავშვებს,
პედაგოგებო ცოტა გამკაცრდით,
მასწავლებელი იყო ლეგენდა,
მას ოცნებებში ხშირად ვძაძავდით,
წინათ პედაგოგს სხვა ფასი ჰქონდა,
მოსწავლეებიც ბავშვებს ვაგავდით..

აჟა მივიღეთ დემოკრატია...

ამქვეყნიურში ყოფნა--არ ყოფნა,
ეს საკითხავი უკვე ვერ არის,
ამქვეყნიურში ახლა რაც ხდება,
ვიღაც--დრო მოვა და ფარდას ახდის,
ბნელ საიდუმლოდ შექმნილ გვირაბში,
მხოლოდ უკუდო ეშმაკნი დადის,
ადამიანებს მასხრად იგდებენ,
თუ მოუნდებათ სულსაც კი აცლის.

შიშის შემდგომი სიბტომი გაჩნდა,
ასეთ ყოფაში სიცოცხლე რად ღირს,
და ჩვენ არ ვიცით ახლა ვინ გვმართავს,
იმათ გარეშე მზეც ვეღარ ჩადის,

ადამიანებს ღმერთი იცავდა,
ახლაც დაიცავს მაგრამ--სადამდის,
და ამ ყველაფერს სამწუხაროა,
უსიამოვნო სუნები ასდის.

საქართველოდან ქართველთ არმია,
თვალცრემლიანი ქვეყნიდან გარბის,
და ასე ზრუნავს ხალხზე მთავრობა,
ის არ იციან ვადა რომ გასდით,
ეს სამწუხაროდ გვიან იქნება,
როცა ყურმოჭრილ მონებად გაგვხდის,
ყველაფერს თავის საზღვრები აკრავს,
და ამ ყველაფერს ვადებიც გასდის.

ქართველს გულს ტკენენ-- მტერს გულს იკრავენ,
ასეთი ყოფა ქართველს სულს ახდის,
თქვენ საქართველოს ხელისუფლებავ,
ქართველთ შიგ გულში ნუ ესვრით მახვილს,
ადამიანის ყოფა--ცხოვრებას,
გაურკვევლობის ტკივილი აწვიმს,
აპა მივიღეთ დემოკრატია,
თავისუფლება კი ჩვენგან შორს დადის...

ცხოვრება იცი? პოპერს მიაგავს...

პირდაპირ ივლი? აღარ გაცლიან,
ღმერთმა დაგიცვა--არ გადაგჩება,
სიმართლეს იტყვი? აღარ არგიათ,
ცხოვრებამ მიხვდი--რომ გადაგთელა,
ღმერთის დაწერილ ბედზეც ორჭოფობ,
ფიქრობ ვიღაცამ რომ გადაწერა,

და ის კარები ვეღარც შენიშნეს,
ეშმაკმა ჩუმად რომ გადაკეტა.

ამდენ წამებას ვერ გაუძელი,
ვერ გაგიგია--როგორ აგრია,
ბოროტ ძალებმა კარი ჩაკეტა,
ყველა იმედი---აქვე აგდია,
და ხოდა რაღას ელი--რას წვალობ,
მავანმა შენს ბედს ხელი დარია,
ნუთუ გაფრენას ამაოდ ლამობ,
შენ შეგიკერეს რკინის გალია,
ეკლესიაში ზარი შემოჰკერეს,
სანთლებს რომ ანთებ--შენი ვალია.

შენი ცხოვრება პოკერს მიაგავს,
ისეთ კარტს გაძლევს--- რომ არ გარგია,
ყველა ტკივილი და ცრემლთა დენა,
ტანთ გადაგაცვეს როგორც მანტია,
რაღაც სიცივემ დაისადგურა,
მიზეზი ცივი ორპირი ქარია,
ხვალინდელი დღეს ღმერთი იკითხავს,
ეს შენი ბედი ვის აბარია?
იმედს ნუ მოკლავ არ შეუშინდე,
ავდარის შემდეგ--მუდამ დარია...

საქართველოს ფესვები გაუმაგრეთ ქართველებო...

რამდენად პატარაა ჩემი საქართველო,
იმდენად დიდ ტკივილებს ებრძვის,
ცაში ალმართული მთებიც არ ნებდება,
ამაყად დგანან--გვშველის,

მორაკრაკე წაკადულიც ითმენს,
ჯერ მდინარეს--შემდეგ ზღვას რომ ერთვის,
ალარ გვაწუხებენ თითქოს,
ყველა სათქმელს ოკეანეს ეტყვის.

ქრისტეს მიწა--სასწაულით გვიცავს,
დაცემული ისევ ფეხზედ ვდგებით,
საქართველო პატარაა თუმცა,
ყველას დიდი სიყვარულით გველის,
ერებს შორის სტუმარ--მასპინძლობას,
ამას მხოლოდ საქართველო გეტყვის,
საქართველო პატარაა თუმცა,
მაგრამ ყველას გასაჭირი ესმის.

დღე გაგვითენე ისეთი ბედნიერი,
ქართველი ქართველს რომ არ ერჩის,
პატარაა ჩემი საქართველო,
ამაყად დგას ის არასოდეს კვნესის,
ღმერთო საქართველოს
ფესვები შეურყიეს, ქართველი--
ქართველს ტალახს ესვრის,
მაშინ როდესაც სამშობლოს ღალატობ,
სინდისი სულ აღარ გქეჯნის?

ზოგჯერ მარტოს გიცევს ის რასაც ვერ წყვეტ

ამბობ მარტოდ დარჩი? ღმერთი წავიდაო,
არა არ წასულა ასე ამჯობინე,
დგება ცხოვრებაში წამი საშინელი,
არის არჩევანი-- დრო ვერ ამყოფინე,
ღმერთის გარეშე არაფერი ხდება,,
მოითმინეო-- თუმც არ ალოდინე,

ის რაც სულს ტკიოდა-- მხოლოდ სულმა იგრძნო,
შეუძლებელია სხვას ვერ აგრძნობინე.

იცი ყველაფერი ზოგჯერ არაფერს გავს,
თუნდაც სარეცხივით თოკზე გამოკიდე,
შენს გადასაწყვეტს მწარედ გაურბიხარ,
თუნდაც ყველა მარცხი თავად
გამორიცხე, იცი გამოსავალს ზოგჯერ ვერ პოულობ,
ვიღაც გეუბნება--უნდა გამოხვიდე,
სევდის მოტივზე წვიმს ყველა სტრიქონები,
არადა მზეს თხოვ ენა ამოილე,
ღმერთო შენს გარეშე არაფერი ხდება,
და მაინც მართალი გზა შენ მაპოვნინე...

შენს გედს შენ უდია მართავდე...

ზეცას უერთდები კამკამას,
უცხო პლანეტებზე დავალ,
ვარსკვლავებს ვერ შევახე ხელი,
გავიფიქრე--უეჭველი დამწვავს,
მთვარემ ცივი სიო დამკრა,
შევებრალე და ჩემგან შორს გადგა,
ოცნებებს მიუყვები კვალდაკვალ,
ზოგჯერ ცრემლებითაც ვნამავ.

ამ ყველაფერს მხატვარი ყავს მისი,
მე კი ჩემს წილ ზეცას--ვხატავ,
და აქ მართლაც ვამბობ სათქმელს,
თუმცა გულში მთავარს ვმალავ,
და ამ მოთმინების მიღმა,
ვხედავ ჩემს თავს როგორ ვჩაგრავ,

ეს რა პლანეტაზე მოვხვდი,
მკლავენ და მაინც ფეხზე ვდგავარ.

ეს სხვათა საბრძანებელია,
აქ მე არავის არ ვგავარ,
თუმცა ჯალათი და მსხვერპლი,
ყველანი ერთ მიწაზე დავალთ,
ზღვაში მოცურავეს ღმერთო,
ველოდები ცუნამი როდის დამკრავს,
ზღვაში ნუ დამტოვებ ღმერთო,
ნაპირს ოდესმე თუ გავალ...

მარტო ხომ არა ვარ ღმერთო..

ღმერთო ადამიანს შენ ხდი ამქვეყნიურს,
ადამიანი ხარო ყურში უჩურჩულე,
ყველა ღირსება და ღმერთის სიყვარული,
გაჩენის დღიდან უხვად უსაჩუქრე,
სიყვარულით მორთე მისი სულის ფეთქვა,
და წმინდა ღოცვებით ტკბილად უგალობე,
ცხოვრების კიბეც მიეც-- მიდი აუყევიო,
ისე აუყევი--უფალს უხაროდე.

და შენც ნელ--ნელა ამ კიბეს აუყევი,
ეს ყველაფერი მარტომ შეასრულე,
თუმცა საფეხური ბევრჯერ გაიბზარა,
შენვე გაამაგრე--სხვას არ შეატოვე,
ამ წუთისოფლად მარტომ შემოფრინდი,
მარტომ იბრძოლე და გახდი მეამბოხე.
ადამიანისთვის მინიჭებულ წესებს,
კი არ ავადებდე--უნდა უწამლოდე,

შენი შეცდომები შენვე იტვირთე და,
ხელი არასოდეს სხვას არ შეახოცე.

მარტოობის შიში ღმერთო რას მიქვია,
შიში მოიშორე გვერდზე მიაგორე,
მარტოდ ხომ მოხვედი-- იქაც მარტოდ წახვალ,
დანარჩენი დრო კი სიკეთეს მოანდომე,
ეს არ დაივიწყო ადამიანი ხარ და
მწყურვალს უსათუოდ წყალი მიაწოდე,
პრობლემებს მიეჩვიე მარტომ რომ დაძლიო,
მარტოდ დარჩენილმა დარდით რომ არ მოკვდე.

ასჯერ სიკვდილისთვის თუ კი გაიწირე,
მაინც არ დაეცე-- შენით უნდა მორჩე,
შენი ცხოვრება ხშირად ასამართლე,
გახდი მსაჯულიც და შენვე იყავ მოწმეც,
ღმერთი შენთანაა მუდამ თან დაგყვება,
როცა გეტკინება--ძალა უნდა მოგცეს,
ღმერთმა გზა გაგიხსნა-- მიდი იარეო,
ბოლოს ადამიანო ჩემთან უნდა მოხვდე..

სარკეს ნუ ერჩი--ის არას მალავს...

სარკეს თვალები ვერ გავუსწორე,
იქ უცხო ქალი შემომყურებდა,
ხმა შემომესმა ამ აჩრდილიდან,
თავს რა უყავი მგონი ურევდა,
შეშლილი სახე, წყლიან თვალებით,
თავის თავს ნეტა რაღას ურჩევდა,
ჩემს მზერას თვალი ვერ გაუსწორა,
თვალებს ხუჭავდა ვეღარ უძლებდა.

ეს შიში იყო თუ სინანული,
და მაინც შიში უფრო სუფევდა,
რაღაც ნიშანი მომცა და ჩაქრა ,
მგონი დამტოვა აღარ ბრუნდება,
არადა თურმე ხელს მაშველებდა,
ის ჩემს ორეულს კარებს ულებდა,
მე მომეჩვენა რომ დღეს გაიგო,
რომ ყურს თუმც მაინც უგდებდა.

სარკეს თუ ბზარი გაუჩნდა ერთ დღეს,
შენს გულსაც ნახავ-- ბზარი უჩნდება,
ეს ბედისწერაც რანაირია,
ნახავ ერთ დღესაც ღმერთი უწყრება,
და თვით ცხოვრება დიდი სარკეა,
თუმც ის არ იცდის და არც ბრუნდება,
სარკე უსიტყვოდ გიხსნის განვლილ გზას,
ადამიანიც მის წინ მუნჯდება,
სარკეს არ უყვარს ცრემლი და სევდა,
თორემ ერთ დღესაც სარკეც ხუნდება...

ღვართო რა ძალა გაქვს...

ასე ქედმაღლურად ღმერთი დამატარებს,
როგორ გაუძელი მიკვირს,
დაცემა არ გაბედოო ღმერთი მეუბნება,
შენთვის ანგელოზი იბრძვის,
და მეც წამოვდექი ასჯერ დაცემულმა,
რამდენჯერ სახე მქონდა გიჟის,
არ არ ვიმჩნევდი თვალში ცრემლის კიაფს,
თუმცა გული ჩუმად იწვის,
უსამართლობა თვალში გეჩირება,
ტყუილს მართალი ვერ იტყვის.

იცით რა ძნელია ბედნიერის როლი,
 როცა ვერ თამაშობ გიჭირს,
 ძალზედ ძნელია ამ ჯვრის ტარება,
 ღმერთო შემეშველე მიმძიმს,
 მგონი ეშმაკმაც ხელი ჩაიქნია,
 ვხედავ თავისი გზით მიდის,
 იმდენად გაუჭირდა ჩემს ბედისწერას,
 ცხოვრება ბოდიშს მიხდის...

ლეირთის მუდამ მთამდა...

ღმერთის არსებობა როცა დამიმალეს,
 მე ვერ დავიჯერე--არ ვიცი რატომ,
 თითქმის ურნმუნო ოჯახში გავიზარდე,
 პატარა გოგო კი მის ხილვას ნატრობს,
 მე შენ შეგიგრძენი--ღმერთო დაგინახე,
 უფლება მომეცი გნახო,
 ღმერთო შეგიყვარე ღმერთო დამიფარე,
 ღმერთო არ დაგვტოვო მარტო.

ვკარგავ გზა ვერ დავინახე,
 შენი ძალა ვიგრძენ ახლო,
 სანთლებს როცა ვანთებ შველას შენგან ვითხოვ,
 თავზედ შენი ლოცვა მათოვს,
 და თუ ცოდვილთ მსგავსად--ცოდვა მოგვიტევე,
 აღარ მიგვატოვო მარტო,
 უცებ შიში გაჩნდა თითქოს უფსკრულს ვდგევართ,
 ცრემლებით სატანას ვართობთ.

ღმერთო შეგიყვარე--ვიცი არ გაგვწირავ,
 და მაინც რატომ ვდარდობ,

ახლა შველა გვინდა გვიჩვენე შენი ძალა,
სატანა გვირთავს წამ--ზომს,
ღვთისმშობლის საქართველოს ცრემლები დასდენია,
ამ ცრემლებს ღმერთი არ დათმობს,
ღმერთო გაგვიკვალე ქართველთ გზა და კვალი,
ველარ გავრკვეულვართ რა სჯობს.

არადა რამდენი ფკივილი მოგაყენეთ..

იმ გზით არ ატაროთ ჩემი საქართველო,
რომლის ბოლოშიც სიბნელე სუფევს,
ყალბმა დაპირებამ სული ამოგვხადა,
დროა სიმართლე ხმამაღლა ქუხდეს,
იმ საკენცს ნუ დაგვიყრით რომლითაც გვაპურებდნენ,
თუმც ისიც ვიცით ხალხს ვინდა უსმენს,
ღმერთის წინააღმდეგ ნუ წახვალთ ბატონებო,
ღმერთსაც ეს ქცევა თავსატეხს უჩენს.

იმ მატყუარათი ბავშვებს რომ ვაჩუმებთ,
პირში ნუ ჩაგვჩრით მაინც არ ვიტირებთ,
ამ დიდ სპექტაკლში ჩვენ ვერ ვითამაშებთ,
